

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები

ლიტერატურაზე

თბილისი _ 2009

უაკ 821(082)

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2006-2008 წ.წ. ფუნქციონირებდა ლიტერატურული ფორუმი «ებლიტფო», რომელიც დღეს ლიტერატურული ისტორიის კუთვნილებაა.

კრებული, რომლის წაკითხვასაც ახლა აპირებთ, ძირითადად, «ებლიტფოს არქივიდან» არის შედგენილი.

განკუთვნილია მათთვის, ვისაც უყვარს ლიტერატურა და აინტერესებს ლიტერატურული სივრცის ძველი და ახალი ამბები.

«ებლიტვო» ლათინური ენასავითაა, მკვდარია,

მაგრამ ბევრ ენაზე ცოცხალი...¹

ქართული ლიტერატურული საიტების, ელექტრონული ბიბლიოთეკების და ზოგადად, ლიტერატურული ცხოვრების შესახებ საუბარი არ იქნება სრულყოფილი, თუ არ ვახსენებთ ერთი მშვენიერი საიტი – ლიტერატურული ფორუმი, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა მიმდინარე ლიტერატურული პროცესები.

«ებლიტვო» – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი. ის სამი წლის წინ გაჩნდა ვირტუალურ სივრცეში და თანაბრად მიიქცია ავტორთა და მკითხველთა ყურადღებას.

«ებლიტვომ» შექმნა ბიოგრაფია – საკუთარი და ლიტერატურულიც. ეს კი ნიშნავს, რომ თანამედროვე ქართულ მწერლობაში ბევრი კარგი პროექტის და იდეის ავტორიც, მხარდამჭერიც და განმახორციელებელიც თავად იყო; მან დაახლოვა ერთმანეთთან მწერლების «ძველი» და «ახალი» თაობები (ამ პირობითობას ინტერნეტ-სივრცეშიც ვერ ასცდები); მკითხველებს სრულიად უცნობი ნიჭიერი ავტორები წარუდგინა; ყველას მისცა საშუალება, რაც შეიძლება ბევრი და რაც შეიძლება ვრცლად ესაუბრა მის უდიდებულესობა – ლიტერატურაზე... ის ხომ ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი გახლდათ, და რა არის იმაზე უფრო ბუნებრივი გარემო ლიტერატურაზე სასაუბროდ, ვიდრე ბიბლიოთეკა – რეალურიც და ვირტუალურიც.

«ებლიტვოს» აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ ეს ვირტუალური გარემო მეტად დამტკბარ-დაშაქრული იყო, ადამიანებს ერთმანეთი ძალიან თუ არა, ცოტათი მაინც უყვარდათ აქ და, ეს სიყვარული კი ბუნებრივად ადუნებდა კრიტიკულად (ე. ი. რეალისტურად) აზროვნების უნარს... ცხადია, როცა თავს კარგად, მყუდროდ და ისე გრძნობ, როგორც თევზი წყალში, კრიტიკული აზრების არც გამოთქმის და არც მოსმენის სურვილი არ გეზადება.. სწორედ ამიტომ, ჩვენ, ქართველებს, დღემდე არ გვაქვს საფუძვლიანი კრიტიკული სკოლა და, ეს შობს უამრავ პრობლემას და ა.შ. და ა.შ... «ებლიტვო» მაინც რჩებოდა ადგილად ამ უზარმაზარ ინტერნეტ თუ რეალურ სამყაროში, სადაც ქართველ ავტორებს, მკითხველებს, უბრალოდ ლიტერატურის მოყვარულებს, მიუხაროდათ და სადაც «ცივისსხლიანი» კრიტიკული პათოსის გარეშეც ბევრი კარგი ლიტერატურული საქმე გაკეთდა.

«ებლიტვოზე» წარსულ დროში ვსაუბრობთ, რადგან ის დღესდღეობით აღარ არსებობს. უფრო სწორად, ტრანსფორმაციის პროცესშია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმის ბიოგრაფიას მისივე უცვლელი ადმინისტრატორი, მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე – გიორგი კილაძე მოგითხრობთ.

«პროლოგი»

2006 წლის მაისში შეიქმნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურული პროგრამების განყოფილება. მან სამი მიმართულებით დაიწყო მუშაობა:

¹ - სტატიის საგაზეთო ვარიანტი გამოქვეყნდა გაზეთ «24 საათში». შაბათი. 31 იანვარი, 2009 წელი. №20 (2058) Weekend №3 (99) 31 იანვარი 1 თებერვალი, 2009 გვ. 12.

ეს იყო ლიტერატურული სადამოები, გამოფენები და საჯარო ლექციები. ლიტერატურულ სადამოებს ოთხშაბათი დღე მიუძღვნენ. საჯარო ლექციებს კი – პარასკევი. (აქედან დაიბადა მაშინდელ პროცესებში მონაწილეთათვის კარგად ნაცნობი სიტყვებიც, მაგ. «ოთხშაბათობები»). ლიტერატურული სადამოები დავიწყეთ პოეზიით. სხვადასხვა თაობის 50-ზე მეტმა პოეტმა გვიმასპინძლა. «ოთხშაბათობები» ცნობილ ქართველ პოეტთან იზა ორჯონიკიძესთან შეხვედრით დავიწყეთ და ასევე ცნობილი პოეტთან გივი ალხაზიშვილთან შეხვედრით გავაგრძელეთ. თუმცა ლიტერატურული სადამოების ძირითადი, უმთავრესი მიზანი სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა თაობის მწერლების მკითხველებთან შეხვედრა იყო და მომავალში ასეც გაგრძელდება. შეხვედრებზე პოეტები არა მხოლოდ კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს, არამედ პასუხობდნენ დამსწრეთა კითხვებს. დიალოგის ფორმატმა აუდიტორიასა და ავტორს შორის ურთიერთობა უფრო გააცოცხლა. ბუნებრივია, განყოფილების თანამშრომლები ამ საუბრებს იწერდნენ და მალევე მივხვდი, რომ ძალიან საინტერესო აუდიო-მასალა დაგვიგროვდა. ეს მასალა თავის მხრივ კიდევ რაღაც ტრანსფორმაციას საჭიროებდა. ასე დაიბადა ლიტერატურული ფორუმის იდეა.

«ებლიტფო» – ლიტერატურული საუბრები

სამი წელი თითქოს არაფერია, თუმცა ყოველწამიერად მზარდი ტექნიკური პროცესების ფონზე ალბათ ადვილად დასაჯერებელია ვთქვა, რომ მაშინ ლიტერატურული ფორუმის ფორმატის შოვნა ასე ადვილი არ იყო. თვეები დამჭირდა ტექნიკური პრობლემების მოსაწესრიგებლად. თუმცა, ყველაფერი მოგვარდა და, 2006 წლის 18 ოქტომბერს გაიხსნა «ებლიტფო» – ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი.

თავისთავად გარემომ, ანუ ბიბლიოთეკის სივრცემ, მისმა პირველსაწყისობამ განაპირობა ფორუმის აკადემიური ხასიათიც. გვქონდა წესდებაც, რომელიც ძალიან ცოტა სიტყვას, მაგრამ ერთ მთავარ აზრს შეიცავდა – «ებლიტფო» არის ფორუმი ყველასათვის, ვისაც ლიტერატურა უყვარს.

ნებისმიერი თემის გახსნა ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ხდებოდა. ჩვენ ყველა იდეას ვუჭერდით მხარს, თუკი ის ლიტერატურულ სტანდარტებს აკმაყოფილებდა.

პირველი ექსპერტიზა ფორუმს იანვარში ჩავუტარეთ და, პირდაპირ გეტყვით – ეს იყო კატასტროფა. მიუხედავად კარგი ატმოსფეროსი, რაც ავტორებს და მკითხველებს, ზოგადად, ე.წ. მომხმარებლებს შორის სუფევდა, მიუხედავად იმისა, რომ «ებლიტფოს» ლაჟვარდისფერ გვერდებზე პოეტების მიერ პოეზიის სადამოებზე წაკითხული ლექსები მეორე დღესვე ქვეყნდებოდა... ეს ფორუმი ლიტერატურას არ შეესაბამებოდა. ამიტომ, ერთ დღესაც ყველა მასალა, ამ დროის მანძილზე ფორუმზე თავმოყრილი, ერთიანად წავშალეთ (ძალიან ბევრი ავტორი გავანაწყენეთ მაშინ ამით და ახლა კიდევ ერთხელ ვუხდით მათ ბოდიშს), და ათვლა თავიდან დავიწყეთ.

ჩვენი ახალი «წელთაღრიცხვა» დაემთხვა ერთ კარგ ფაქტს – ფორუმზე დარეგისტრირდა პოეტი გივი ალხაზიშვილი. მისი საიტზე მოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ «ებლიტფო» გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლიტერატურული ფორუმი ქართულ ვირტუალურ სივრცეში. ბატონმა გივამ განსაზღვრა ფორუმის პოლიტიკა. «ებლიტფო» ნამდვილ ფორუმად ჩამოყალიბდა.

ეს პროცესები, და საერთოდ, ფორუმის მთელი გზა, დღიდან დაარსებისა, აისახა ჩვენს კრებულებში, რომლებსაც ამ პროცესების კვალდაკვალ პერიოდულად გამოვცემდით.

კრებულები

თავიდანვე გვექონდა ჩანაფიქრი, რომ ყველა თემა, რომელიც გაიხსნებოდა ფორუმზე, მიიღებდა ლიტერატურული პროექტის სახეს და ყველა მათგანის შესახებ გაკეთდებოდა სტატია. ჩვენ დაარსების დღიდანვე ვთანამშრომლობდით გაზეთ «ახალ 7 დღესთან», ჟურნალებთან «ჩვენი მწერლობა» და «ლ,ილ». ბეჭდვურ მედიასთან ჩვენი პარტნიორობის ამსახველ მასალების გამოფენას აუცილებლად მოვაწყობთ ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის ახლადგარემონტებულ კორპუსში. დამერწმუნეთ გამოფენა მეტად საინტერესო იქნება. გამოფენაზე «საპატიო ადგილს» დაიკავებს ლიტერატურული პროექტების ბეჭდური ვერსიები (კრებულები). ამჟამად 4 კრებული გვაქვს და მეხუთე უკვე მზადაა დასაბეჭდად.

ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს კრებულების შექმნის ისტორიაც: ყველაფერი ერთი ლიტერატურული სადამოთი დაიწყო, სადაც პოეტმა დავით ჩიხლაძემ ახლა უკვე ყველასთვის კარგად ნაცნობი ფრაზა თქვა: პოეზია მოკვდა. მას ბევრი გამოეხმაურა. პირველი იყო გივი ალხაზიშვილი. მოგვიანებით, მარსიანი, რომელმაც ხელნაწერების სახით გადმომცა თავისი მოსაზრებები ამ საკითხზე. პოეზიის რაობის თემა ფორუმზე ვნებათაღელვით აგორდა. პირველ კრებულს ასეც ჰქვია «ლიტერატურული საუბრები», რომელშიც მრავალი ავტორის შეხედულება და მოსაზრებაა თავმოყრილი.

ერთ-ერთი პროექტი იყო «რამდენიმე კითხვა». თავდაპირველად, ამელის (ნინო თარხნიშვილს) ვთხოვეთ გაეკეთებინა ინტერვიუ რამდენიმე ავტორთან. ამელიმ 9 ინტერვიუ გააკეთა. მერე ეს საქმე გაგრძელდა და შედეგად მივიღეთ კრებული, ჩვენს კრებულებში დღეს ყველაზე პოპულარულია – «რამდენიმე კითხვა», სადაც 26 ავტორთან ინტერვიუა შესული. ეს ავტორები დღეს ძალიან ცნობილი ან ნაკლებად ცნობილი ქართველი მწერლები და პოეტები არიან.

«ებლიტფოს» არქივი ორმოცამდე ინტერვიუსა და «რამდენიმე კითხვას» აერთიანებს. კითხვების ავტორები ძირითადად, ფორუმელები არიან, ისინი კითხვებს «ებლიტფოს» სახელით სვამდნენ და დღეს საკმაოდ ძნელია მათი «იდენტიფიცირება».

იზა ორჯონიკიძე, თეონა დოლენჯაშვილი, ეკა ღაღანიძე, ნინო ჩხიკვიშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, მარიამ წიკლაური, ვასილ გულეური, დარეჯან სუმბაძე, ნინო სადღობელაშვილი, თამარ ბოლქვაძე, მიხო მოსულიშვილი, დიანა ანფიმიადი, თეა თოფურია, მარიანა ნანობაშვილი, დავით ქართველიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი, ლელა კოდალაშვილი, დავით ტაკიძე-შემოქმედელი, დავით ჩიხლაძე, დავით-დეფი გოგიბედაშვილი, ბესო ხვედელიძე, რეზო გეთიაშვილი, ლელა სამნიაშვილი, ნიკა ჯორჯანელი, შოთა იათაშვილი, თამარი ფხაკაძე, ნატო ინგოროყვა, გიგა ნასარიძე, ირმა ტაველიძე, გიორგი კეკელიძე, გიორგი საჯაია, მაკა ლდოკონენი, შალვა ბაკურაძე, ლუბა ელიაშვილი, ირმა მალაყიძე, ჰექსე, ნინო დარბაისელი, ირაკლი ლომოური, არნოლდ გეგეჭკორი, ზაზა შათირიშვილი, ქეთი თუთბერიძე, მედეა, იმერლიშვილი, გურამ მეგრელიშვილი – ეს ის მწერლები არიან, რომელთა ნაწარმოებებს, მათ მიერ გამოთქმულ აზრებს მკითხველი ყოველთვის დიდი სიამოვნებით ეცნობოდა. ვიმედოვნებთ, რომ მათთან ინტერვიუებს მომავალშიც არ მოაკლდება მკითხველის ინტერესი.

ვფიქრობ, ძალზე საინტერესო გამოდგა ინტერვიუ (ვ) ანუცასთან, ფორუმელთან, რომელთანაც ინტერვიუ ჯერ მხოლოდ გემოვნებიანი მკითხველის რანგში შედგა და იმედს ვიტოვებ, მასთან როგორც მწერალთან ინტერვიუს არც თუ ისე შორეულ

მომავალში, აუცილებლად გავაკეთებ. დარწმუნებული ვარ იგი უფრო ადრე დაიწყებს წერას ვიდრე ფორუმელებს დაგვპირდა!!!

მინდა გავიხსენო ინტერვიუ მთარგმნელ ნინო სილაგაძესთან: იმედი მაქვს ქალბატონი ნინო უახლოეს მომავალში ოცნებას აისრულებს და გიუნტერ გრასის «კირჩხიბის სვლას» აუცილებლად თარგმნის.

კრებულებში კიდევ ორი ლიტერატურული პროექტი აისახა: «პირისპირ» (სათაურიდანაც ცხადია – ერთმანეთს ესაუბრებიან მწერლები. საერთოდაც, ინტერვიუს ამ ფორმამ – როცა ლიტერატურაზე (და არა მხოლოდ) ორი შემოქმედი საუბრობს, ძალიან დამაინტერესა. სხვა არის ჟურნალისტის მიერ გაკეთებული ინტერვიუ და სულ სხვა არის ეს მეორე, როცა ორი მწერალი საუბრობს.

«ებლიტფო» არ არის მხოლოდ «თბილისის ფორუმი» (ნახეთ არის ვთქვი და არა – იყო!) ჩვენ გვინდოდა რომ მთელი საქართველო ჩართულიყო ფორუმში, ამ სურვილის განხორციელებაა ისიც, რომ პროექტში «პირისპირ» ერთ-ერთ ეპიზოდში ერთმანეთს ესაუბრებიან ვასილ გულეური და ვანო ჩხიკვაძე. ისინი გორში ცხოვრობენ.

არის პროექტები – «მონოლოგი», «ჩემი ყველაზე საყვარელი ლექსი (რომელმაც აზრთა ყველაზე დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია და ეს ბუნებრივიცაა, რადგან თავისთავად ფაქტი – «ყველაზე» უკვე საკამათოა); პირადად მე ძალიან მიყვარს ერთი პროექტი, რომელსაც ჩვენი ფორუმის წარმატებადაც მივიჩნევ – «ჩემი ხუთეული». კრებული უკვე მომზადებულია და მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ მისი ელექტრონული ვერსია ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე იხილოს. რაც შეეხება პროექტის ბეჭდურ ვერსიას, გეტყვით, კრებული ერთადერთი ეგზემპლარად დაიბეჭდა და მისი ნახვა მკითხველებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურის პროგრამების განყოფილებაში შეუძლიათ. კრებულში თავმოყრილია ქართველი პოეტების ხუთ-ხუთი ლექსი, რომლებიც ავტორებმა თავად აარჩიეს. როცა ფორუმში მთელი საქართველოს მონაწილეობაზე ვსაუბრობდი, იმასაც გავიხსენებ, რომ პროექტი «ჩემი ხუთეულიც» თბილისიდან კი არა, ბათუმიდან დაიწყო – პირველად პოეტ ნატო ინგოროყვას ვთხოვეთ, გამოეგზავნა თავისი ხუთი ლექსი. ნატო კი ბათუმში ცხოვრობს.

გაისად კრებული «ჩემი მოთხრობაც» იხილავს მზის სინათლეს... დღეისთვის, სპეციალურ «დირექტორიაში» სხვადასხვა თაობის თითქმის 50-ზე მეტი პროზაიკოსის მოთხრობა (პიესაც) არის განთავსებული. თუმცა, აღნიშნულ პროექტზე დაწვრილებით დასრულების შემდეგ მირჩევნია ვისაუბრო.

«მეორე სუნთქვა» – ნინო დარბაისელი

ერთი წლის წინ ფორუმი «გატეხეს». კრიზისული პერიოდიდან «ებლიტფოს» გამოსვლა დიდად უკავშირდება ფორუმზე პოეტ ნინო დარბაისელის გამოჩენას. ეს იყო მართლაც მეორე სუნთქვით განახლება. ქალბატონი ნინოს ურთიერთობა ჩვენს ფორუმთან მასტერ-კლასების ტოლფასია. ამ კრებულებში მისი რამდენიმე სტატიაა.

როგორც უკვე გითხარით, ამ დროის მანძილზე ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ. ორი წელი ძალიან ცოტაა იმისთვის, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ყველა პროექტი სრულყოფილად, ძალიან მაღალ დონეზე განახორციელო. მაგრამ, რაც შევძელით, ეს უპირველესად ჩვენი ავტორების, მეგობრების თანამშრომლობის და კეთილგანწყობის შედეგია.

ხანდახან ვხუმრობ ხოლმე, რომ ებლიტფო ლათინურ ენას გავს, მკვდარია, მაგრამ ბევრ ენაზე ცოცხალი. და მჯერა, რომ ამ «ენით» კიდევ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება.

არალიტერატურული საუბრები

მიუხედავად იმისა, რომ «ებლიტფო» ლიტერატურული ფორუმია, მის სივრცეში არც თუ იშვიათად არალიტერატურული საუბრებიც იმართებოდა.

ორ თემას გავიხსენებ: «გამარჯობა აფხაზეთო, შენი» და «მოზარდთა ძალადობის წინააღმდეგ», მათ საფუძველზე ორი სტატია მომზადდა. პირველი სტატია აფხაზეთის მწერალთა კავშირის ყოველთვიურ ჟურნალ «რიწაში» დაიბეჭდა. სტატია «ებლიტფოს» მასალების დასაბეჭდად სალომე აჩბამ მოამზადა.

მეორე სტატია გაზეთ «ახალ 7 დღეში» დაიბეჭდა. სტატია ახალგაზრდა პოეტ-მასწავლებელთა მიერ ჩატარებულ აქციას – «მოზარდთა ძალადობის წინააღმდეგ» ეხმაურება.

სტატია საკმაოდ ვრცელია (გაზეთის ორ ნომერში დაიბეჭდა) და ისევე, როგორც «გამარჯობა აფხაზეთო, შენი», მთლიანად ფორუმელთა «გზავნილების» საფუძველზეა მომზადებული.

ლიტერატურული ისტორიები ზეპირად

«ებლიტფოზე» საუბარი არასრული იქნება, თუ არ გავიხსენებთ პროექტს «ლიტერატურული ისტორიები ზეპირად მოთხრობილი ლევან ბერძენიშვილის მიერ».

ბატონ ლევანთან გამართული 5 საათიანი ინტერვიუს «შედეგი» 53 გვერდიანი კრებულია, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ კომპიუტერული ამონაბეჭდის სახით არსებობს.

ქაშნიკად მკითხველს მომავალი კრებულის წინათქმას ვთავაზობთ. არ დაგიმაღავთ და გეტყვით «წინათქმა თქმული ლევან ბერძენიშვილის მიერ» ინტერვიუს დამთავრების შემდეგაა დაწერილი.

«ლიტერატურის ისტორიას იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც აზრი აქვს ლიტერატურას. ლიტერატურა სიტყვასიტყვით დაკავშირებულია, ასოსთან, წიგნთან, ბეჭდვასთან. «ლიტერა» ხომ ასოს ნიშნავს. რაღაცნაირად ეს არის შეზღუდული რაოდენობის შესაძლებლობებით, ვთქვათ, 33 ასოთი უთვალავი, შეუზღუდავი ოდენობების ასახვა, ამიტომ ლიტერატურაში ძირითად, მთავარ ამოცანას ასრულებს პოეზია, რაც შეიძლება ნაკლები საშუალებით, მინიმალისტურად, რაც შეიძლება ბევრი რამის აღწერა დავიყვანოთ რაც შეიძლება ნაკლებ ხმამდე, მთლად ოთხამდე შეიძლება არა, მაგრამ 7 ნოტამდე, რამდენიმე ბგერამდე, 33 ასომდე.

ესაა მთავარი ლიტერატურაში, რომ რაც შეიძლება დიდი სამყარო ჩავატოთ პატარა წიგნში, რომელსაც ხელში ვიღებთ და რომელიც არის 40 გრამი, 100 გრამი, 200 გრამი, ან კილო და რომელშიც ჩატეული უნდა იყოს ერთი ადამიანის ფიქრი და ეს ფიქრი მხოლოდ დღევანდელი არ იქნება; ესაა ხვალ რომ იფიქრებს, ზეგ რომ იფიქრებს, საერთოდ რომ იფიქრა და ფარულ ფიქრებზე რომ იფიქრა, ისიც.

ლიტერატურა ეს არის წესი, ჩავატოთ ზღვრულ რაოდენობაში უსასრულობა, ანუ ლიტერატურა არის ფანდი, ხერხი, გარკვეული ჯადოქრობა, რომ სამყარო დააბა და დააბა ერთ პატარა წიგნში, უზარმაზარ სამყაროს ბადე ესროლო და დააბა. მეტიც... დააბა ხუთ სტრიქონში, ექვს სტრიქონში, ოთხ სტროფში, 14 სტრიქონში, როდესაც კლასიკურ სონეტს წერ, ან თორმეტში. ლიტერატურის ამოცანები ეს არის სამყაროს მოთვინიერების ამოცანები. ადამიანი ვერ მოერია სამყაროს, ბუნებრივია, ვერ მოერია

ბუნებას, ვერ მოერია მკვლევლობებს... ვერ მოერია უამრავ რამეს, მაგრამ მოიფიქრა საშუალება, რომლითაც ეს მოხდა და რომლითაც არათუ მოერია, შექმნა არტეფაქტიც – წიგნი, რომელიც დამოუკიდებლად იწყებს ბრძოლას ბოროტების წინააღმდეგ.

როდესაც პუშკინმა თქვა, რომ ბოროტება და გენია შეუთავსებელია, რა თქმა უნდა, ბევრმა იცინა ამის შესახებ, იმიტომ რომ იყვნენ დანაშაულთან წილნაყარი მხატვრები, მაგალითად, კარავაჯო, შესანიშნავი იტალიელი მხატვარი და, შესაძლოა, უამრავი ასეთი, მაგრამ ეს ერთი განსაკუთრებით გამორჩეული იყო... იყვნენ მკვლელი პოეტებიც, მაგალითად, ვიონი, \უბრწყინვალესი ფრანგი პოეტი და ა.შ., რომლებიც არ იყვნენ საერთო აღიარებით «კეთილნი». მე ახლა კარავაჯოს ერთის მხრივ, და ვიონს, მეორეს მხრივ, მართლა ბოროტმოქმედთა რიგებში კი არ განვიხილავ, მაგრამ ფაქტია, ცხოვრებაში ეს ამბები მოხდა. ვიონი ციხეში სამართლიანად იჯდა, მაგრამ ის იყო პოეტი. ერთი მხრივ, როგორც ადამიანი, ვერ მოერია მთავარ იდეას, მაგრამ, უფრო მთავარს, უფრო დიდს, მოერია: კითხულობ ვიონს და კაცის მოკვლა კი არ გინდებოდა, მისი გადარჩენა გინდებოდა.

ფოლკნერმა თქვა, სამყარო დაინგრა, ყველაფერი მოისპო და არაფერი არ დარჩა... აი, ერთი გადარჩა და კვნესის, ჩემი ამოცანა, მწერლის, ის არის, რომ ეს კვნესა გავიგონო. ეს არის ლიტერატურა. ლიტერატურა ყველაზე ჰუმანისტური გამოგონებაა, ბრძოლაა სიკვდილისა და ბოროტების წინააღმდეგ პატარა საშუალებით. ორი-სამი ათეული ასო, მერე ამ ასოების კომბინაცია, ალიტერაციები, სიხშირეები, ბგერწერა და ა.შ. და ა.შ., მერე უფრო გართულებულად: სახეები, მერე კიდევ უფრო გართულებულად პერსონალები, იდეები, იდეების ბრძოლა, პოლიფონიური რომანები და სხვა. მაგრამ, მთავარი ეს არის, დიდი ოკეანიდან პატარა ჭიქა წყალი უნდა დაასხა, ოღონდ ისეთი, რომლის თითოეული წვეთი ამ ოკეანის მღელვარებას გადმოსცემს. ეს არის შეუძლებელი ამოცანა, რომელსაც დიდი ლიტერატურა ახერხებს. ამიტომ, როცა ლაპარაკია ლიტერატურის ისტორიაზე, ლიტერატურის ისტორია სინამდვილეში გვიყვება ფორმათა ისტორიას. თორემ თავიდანვე ლიტერატურის ისტორიას მე ასე დავწერდი: დაიბადა ჰომეროსი, დაწერა «ილიადა» და «ოდისეა» და ლიტერატურა შედგა. მერე უკვე უმნიშვნელოა. ჰო, იქ მოვლენ ლიტერატურის მცოდნეები და იტყვიან: «ფერები არ იცოდა მაგან». მართალია, ჰომეროსთან ფერები არ არის, ფერთა დრამატურგია არ არის, ფერთა მეტყველება «ვეფხისტყაოსანში» მთელი კლასიკური დიდი წიგნია, ნოზადის, საამაყოა, რომ ჩვენმა ბიბლიოთეკამ თავის დროზე ერთ-ერთი პირველი გაუშვა ელექტრონულ სივრცეში, გააციფრა, ასე ვთქვათ, სამყაროს აჩუქა. ამას ვერ დაწერ ჰომეროსზე, იქ ფერები არაა, სამაგიეროდ «ვეფხისტყაოსანში» ყველა პერსონაჟი ერთნაირად არ ხმარობს მშვილდისარს... ჰომეროსთან კი ყველა მაგარია, ოღონდ ოდისევსი ყველაზე მაგარია... ეს ერთ-ერთი განსხვავებაა. არის სხვა განსხვავებაც, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ლიტერატურის ისტორიას აზრი არ აქვს, როგორც ასეთს. აზრი აქვს თვითონ ლიტერატურას. ლიტერატურა თვითონაა ისტორია, ისტორიას თავის-თავში მოიცავს და, ამიტომ, ლიტერატურის ისტორია, ეს არის ხელობა. ვიდაც კაცებმა მოიფიქრეს, რომ «პური ჭამონ». რა თქმა უნდა მას მნიშვნელობა აქვს, როცა ასწავლიან ლიტერატურას. შეიძლება ვინმესთვის ჰქონდეს მნიშვნელობა, რომ ვაჟა-ფშაველაზე უფრო ადრე იყო გოეთე და რამე მსგავსებას თუ დაინახავს მინდიასა და ფაუსტს შორის, უნდა იცოდეს რომელმა რომელს «დაასწრო». თუ მე ერთი კაცი ვარ, მთვარეზე ვარ და მარტო ვაჟა-ფშაველა მაქვს ხელთ და სულ არ ვიცი ფიზიკურად ფაუსტის ამბავი, იქ რა გოეთე არ არის?! ვაჟამ ხომ მოაქცია მთელი სამყარო იქ?! ანუ ეს არის დაბმული, აი ყველაზე უკეთ, უკუღმა ლიტერატურას ასახავს ჯინის მითი, ლიტერატურა არის ჯინი, რომელიც გამომწყვდეული არის ფორმაში. როცა ამოუშვებ ამ

ჯინს, მერე სხვა ამბები ხდება, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ უზარმაზარი ენერგია, შემოქმედებითი, დამანგრეველი ენერგია, დევს ერთ რაღაცაში და ეს ერთი რაღაცა შეიძლება იცოდეს ზეპირად, ისე როგორც მე ვიცი ბევრი ლექსი ზეპირად, მაგრამ არ იცოდეს, რომ დადგება დღე, დადგება წამი, როცა შენ მიხვდები ვისთვის იცი ეს ლექსი, ლიტერატურის ისტორიაში ეს ნაწილი არ წერია, არ წერია ლევანს დაუდგება წამი, როცა ის მიხვდება, რომ იქ ნათქვამი, მაგალითად, «ათოვს ზმანებებს და მწუხარებას», რას ნიშნავს მწუხარება, რომელიც თბილი გრძნობაა, «სველი სისოვლე» რას უშვება და ამას უცებ მიხვდება, ერთხელაც დადგება დრო და მიხვდება. მე ამას, რომ დამაპატიმრეს, მაშინ მიხვდი ანუ მაინცდამაინც მაშინ მიხვდი. ეს ასე აღიწერა ლიტერატურაში.

ლიტერატურა არის საოცრებათა სკივრი, რომელშიც ჩატენილია ეს და მკითხველს აქვს საშუალება ეს წაიკითხოს, ისე, რომ არ გაექცეს... არის მკითხველი, რომელიც გააღებს ამას, როგორც «პანდორას ყუთს», გაექცევა, ყუთი ცალკე დარჩება და თვითონ ცალკე დარჩება ღარიბი ადამიანი.

ამბობენ ადამიანი არის იმდენად მდიდარი, რამდენი ენაც იცისო, მე მგონი ეს დიდი სისულელეა, ენის ცოდნას რა აზრი აქვს, თუ ამ ენაზე არ კითხულობ?! ენის ცოდნა იმისთვის გინდა, «იქ» რამე წაიკითხო, რაღაც გამოიცნო. აი რამდენი წიგნიც წაიკითხე რამდენ ენაზეც, იმდენად მდიდარი ხარ! ჩვენ ყველანი ღარიბები ვართ, ცოტა წიგნს ვკითხულობთ, სულ 365 დღეა წელიწადში და ბევრის კითხვას ვერ ვახერხებთ, მაგრამ თუ ამ მთლიან პროდუქტს, რომელიც არსებობს სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა დროს შექმნილა და კიდევ შეიქმნება, გადავხედავთ და ერთ საერთო ნიშანს მოვუძებნით: ეს არის მსოფლიო შეთქმულება სიკვდილის წინააღმდეგ. აი ეს არის ლიტერატურის ისტორია. იყო დიდი შეთქმულებები და პატარა შეთქმულებები, გამარჯვებები და დამარცხებები.

«ლიტერატურული ისტორიები ზეპირად» წაკითხვისას უპირველეს ყოვლისა არ უნდა განეწყოს კრიტიკულად, უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენ წინაშე «ლაპარაკია» და არა ნაწერი. ეს მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ნაწერის დროს ჩვენ სხვა რამეებს ვაკონტროლებთ, ენა სხვანაირად იქცევა და სხვ.

უნდა ვიცოდეთ, რომ სოკრატე არ წერდა, წარმოიდგინეთ, უნდა წარმოიდგინოთ, რომ სოკრატეს ერთ-ერთი მოსწავლე შემოიპარა XX ან XXI საუკუნეში, იშოვა ეს ჩამწერი საშუალება, დაბრუნდა უკან და ჩაწერა. ნაწერში ბევრ სისულელეს იპოვით, ბევრს. თუმცა მინდა იცოდეთ, რომ კარგი მოსასმენი იქნებოდა...»

განუხორციელებელი პროექტი

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას «ებლიტფოზე» ბევრი საინტერესო პროექტი განუხორციელდა. თუმცა იყო პროექტი, რომელიც სამწუხაროდ, ვერ განუხორციელეთ. პროექტს «ერთი კითხვა ინტერნეტ მეგობარს» ერქვა.

ლიტერატურულ «კითხვა-ესტაფეტა» მინდოდა გამეკეთებინა. ერთი მწერალი ნაცნობ თუ უცნობ მწერალს ერთ კითხვას უსვამს. პასუხსაც იღებს, მეორე – მესამეს და ა.შ. არავითარი კითხვის დაბრუნება და ე. წ. ჩადიებები...

ვფიქრობ ოდესმე ამ პროექტსაც განუხორციელებთ... თუმცა სხვა დროსა და სხვა ვითარებაში...

«ეპილოგი»

როცა ვფიქრობ იმაზე, თუ რა როლი ითამაშა თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესებში ებლიტფომ, პასუხი მაქვს ხოლმე როგორც ჩვეულებრივ მკითხველს – თუნდაც ის, რომ ქართული კონვენციური (რითმიანი) ლექსი კვლავ სიცოცხლეს, ძალას, ჟღერადობას იბრუნებს, ეს «ებლიტფოს» დიდი დამსახურებაა; უპირველესად გივი ალხაზიშვილს, რეზო გეთიაშვილს და გიო საჯიას ვგულისხმობ. ამ კარგი პოეტების პოეზიაზე მსჯელობებმა, საუბრებმა, ლიტერატურულმა ურთიერთობებმა საიტზე, მოამზადეს ნიადაგი იმისთვის რომ განახლებულიყო კონვენციური ლექსი. რადგან, მე მახსოვს, როცა პირველად მოვედი ლიტერატურულ სივრცეში, მსგავსიც არაფერი დამხვედრია, თითქოს სხვა ქვეყანაში, სხვა მენტალურ თუ საზოგადო-პოეტურ სამყაროში აღმოვჩნდი. ეს არც ისე კარგი იყო...

სწორედ ამიტომ, მაღლობას ვუხდით ყველა «ებლიტფოელს», მათ ვინც შექმნეს ეს ფორუმი, და მინდა მოვუბოდიშო ყველას, ვისაც ამ დროის მანძილზე ვაწყენინე როგორც «ადმინმა».

P.S. ადმინისტრატორ (ადმინ) გიორგი კილაძეს ებლიტფოს არსებობის მანძილზე ავტორებიც და მკითხველებიც იცნობდნენ ლიტერატურული მეტსახელით «ემხვარი». «ებლიტფოსთან» ურთიერთობის ყველა ეპიზოდი თითოეულ მათგანს ყოველთვის გაახსენებს ამ სახელსაც, რომლის მიღმა ამ სამი წლის მანძილზე იდგა ახალგაზრდა, საშინლად შრომისმოყვარე და დაუზარელი კაცი, სწორედ ისეთი, როგორსაც გულისხმობდა ალბათ გურამ დოჩანაშვილი, როდესაც ლიტერატურის ძლიერ მოყვარულებზე წერდა.

«ებლიტფოს» არქივიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 2008 წლის ბოლოს გამოსცა კრებული «ლიტერატურული... (საუბრები, პირისპირ, მონოლოგი, ინტერვიუები)», რომელშიც გამოქვეყნდა პოეტისა და ლიტერატურათმცოდნის ნინო დარბაისელის სტატია «არამედ რაღაც სხვა (შალვა ბაკურაძის «ქმრების საკითხავის» ინტერპრეტაციის ცდა)».

აღნიშნული სტატია პირველად «ებლიტფოზე» გამოქვეყნდა და მას რამდენიმე გამოხმაურება მოჰყვა.

დღეს, როცა «ებლიტფო» ისტორიის (არა მარტო ლიტერატურის) კუთვნილებაა, ვფიქრობთ, მათი ბეჭდვური სახით გამოცემა საჭიროცაა და აუცილებელიც.

სტატიას პირველად (ვ) ანუცა გამოეხმაურა.

(ვ) ანუცა

კომენტარი, ქალბატონ ნინოს კრიტიკულ წერილზე, ცოტა ნაჩქარევი და სადაც ვწერდი (საუბარია ლიტერატურულ პორტალ ლიტერატურა.გე-ზე) იმ ფორმატით სივრცეში უკიდურესად შეზღუდული. მომიტევეთ, ანონიმურობის რეჟიმში დაწერილი კომენტარია და მეც აქ გადმოტანის მიუხედავად (ტექსტის ავტორის სურვილით) აღარ შეცვალე. პრინციპში ავტორის გათვალისწინებით, კიდევ უფრო ვრცლად დავწერდი უეჭველად და საკუთარ თავს მეტ კონტროლს დავუწესებდი.

სერიოზული პროფესიონალის მიერ დაწერილი პროფესიონალური კრიტიკა რომაა, ეს ცხადია. და მაინც, ამ ტექსტს ორი სისუსტე აქვს ჩემთვის (სრულიად

ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთისაგან გამომდინარე). რამდენადაც შალვას ორიგინალი ტექსტი ლაღია და სიამოვნებას მანიჭებს უძლიერესი იდეის მარტივი, «იუზერ-ფრენდლი» მოწოდებით, იმდენად ეს ტექსტი მძიმეა.

თქვენ მეტყვით, რომ პროფესიონალური ენა ყოველთვის მძიმეაო, მე კი, ვერ დაგეთანხმებით ორი მიზეზით: «პროფესიული ჟარგონის» (ტერმინოლოგიის) გამოყენება ძალიან ფაქიზი ეთიკური საკითხია. ანუ, საკმარისია მისი ოდნავი სიჭარბე, ტექსტი მძიმდება, ამავე დროს მომწოდებლის ინტენსივობაც ცხადყოფს. მეორე ის, რომ პროფესიონალმა, სულ რომ არ გამოიყენოს სპეციფიური ტერმინოლოგია, სიტყვებს შორის, დისკურსის აღქმის ზღურბლის ქვემოთ იგრძნობა პროფესიონალიზმი. ჰო, მესამეც, «იუზერ-ფრენდლი» კონცეფცია, მე ძალიან მომწონს. ჯერ სიამოვნება, ჩემს რაციოს და მხოლოდ, შემდეგ დამდებს პატივს იაზროვნოს.

და მეორე ძირითადი პრობლემა, ტექსტის მტკიცებულებითი ხასიათის, სტრუქტურალიზმისათვის დამახასიათებელი ფრაზებია. დაახლოებით ისეთი, როგორც ახლა ჩემი კომენტარი...

მე აზროვნებაში რომ წამიყოლებენ მიყვარს, არა, რომ კატეგორიზებულ, კლასიფიცირებულ მასალის სეგმენტებს მიდებენ გონებაში და ექვს საფუძველს აღარ მიტოვებენ.

მე მიყვარს ექვი რაციონალურ პროცესებში, მოძრაობის თავისუფლებას მაძლევს... როცა ტექსტის ავტორი არჩევანის საშუალებას მიტოვებს დავეთანხმო ან არ დავეთანხმო... (მით უმეტეს, ავტორი აღიარებს ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნების მნიშვნელობას ბოლო აბზაცში, მაგრამ მეჩვენება, რომ ფორმალური ხარკის გადახდა ინტერპრეტაციონალიზმისა და ინტერაქციონალიზმისათვის ეს ფრაზა).

ეს მხოლოდ ტექსტის ფორმაზე, იდეაზე, ჯერ ვერ მოვახერხე ჩაღრმავება.

თუ სურვილი გექნებათ, რამდენიმე დღე დამჭირდება ალბათ.

და, ცხადია, ვტოვებ შანსს, რომ მე მაინც არ მაქვს საკმარისი კომპეტენცია ასეთი პროფესიონალური ტექსტის შეფასებისა.

თუმცა, ტექსტის იდეაზეც რამდენიმე სერიოზული პროტესტი მაქვს.

ჰექსე

კარგა ხანია, კონკრეტული ტექსტის (რომელიც ძალიან მომწონს და შესაბამისად, მისი კრიტიკისადმი გამკაცრებული მოლოდინიც მექნებოდა) ვრცელი ანალიზი ასეთი სიამოვნებითა და ინტერესით არ წამიკითხავს. ეს არის ინტერპრეტაციის ცდა, როგორც გვეუბნება ავტორი ქვესათაურში – ისედაც, პოეზიასთან ხომ მხოლოდ ასე შეიძლება, ფრთხილად – ოღონდ ღრმა, ლოგიკურად აწყობილი, პასუხისმგებლობის გრძნობით დაწერილი «ცდაა». მე არ მომეჩვენა ზედმეტად კატეგორიული, მიუხედავად იმისა, რომ განხილული ტექსტის ჩემეულ აღქმას არცთუ მთლიანად შეესაბამება – თავისთავად უაღრესად საინტერესო იყო.

ნინო დარბაისელი

(ვ) ანუცა ძვირფასო!

გამახარა თქვენმა საქმიანმა კომენტარმა ლიტ.ჯეს პორტალზე და ამ გამოხმაურებამაც.

რაც თავი მახსოვს, ქართულ ლიტერატურულ სივრცეში არასოდეს შეწყვეტილა წუწუნის იმაზე, რომ კრიტიკა არა გვაქვს. ჩვენამდე გაცილებით ადრე, საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოქვეყნებული სტატიაც კი არსებობს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, სათაურით «რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს».

მუდამ ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ იმ ადამიანებს ვისაც ეს მართლა აწუხებს, თითო საშუალო დონის კრიტიკული წერილის დაწერა თავად რომ მაინც ეცადათ, ხომ უფრო შეუწყობდნენ ხელს კრიტიკის განვითარებას.

ვინც წყალში ფეხს არ ჩაყოფს, ცურვას ვერასოდეს ისწავლის, და ცხადია, ვერც ლიტერატურის სიღრმეებში ყვინთვა ან სივრცეებში გაცურვა შეეძლება.

ფეხის დასველებისგან კი უმრავლესობა თავს იკავებს... ალბათ საამისო ანგარიშგასაწევი მიზეზებიც აქვთ.

გივი ალხაზიშვილის შეგულიანებით გადავწყვიტე, რამდენადაც შემძლია, წვლილი შევიტანო თანამედროვე ქართული კრიტიკის გამოცოცხლებაში. ჩავიფიქრე პროექტი «პოეზია ქართულ ლიტერატურულ საიტებზე» და აი, მოვლენები ერთმანეთს სასიკეთოდ დაემთხვა.

თბილისში გამოსვლას აპირებს პროფესიონალური კრიტიკის კრებული. სტატია, რომელიც იქ პოემასთან ერთად უნდა დაიბეჭდოს და არაფრით არ უნდა გადასცდეს 12-ით აკრეფილ 5 გვერდს. „მათ იმპერიონისტულ-ესეისტურ ჟანრს კრიტიკული კვლევა არჩიეს, იმის გათვალისწინებით, რომ შალვას პოემა იმსახურებს სერიოზულ ლიტმცოდნეობით-კრიტიკულ ანალიზს, ანუ შეტანას ქართული ლიტმცოდნეობის სააზროვნო სივრცეში. მე ჰერმენევტიკულ ინტერპრეტაციული მეთოდი ვირჩიე – როგორც ყველაზე «მსუბუქი» თანამედროვე კრიტიკის მეთოდებიდან, და, ჩემი ინიციატივით „დასაწყისი ზომიერად გავაესეისტურე, თან ვეცადე, მაქსიმალურად შემემცირებინა ტერმინთა სიჭარბე, რომ საშუალო მკითხველისთვისაც მეტ-ნაკლებად გასაგები ყოფილიყო, ციტატების სიმცირე და ზოგიერთ ადგილას პოემის რაიმე ასპექტზე მინიშნებითა დაკმაყოფილება ერთი მხრივ – მოცულობამ გამოიწვია, მეორე მხრივ კი ასე ვთქვათ, ჩემს ტექსტში ჩავთესე მარცვლები, რომელთა გაღვივებაც ჩემს ან ვინმეს შემდგომ კვლევაშია შესაძლებელი“.

ასეთი აზრი მაქვს: ხომ არ შემოგთავაზოთ თქვენც და რედაქციასაც დაწერა-გამოქვეყნება ახალი სტატიისა, რომელიც ჩემგან განსხვავებული, გნებავთ, დაპირისპირებული ხედვის კუთხით, ენით და ა.შ. განაგრძობს შალვას პოემის განხილვას.

(ვ) ანუცა

ქალბატონო ნინო, ჩემთვის დიდი პატივია ასეთი შემოთავაზება, თუმცა ლიტერატურული კრიტიკა ჩემი პროფესია არ არის და, სამწუხაროდ, არ მგონია, კომპეტენტური ვიყო ამ სფეროში.

თუმცა, არ დაგზარდებით განსხვავებული კუთხით დაწერაზე იმავე ტექსტზე.

თუ ვინმესთვის საინტერესო იქნება (ფორუმის სივრცეში).

ჰერმანევტიკა მომწონს და, ვნახოთ, შეიძლება მის ფარგლებს არც გავცდე...

გამიხარდა, რომ ჩემი კომენტარი ზუსტად იმ განწყობით მოვიდა, რითიც დავწერე...

მე მიყვარს ტექსტებთან კონტაქტი..

პროზასთან ოდნავ მეტი შეთანამდებით.

შალვა ბაკურაძე

«ვისკენ გავახილო ჩემი ქალაქის დათხრილი თვალები» – შეცდომითაა ციტირებული.

«ვისკენ გავახილო ჩემი თვალდათხრილი ქალაქი» – ასეა ტექსტში.

მადლობა, ნინო.

პოემის სიუჟეტს საგულდაგულოდ ვნილბავდი, მაგრამ შენს თვალს რა გამოეპარება?

კესო

ნინო, არაჩვეულებრივი წერილია პოემის ღრმა ანალიზით და პოეტური შინაარსის თუ ხერხების აღქმისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, იმდენად საინტერესო წასაკითხია, რომ მგონი თავად „ქმრების საკითხავსაც“ არ ჩამოუვარდება (რომელიც, ასევე, თავისთავად შესანიშნავი ნაწარმოებია).

ნატა ვარადაშვილი

საგულდაგულოდ, მარცვალ-მარცვალ წავიკითხე საკითხავის საკითხავი. «ფანტასტიკა»!

ანუ, რაც მოდიოდა «ქმრების» საზეპიროების კითხვისას, რაც ამოტივტივდა ტვინში, ნინო დარბაისელს სულ ერთიანად ამოუსხამს ბადედან და ჩამოუგვირისტებია.

პირველ რიგში, რაც ჩემთვისაც მონიშნული მქონდა, «მის» შინაგანი ხმა, ხმა არა მღალადებლისა უდაბნოსა შინა... ვფიქრობ, ქალბატონმა ნინომ ამ ხმაზე დააშენა თავისი წერილი...

ეს ხმა არის ზოგად სა-კაც-ობრიო. კაცი-ადამიანი-ღმერთისა. თავზარდაცემული კაცის ხმაა – იოსებს რომ ჩამოემსგავსა, იოსებს ქმრისას, მეუღლისას, თავს დანგრეულ თუ, პირიქით, ღირსად «ჩათვლისობისათვის».

კიდევ ნიშანდობლივი იყო თეთრი დედოფლის, ჩვენი ყოვლადწმიდა მარიამის სახე. მართლაც, თითქოს ახალ ხატსა ჭედავდეს შავი – შესანიშნავი ლექსის მწერი კაცი.

წერილში ჩემი ხმაც გაჟღერდა ქალბატონ ნინოს ხმასთან ერთად. ბევრ რამეს უბრალოდ გავიმეორებდი და სიამოვნებითაც თავს დასტურს ვცემდი, მაგრამ... ყველაზე მეტად მე, ერთ უბრალო მოკვდავსა და მკითხველს ამ «საკითხავიდან» და არა მარტო ქმრების საკითხავიდან, ერთი ხმა დამრჩა. ხმა ადამიანად გაჩენისა და ადამიანად დარჩენისა. ადამიანობის ნდობისა.

სხვათაშორის, როგორც ნათია ნაცვლიშვილმა დაწერა პოემა «ცოლების საკითხავი» და არა ჩვეულებრივი ქალური სინაზით, დედური ამოძახილებით «მეფუთა», «ქმრების საკითხავის» წაკითხვის შემდეგ მიხლოდა შვილების საკითხავი დამეწერა. თუ დამეწერა ან არ ვიცი, როგორ «დამეწერება» აუცილებლად თქვენს თვალსაწიერისათვის «გამოვაჩენ».

(ვ) ანუცა

რატომ არ გამიფრთხილდი, შალვა?

შესავალი

პირველ ყოვლისა, სულ მცირე შესავალს გავაკეთებ იმაზე, თუ რატომ გაჩნდა ეს ტექსტი ბუნებაში, რომელსაც ახლა უმზერთ (მათთვის, ვინც კონტექსტში გარკვეული არაა).

მისი «დაბადების» ინიციატორი ქალბატონი ნინოა, რომელმაც ჩემი მოლოდინისთვის განსაცვიფრებლად საოცარი დიდი მიმღებლობა გამოიჩინა, ჩემს მიერ მის კრიტიკულ წერილზე გაკეთებულ კომენტარზე (შალვა ბაკურაძის «ქმრების საკითხავის» შესახებ) და დაინტერესდა ამ კომენტარის უფრო ვრცელი ვერსიით.

და, მე რა უფლება მქონდა, თავი არ შემეწუხებინა (გადამედოო, უფრო კორექტული ვიქნებოდი მეთქვა, ქალბატონი ნინოს კვალიფიკაციიდან გამომდინარე) და კეთილი მენება და საფუძვლიანად დამესაბუთებინა ის რაც კომენტარში დავწერე.

სანამ უშუალოდ მსჯელობაზე გადავიდოდე, მინდა მოვხაზო ის სააზროვნო ჩარჩო, რომლის ტექსტშიც ვიტრიალებ.

გულუბრყვილობა იქნება იმის მტკიცება, ჩემი მსჯელობა შალვას ნაწარმოებზე არ იქნება ქალბატონი ნინოს საინტერესო კრიტიკული წერილის ზეგავლენის ქვეშ. შესაბამისად, ის განსხვავებულია იმ ხედვისგან, როგორც მე შალვას ნაწარმოებს კრიტიკული წერილის წაკითხვის გარეშე აღვიქვამდი. და, რათა, ადამიანური ბუნების გარდაუვალი ზეგავლენით მე უსინდისოდ არ შევეფარო და არ ვისპეკულირო უკვე გაკეთებული საინტერესო დასკვნებით, თქვენი ნებართვით, სუბიექტურ თვით-რეფლექსიას მივმართავ და ყოველთვის აღვნიშნავ პასაჟს, რომელიც არა მხოლოდ შალვას ნაწარმოების, არამედ ქალბატონი ნინოს გამოძახილია. ჰა, ჰა, ცოტა მაინც შემოგაპაროთ სპეკულაცია და ქალბატონი ნინოს დასკვნებზე ჩემი დავაშენო... ასე რომ, ფხიზლად იყავით.

სააზროვნო სივრცის მონიშვნა

კიდევ ერთი წინაპირობა ჩემი თეორიული სააზროვნო სივრცის განსაზღვრა იქნება. დამეთანხმებით, ბევრად მომგებიანია ერთმანეთს შევურიო ცნებები, ავზილო პარადიგმები და ჩემი სტუდენტობის ნაცადი ხრიკით «მომზადებულის» შთაბეჭდილება შევქმნა. ცდუნება დიდია.

რამდენიმე დღე ვიფიქრე იმაზე, რა პოზიციით უნდა დამეწერა ეს წერილი. პოზიციის არჩევისთვის დამჭირდება თვით-განსაზღვრება. რადგან ფაქტია, რომ ლიტერატურული კრიტიკის სპეციალისტი არ გახლავართ, ამ ტექსტთან ჩემი ძირითადი მიმართება «მკითხველის პოზიციას» და ასეც დარჩებოდა ბოლომდე, რომ არა ის ჩემი «დამღუპველი» კომენტარი.

ახლა კი, ანალიზის გარკვეული განზოგადებულობისა და სიმაღლის მისაღწევად სხვა მიდგომის გამოყენებაც მომიწევს (პროფესიულ ტერმინებსაც სამწუხაროდ ვერ ავცდები). მიზეზი მარტივია. პირველი კრიტიკული წერილი იმდენად კვალიფიციურად და პროფესიულად გამართულია, მის გვერდით მარტივი

«მკითხველის» განცდები უინტერესოდ გაიჟღერებს. მაშინ მე დავფიქრდი, რა ამგვარი ანალიტიკური ინსტრუმენტი მომეპოვებოდა ჩემს გამოცდილებაში.

სოციალური კვლევების სფეროში ტექსტების ანალიზი ჩემთვის ბუნებრივი პროცესია. მაგრამ ეს ანალიზი მკაცრ მეცნიერულ ანალიზს გულისხმობს და, შესაბამისად, განსხვავდება ლიტერატურული ტექსტების ანალიზისგან.

ამიტომაც გადავწყვიტე, არ დავყრდნობოდი უშუალოდ ჩემს პროფესიულ უნარებს და ერთი ნაბიჯით უკან დამეხია ზოგადად ანალიტიკური აზროვნების საფუძვლებში; ამერჩია პოზიცია და მერე ეს პოზიცია ჩემი, მკითხველის როლისთვის მომერგო. ამგვარად, მომეხდინა ჩემი, როგორც მკითხველის ემოციური, დამოკიდებულებითი კომპონენტისა და ტრადიციული ანალიტიკური პროცესის, ინსტრუმენტის ინტეგრირება (სოციალური კვლევების კონტექსტიდან მაქსიმალური დისტანცირებით).

ანალიტიკური პარადიგმის შერჩევა

მოგეხსენებათ, ფილოსოფიური აზროვნების არეალში ბევრ სხვა მიმართებას შორის ორი მნიშვნელოვანი ანალიტიკური პარადიგმა არსებობს, _პოზიტივისტური და ნატურალისტური. მოკლედ ვიტყვი თითოეულზე, რათა მკითხველი გაუგებრობაში არ აღმოჩნდეს. პოზიტივისტური აზროვნების წარმომადგენლები (მაგ. კომტე, 1969) რეალობას «ფაქტების» ერთობლიობად მიიჩნევენ. «რეალობა სადღაც იქაა და ჩვენ უნდა ვეცადოთ მის წვდომას», _ გახლავთ ტიპური პოზიტივისტური მსჯელობა. ამის საპირისპიროდ კი ნატურალისტებისათვის რეალობის სრულფასოვანი აღქმა თავისთავად ილუზიაა. რეალობა მათთვის მრავლობითი, ადამიანების მიერ კონსტრუირებული და ურთიერთ-დამოკიდებულია, რომლის ერთმნიშვნელოვანი ანალიზი ადამიანის გონების შესაძლებლობებს აღემატება. ისღა დაგვრჩენია, ჩვენ მხოლოდ რეალობის ჩვენი სუბიექტური განზომილებები გამოვაავლინოთ განუსაზღვრელ სივრცეში.

ჩემი სააზროვნო პარადიგმა შალვას პოემასთან მიმართებაში სწორედ უკანასკნელი იქნება, გამომდინარე ჩემი ზოგადად ადამიანის პოსტულატიდან და ამ კონკრეტული სიტუაციიდან _ სადაც მე ერთი მეასიათასედი მკითხველი ვარ და ჩემი პატარა რეალობა დამაქვს ჯიბით.

არჩეულ პარადიგმას კიდევ უფრო შევარბილებ ანალიზის მეთოდით. ქალბატონმა ნინომ ახსენა თავისი კრიტიკული წერილის განმარტებაში, რომ იგი ჰერმანეუტიკით სარგებლობდა. ჰერმანეუტიკის ძირითადი არსი ინტერპრეტაციაშია. ბევრი ფიქრის შემდეგ, მორიდებულად უარი ვთქვი ინტერპრეტაციის სურვილზე და ფენომენოლოგიისკენ გადავინაცვლე. გახლავთ კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც ინტერპრეტაციის ნაცვლად მხოლოდ გამოცდილებით პროდუქტს ბადებს.

შესაბამისად, შალვას პოემა ჩემში მხოლოდ «გაივლის» და ახალ გამოცდილებას მომცემს, მაგრამ ვინაიდან ჩვენ მაინც პროფესიულ ანალიზზე ვსაუბრობთ, მე ყველა ღონეს ვიხმარ, ეს გამოცდილება ოდნავ მაინც სტრუქტურიზებული, დალაგებული და გარკვეული ფორმით მივიტანო მკითხველამდე.

ქალბატონო ნინო, იცით რამ დამაფიქრა ყველაზე მეტად? ჰერმანეუტიკის წარმოშობამ და თქვენი კრიტიკული წერილის სიმბოლოების კლასიფიცირებამ. თქვენ თუ არა, ვის ეცოდინება, რომ ჰერმანეუტიკა სწორედ ბიბლიური ტექსტების ანალიზიდან იწყებს საფუძველს. ბიბლიის განმარტების მეთოდი _ ასე უწოდებენ მას სხვანაირად. უცნაურია, გამეღიმა ამ განმარტებაზე, როდესაც თქვენ ტექსტში სრული ანალოგია დავინახე.

ეს სწორედ ის ასპექტია, რამაც მე, როგორც მკითხველს, მცირე პროტესტი გამიჩინა თქვენი წერილის კითხვისას. იქნებ შევძლო ახსნაც...

ბიბლიური ციტატები და ტექსტები ჩემთვის ის სფეროა, რომელთან მიმართებაშიც უკიდურეს სიფრთხილეს ვიჩენ. მიზეზი მრავლობითია:

– ჩვენ არ ვიცით, ვინაა ამ განმარტების მკითხველი და, შესაბამისად, არც მისი რელიგიური პოზიცია. ამ გზით კი, შესაძლოა მისთვის იმთავითვე მიუღებელი გავხადოთ ტექსტი, რომელსაც განმარტებად ბიბლიის ციტატებს ვურთავთ.

– რელიგიური სიმბოლიკა ჩემთვის ერთმნიშვნელოვანი არ არის (მაგ. იხ. კრიტიკის ტექსტში «თეთრი ყველის და ხაჭოს სიმბოლო»), უფრო მეტიც, იქიდან გამომდინარე, თუ მე რამდენად მიახლებული ვარ ამ ცოდნას, მე მისი აღქმა სხვადასხვა დონეზე მომეცემა; შესაბამისად, შესაძლებელია, მე გარკვეული სიმბოლიკა ამგვარი განმარტებით გაუაზრებლად, გაუსულიერებლად მივიღო. რა გითხრათ, რამდენად სასურველია ეს? ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს და მოგეხსენებათ გაუზიარებელი მიღებები ხანდახან რა სამწუხარო შედეგებს იწვევს.

– რელიგიური სიმბოლიკა, თუნდაც ავტორს ზუსტად იმგვარად ეგულისხმა, რაგვარადაც განიმარტა, ჩემი გაგებით ინტიმის, საკუთრის, ხელშეუხებლის სფეროა; იმდენად ინტიმისა და გაუმჟღავნებლის, – ამის ნათელყოფა მას იქნებ არც ესიამოვნოს? მე უთუოდ შემაწუხებდა.

და ამ თავის ბოლოს შევხები ზოგადად სიმბოლოების და მეტაფორების ანალიზის ერთ-ერთ საინტერესო მიდგომას. მეტაფორების იდენტიფიცირებისა და შემეცნებისათვის ხორციელდება მათი მცირე ანალიზი კოგნიტური ლინგვისტიკის მეთოდით, ერთ მოვლენასთან დაკავშირებული მეტაფორების სენსორული ან კულტურალური ნიშნების გამოყოფით (როგორც მათი წარმოშობის წყარო) და იმ იდეის პოვნით, რითაც ნიშნები ერთმანეთთან გადაკვეთაში არიან. მე ეს მეთოდი ძალიან მომწონს, ვინაიდან ლაღია და მოქნილი, თუმცა არაზუსტი – მაგრამ რეალობა ხომ თავისთავად არაზუსტია.

ფენომენოლოგიური ნაწილი

მართალი გითხრათ, სუფთად მკითხველის თვალით წაკითხულმა შალვას პოემამ საშინლად დამამწუხრა.. რაც მეტად ვკითხულობდი, მით მეტად ვწუხდი და ვრწმუნდებოდი, რომ რელიგიური სიმბოლოებით მისი განმარტება უფრო მაზნევენს... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რელიგიურ ტექსტებზე დაფუძნება (თუ შალვას ეს ჰქონდა მიზანად) რაღაც ინტენციის შეტანას გულისხმობს. ეს ინტენცია ან «ხსნის», «გადარჩენის» სიმბოლოა, ან არ ვიცი... ყველა დანარჩენი ინტენცია მძიმეა და თავს შევიკავებ გაშიფვრისგან. «ხსნის» სიმბოლიკა ჩემთვის ამ ტექსტში თითქმის უხილავია. უფრო მეტიც, თუ მკვდრის მეტაფორას ავიღებთ (გაციებული, ცარიელი, გათოშილი), ის სრულიად მწუხარების მომგვრელია.

ტექსტიდან ყველაზე დიდი «გამოცდილება» ჩემთვის სრული გაურკვევლობა და ძიებაა. სრული გაორება, გაოთხება.. არა მხოლოდ ხედვაში არამედ დროში, ადგილში, პირში. მათი დამაკავშირებელი ხაზი კითხვაა: «ვის (მივმართო)..!/?». მიმართების ობიექტი აწმყოში ცხადია ავტორის მსჯელობებით, თუმცა მომენტალურად ხდება ამ ლოგიკის ჩაჭრა «ძირგახვრეტილი ჩექმის» სიცივის, წვიმის, სისხლის შეგრძნებებით და მიმართების ობიექტი იკარგება.

დინამიკაში პოემა კარდიოგრამის ემოციებს მამღევს ჩავარდნებით, ასვლებით, ჩავარდნებით...

სიცოცხლის მეტაფორა ტკბილი, ჭყლინტი, ნათელი «გულისრევის» (უარყოფის) განცდით იკვრება და ლოგიკური დასასრული საკუთარი თავის მკვდრად გამოცხადება..

გამართლებები რამდენიც გინდათ.. ახლობლების სიკვდილი, უსუსურობის განცდა, უმიზნობის განცდა..

ტექსტის განვითარება სრულიად ცირკულარულია. ტრიალებს სპირალურად – განვლილ ეტაპებად მეტი სიმძაფრით დაბრუნებით, სწორედ იქ მისვლით, საიდანაც დაიწყო – იმ განსხვავებით, რომ გააზრებულად, არაბავშვური მიაბიტობით, შეგნებული არჩევანით..

აი, ასეთია ჩემი მკითხველის მარტივი ფენომენოლოგიური განცდები. რა თქმა უნდა, არანაირი ანალიზით პოემის სტრუქტურასა და ტექნიკურ შესრულებაზე – არაკომპეტენტურობიდან გამომდინარე.

ერთი რა სიღრმისეული ემოციაც დამრჩა, არის ის, რომ იმ სიღრმეებს ვერ ჩავწვდი, რასაც ქალბატონი ნინო ჩასწვდა. თუმცა, მე ხომ უბრალოდ მკითხველი ვარ. აქამდე ასე მოვიდა. ძალიან მწუხარედ.

ეს ჩემი რეალობაა, შალვას რეალობის ჩემი რეალობა. ჩემი მწუხარე რეალობა ცოტა ემოციურია და მძიმე დეპრესიული პასაჟები მაღლა ახედვისა და სიღმეების წვდომის სურვილს მიკარგავს... უფრო მყარი ბუნების, ნაკლებ ემოციური მკითხველი უთუოდ სხვა რეალობას შექმნიდა... ამიტომაც ოდნავ ემოციების გაუფრთხილებელი თავსხმა მეჩვენება – რატომ არ გამიფრთხილდი, შალვა?

სულ ეს იყო...

ციკლიდან: პოეზიის პრაქტიკუმები

საუბარს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ლიტერატურულ პორტალზე <http://www.urkprki.ge/>- ზეე დაიწყო და «ებლიტფოზე» გაგრძელდა...

ომი, ეროსი და ზევსის დაქალი

ზევსის დაქალი: სალამი, როგორ ხარ? თქვენი აზრი მაინტერესებს ჩემს ბოლო ნამუშევარზე. თუ გსურთ, «პირადში» მომწერეთ, თუ გსურთ - კომენტარებში. რაღა თქმა უნდა, თუ არ დაგეზარებათ.

ნინო დარბაისელი: მადლობა, კარგად ვარ, ძვირფასო. თუ ახლა კარგად ყოფნა შესაძლებელია. სად არის ეს ლექსი, აქ „ურაკპარაკზე“?

ზევსის დაქალი: ხო, აქაც არის. ბოლო, რაც დავდე.

ნინო დარბაისელი: ის, „რუსის ჯარივითო?“

ზევსის დაქალი: დიახ, ლიტერატურა.გეზე ვნახე თქვენი შეფასება, მაგრამ კომენტარის გარეშე და მე კი ყველაზე მეტად კომენტარი მაინტერესებს.

ნინო დარბაისელი: რა შეფასება მეწერა, ხომ არ გახსოვთ?

ზევსის დაქალი: მინუს 2

ნინო დარბაისელი: ასეც ვიფიქრე. უკვე მოვძებნე თქვენი ლექსი:

თითქოს სასმელით გონდაკარგულმა

მხოლოდ დილითღა გავახილე

თვალები მძიმედ
და ჩემს გვერდით აღმოგაჩინე
შენ,
სულ სხვა ვინმე.
ფერი მეცვალა და რეალობას
ვეღარ ვმაღავ უკვე ნიღაბქვეშ,
სარკიდან მიმზერს თვალი თვალში
ჭეშმარიტება,
შენ ის არა ხარ.
მე სხვას გაზომებ
ისე, როგორც ნათხოვარ სამოსს
გრძნობას,
სასხვისოდ აღძრულს.
დღეს ატკიებულ სიამაყეს
შენს სიტბოს ვაფარებ,
ვით დაბომბვის დროს –
ნოტიო სარდაფს.
რუსის ჯარივით გამიჯიუტდა
მასზე ფიქრი,
არ გადის ჩემგან.
შენ კარავი ხარ,
დროებითი თავშესაფარი,
მე კი - ლტოლვილი
და ჩემი სახლი მენატრება,
ჩემი კედლები,
დანგრეული და გადამწვარი.
შენ ყურადღება მოადუნე
და საზღვარზე გადაგეპარე,
იქ დავბრუნდი,
ხიდაფეთქებულ და დანადმულ
ჩემს სამშობლოში.
იქ ჩემი გრძნობა,
გმირულად მკვდარი,
ასვენია,
უნდა ვიპოვო
და დავიტორო, როგორც წესია.

ვერ შეგიყვარე...
არა, გთხოვ! გესმის?
არ მაპატიო!
ასე ნუ დამსჯი,
შენს პატიებას
ნუ ამკიდებ
ტვირთად სუსტ მხრებზე,
ვერ შევძლებ ზიდვას.

მოდი, უბრალოდ დამიბრუნე
თავისუფლება!

აი ჩემი შენიშვნები:

1. «მხოლოდ დილითღა» ცუდი ქართულია ან «მხოლოდ დილით», ან «დილითღა»;

2. ჩემ გვერდით და არა ჩემს გვერდით იხ. ორთოგრაფიული ლექსიკონი.

3. სარკიდან მიმზერს თვალი თვალში – არასწორია. არსებობს ხატოვანი თქმა: «თვალი თვალში გამიყარა» მან მე – ენობრივად გასამართია.

4. სტილისტიკურად, მით უმეტეს ლექსში დეფექტურია ამდენი ასო -ბგერა სანის თავმოყრა: «სიამაყეს შენს სიტბოს ვაფარებ»; თანაც ერთმანეთს მიყოლებული ორი ობიექტი, პირდაპირი და ირიბი მიცემით ბრუნვაში.

გაუგებარია, რა მოიმოქმედა ლირიკულმა გმირმა: სიამაყეს გადააფარა ვიღაცის სიტბო თუ ვიღაცის სიტბო გადააფარა ატკიებულ სიამაყეს.

ამ ტიპის გაუმართაობის კიდევ ერთი მაგალითია: «ნათხოვარ სამოსს გრძნობას, სასხვისოდ აღმრულს» დაუკვირდით, რა არაესთეტიკური სისინი ისმის!

მსახიობი რომ იყოთ და ეს ლექსი ხმამაღლა გქონდეთ წასაკითხი, არაფერი გეშველებათ, თუნდაც უნაკლოდ გქონდეთ ათვისებული ენისგასატეხი: «ეს სოსოს სასოსისეა»".

5. სახეობრივი ტავტოლოგიაა – ნოტიო სარდაფი-კარავი.

6. ახლა დაუკვირდით, რას ამბობთ: "კარავი ხარ და საზღვარზე გადაგეპარეო. კარავს არ ეპარებიან. მაგრამ იპარებიან კარვიდან, ლექსის ბოლოს სთხოვთ ამ კარავს ანუ ნოტიო სარდაფს, თავისუფლება დამიბრუნეო. გაპარული ხომ უკვე «თვითგათავისუფლებულია»? ამის გამო აქ მხატვრული ლოგიკა დარღვეულია.

7. ტავტოლოგიურია: ნუ ამკიდებ ტვირთად სუსტ მხრებზე" და «ვერ შევძლებ ზიდვას". ფრაზა «სუსტ მხრებზე აკიდება" უკვე ნიშნავს, რომ რაღაცის ზიდვას ვერ შესძლებთ. თუმცა ეს შეიძლება მაინც დარჩეს, რადგან წრფელი, მღელვარე დიალოგის დროს ადამიანებს ახასიათებთ იგივე სათქმელის გამეორება სხვა სიტყვებით, და ამ ბუნებრიობის მხატვრულმა იმიტირებამ შესაძლოა კარგადაც იმუშაოს, როცა სხვა დეფექტები გასწორდება ლექსში.

8. ახლა უმთავრესი რამ:

ეს ლექსი ან კაცის დაწერილი მეგონა, ან არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ქალისა, და რატომ?

ადრესატის დამახასიათებელი სახეები: სარდაფი, კარავი, სახლი... მოკლედ, სათავსები, სხვადასხვა მოდიფიკაციით, ერთმნიშვნელოვნად ქალური ეროტიკული სიმბოლოებია ფსიქოანალიზშიც და პოეზიაშიც.

ამ წერილის დაწერას ერთადერთი დანიშნულება აქვს: მინდა გულდასმით გაეცნოთ ჩამოთვლილ შენიშვნებს, სცადოთ დასაბუთება, რომსწორი არ არის, ანუ დაეჩვიოთ საკუთარი შემოქმედებითი პოზიციის არგუმენტირებულ დაცვას, გახდეთ თვითკრიტიკული.

მაინტერესებს თქვენი პასუხი.

ასე რომ, ნუ დაიზარებთ. თუ ლექსის ახალ ვერსიას დაამუშავებთ, ისიც გამომიგზავნეთ. ეს წერილიც შეინახეთ, შეიძლება რამეში გამოდგეს.

აბა, გელით!

ზევსის დაქალი: ამ ვერლიბრში იყო მცდელობა ჩემი ანუ ქალის რომანტიულ-ეროტიკული განცდების ასახსნელ-დასახატად გამომეყენებინა ოკუპირებული

ქვეყნისთვის დამახასიათებელი ლექსიკა. ის მამაკაცი, ვისაც მივმართავ, ჩემი თავშესაფარია, როგორც კლდე. ამ შემთხვევაში კი სარდაფი, სადაც დაბომბვას ვეძებ. ვაფარებ-შეფარება ზმნის ფორმაა ამ კონტექსტში. მის სიტბოს შევაფარე. კარავში კი იგულისხმება აეროპორტის გზაზე აშენებული კარვების ქალაქი. მთელ ვერლიბრში ერთმანეთთან დაკავშირების გარეშე შემომყავს ახალი სიმბოლოები თუ განსაზღვრებები ამ უცნაური ურთიერთობის დასახასიათებლად. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ამ შემთხვევაში ომის სცენარით მიდის. დაბომბვის დროს ის სარდაფია და თავს ვაფარებ. ლტოლვილი ვხდები თბილისში და ის კარავია, სადაც დროებით ვცხოვრობ. გორში დამრჩა ის, რაც ნამდვილად ჩემია და საზღვარზე ვეპარები, აქ იგი უკვე რუსი მეზღვრეა თუ ჯარისკაცი. როდესაც თავისუფლების დაბრუნებას ვთხოვ, იგი უკვე რუსეთია და მე საქართველო, ან ისევ ლტოლვილი, რომელიც მართალია გორში შევიპარე ღამით, მაგრამ საქართველოდან გასვლას ვთხოვ რუსეთს.

მხოლოდ იმიტომ ავხსენი, რომ თქვენ გაინტერესებდათ ჩემი აზრი. ისე კი დაუწერელი კანონია, ლექსს ამხელა ახსნა თუ სჭირდება, ე. ი. მკითხველამდე ვერ მიმაქვს და არ ვარგა.

ეგებ მიპასუხოთ.

ნინო დარბაისელი: ჩანაფიქრი საინტერესოა, მაგრამ, მგონია, ქალი-ავტორის მხრიდან განუხორციელებადი.

ვფიქრობ, მთავარი პრობლემა, რომელმაც ხელი შეგიშალათ ამ ლექსის სახეობრივ-კონცეპტუალურ გამართვაში, სწორედ ის არის, რომ მილიტარულ პლანს თქვენს არსებაში ინკუბაციის პერიოდი არ დაუსრულებია. ჯერ არ არის მზად, რომ მხატვრულ განცდად იქცეს და ეროტიკულ პლანს ორგანულად შეერწყას.

ახლა კლდეზე: კლდე მამაკაცური სიმბოლოა, ქვეცნობიერ ფსიქიკაშიც, პოეზიაშიც, ქრისტიანულ რელიგიაშიც, გავიხსენოთ სახარებისეული პეტრე; აი, გამოქვაბული კი დედის წიაღს მიემართება. არსებობს ე. წ. ჰეტეროსექსუალური ან ბისექსუალური სახე-სიმბოლოებიც, ისეთი, როგორიცაა გამოქვაბულიანი კლდე. მასში ორი საწყისია შეერთებული: მასკულინური – კლდე და ფემინური – სიღრმე, საფარი, სათავსი.

რასაც თქვენ ხსნით გორი-თბილისის, დროებითი თავის შეფარებისა და ა.შ. შესახებ, ეს უკვე კერძო სოციალური პლანია და მისი შემოჭრა ეროტიკა-მილიტარისტიკაში საბოლოოდ ურევს ყველაფერს...

ლექსის მეტყველი პერსონაჟი კაცი რომ იყოს და ქალს მიმართავდეს, კიდევ შეიძლებოდა ამ ლექსის გადარჩენა.

მოდით, ასეთი რამ ვცადოთ: პირადი გამოცდილება – გამოცდილებად და პოეზია – პოეზიად. მამაკაცი ლაპარაკობდეს, ქალს მიმართავდეს, ამ შემთხვევაში, 'სუსტი მხრები' შესაცვლელი იქნება. თუ გინდათ, ლექსის ბოლოს ამოიღოს ამ ქალმა-პერსონაჟმა ხმა. ვნახოთ, რა გამოგივათ.

ზეესის დაქალი: როგორც ვხვდები, ცოტა მეტი განათლება რომ მქონდეს და სიმბოლოების არჩევისას უფრო ფრთხილი ვიყო, ასეთ არევასაც აღარ გამოიწვევდა ეს ყველაფერი. თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ წერის დაწყების წინ არასოდეს ვიცი, რას დავწერ. როდესაც კალამს ვიღებ ხელში, ჩემში მხოლოდ ემოციაა და პირდაპირ ფურცელზევე ვიწყებ ამ ემოციის აღწერას. რაც თავის გასამართლებლად მოგწერეთ, ეს ჩანაფიქრი კი არ იყო, უკვე დაწერილი დავახასიათე ადვოკატის პოზიციიდან, ასე ვთქვათ. ვიდრე თქვენ არ მკითხეთ, არც კი დავფიქრებულვარ.

რაც შეეხება ლექსის გადარჩენას, ჩემი აზრით, არ მოხერხდება. რამდენადაც შესაძლებელია არა რაღაც გარეგნული, არამედ შინაგანი, რისი შეცვლაც ჩემი ნაწერისა და ჩემს გაუცხოებას გამოიწვევს.

დარჩეს ეს ვერლიბრი "განუხორციელებელ ჩანაფიქრად". ეგებ ოდესმე რამე მოვუხერხო.

კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა ასეთი ვრცელი კომენტარებისთვის.

ნინო დარბაისელი: ადვილად ნუ ყრით ფარ-ხმალს!

აი, პირველი შემოქმედებითი ამოცანა-გამოწვევა:

წარმოიდგინეთ, რომ ეს თქვენი ერთადერთი ლექსი უნდა იყოს და სხვა დროს არ მოგეცემათ წერის საშუალება. ამიტომ, რაღაც არ უნდა დაგიჯდეთ, შედეგრი უნდა გამოიყვანოთ. ჩემი მხრით, მე "ვითხოვებ" ამ ტექსტს და ჩემს მაქსიმუმს გავუკეთებ. გამომსახველობით საშუალებებს, ფორმებს მოვსინჯავ. ვნახავ, რას მოიხდენს.

გავეჯიბროთ!

და ნუ გეგონებათ, უთანასწოროა ეს შეჯიბრი. თქვენ გაქვთ ის, რაც მე უკვე აღარ მაქვს. დავარქვათ ამას შემოქმედებითი გზნება., მე მაქვს ის, რაც თქვენ ჯერ არა გაქვთ – დავარქვათ პროფესიონალიზმი ან გამოცდილება.

თუ საინტერესო შედეგი მივიღეთ, იქნებ ამ სახით გამოვაქვეყნოთ კიდევ. ასეთი რამ ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში, როგორც ვიცი, არ გაკეთებულა და, ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება. თუ პირობაზე თანახმა ხართ, ვადა თქვენ დაასახელებთ, მე მივიღებ.

ზევსის დაქალი: სიამოვნებით ვიხილავ, როგორ ააწყობთ ლექსს ჩემს მასალაზე როდესაც დაასრულებთ, მანახეთ.

ანუ ვნახავ როგორ განახორციელებდა პროფესიონალი ამ იდეას.

ნინო დარბაისელი: არა, ასე არ გამოვა. პირობა ასეთია: ორივე ვიღებთ ამ ტექსტს, როგორც «"პრე პოემს"» ანუ წინარე ლექსს, მასალას და ჩვენს მაქსიმუმს ვაკეთებთ ცალკე, ხოლო ვადა თქვენ უნდა განსაზღვროთ, მე მივიღო.

ზევსის დაქალი: ხვალ სადამოს ვნახოთ რა გამოგვივა. ძალიან ადრე ხომ არაა?

ნინო დარბაისელი: აი ახლა მომწონხართ! ვადა მიღებულია.

ზევსის დაქალი: კარგი, ბატონო!

ნინო დარბაისელი: წამმზომი ჩართულია!

ზევსის დაქალი: სალამი. აქ ხართ? დაწერეთ? მე დავწერე. ახლა ავკრეფ და გამოგიგზავნით.

ნინო დარბაისელი: მე დიდი ხალისით ვმუშაობდი, მაგრამ უცებ განწყობა გამიფუჭდა. ალბათ ცოტა ხანში დავმშვიდდები და მუშაობას განვაგრძობ. ასე რომ, დამასწარიტ და ეგ არის! სულმოუთქმელად ველი ლექსს.

ზევსის დაქალი _

ნელ-ნელა მოვდივარ გონს,
ვგრძნობ, რომ ისევ ვგრძნობ.
ვახელ თვალს და ვხედავ თეთრ ჭერს,
ვუყურებ დიდხანს,
ვიხსენებ სიზმარს.
ვიცი, გაფითრებულ სარეცელზე

ჩემ გვერდით შენ წევხარ.
წინა ღამეს ვითამაშე უკანასკნელად
ჩემი როლი
შენს სიყვარულში,
დღეს რეალობას ვეღარ ვმაღავ
უკვე ნიღაბქვეშ,
სახეში მიმზერს დაბზარული სულის სარკიდან
ჭეშმარიტება:
შენ ის არა ხარ.
ამაოდ გაზომებ
სასხვისოდ აღძრულ გრძნობას,
თითქოს სამოსია, შენი არზომა.
ჩემი დარბეული სიამაყე
შენს სიტბოს თავს აფარებს,
როგორც დაბობმვის დროს - სარდაფს.
რუსის ჯარივით გაჯიუტებული მასზე ფიქრი
არ გადის ჩემგან.
შენი მკლავები ახლა ხსნა არის,
დროებითი თავშესაფარი,
თუმცა არ მინდა, სამუდამოდ შენთან დარჩენა.
მე ლტოლვილი ვარ
და მენატრება
ჩემი კედლები,
ჩემი სახლი,
დანგრეული და ნახანძრალი.
ვიცი, დღეს თუ არა, ხვალ
ყურადღებას მოადუნებ
და საზღვარს გადავალ, გაგეპარები,
იქ დავბრუნდები,
ხიდაფეთქებულ და დანადმულ
ჩემს სამშობლოში,
სადაც გრძნობა ჩემი,
გმირულად დაცემული,
ასვენია,
უნდა ვიპოვო და დავიტვირო,
როგორც წესია.
ვერ შეგიყვარე. . .
არა, გთხოვ! გესმის?
არ მაპატიო!
ასე ნუ დამსჯი,
შენს პატიებას ნუ ამკიდებ
ტვირთად სუსტ მხრებზე,
ვერ შევძლებ ზიდვას.
მოდით, უბრალოდ დამიბრუნე
თავისუფლება!

ნინო დარბაისელი _

გადმომლახველი

როგორ თენდება!
უკვე საგნებიც იბრუნებენ საკუთარ ფერებს.
ავცქერი ჭერს და სითეთრეში სიზმარს დავეძებ.
ჩემ გვერდით წევხარ,
ვიცი ახლა გაგელვიძება
და დამთავრდება სიზმარ-ცხადი
და ვიდრე წახვალ,
მეტყვი,
რომ წუხელ,
ყველგან გდევდა ფიქრი მქეჯნავი,
გისაფრდებოდა ყველგან რუსის ჯარისკაცივით,
მაგრამ შენ მაინც გადმომლახე ყველა საზღვარი
და მე ვარ შენი საიმედო თავშესაფარი,
მყუდრო კარავი, დაცემული სამშვიდობოზე,
რომ ეს მკლავები შვება არის ლტოლვილისათვის,
მაგრამ იქ დაგრჩა მშობლიური შენი სახლკარი,
შენი კედლები დანგრეული და ნახანძრალი
და თუმცა ირგვლივ ყველაფერი დანადმულია
და ყველა ხიდი საბოლოოდ არის დამწვარი,
უნდა წახვიდე,
რადგან მკვდარსაც უნდა პატრონი
და დაცემულთა დატირება ძველი წესია...

არა,
გთხოვ,
გესმის?
მე ნულა მომთხოვ პატიებას,
ვიცი, მე სხვა ვარ
და მძიმე არის ტვირთი ჩემი სუსტი მხრებისთვის,
უბრალოდ წადი,
წადი უხმოდ,
წადი უთქმელად
და დაიბრუნე დაწყევლილი თავისუფლება!

ზევსის დაქალი: საინტერესო ვარიანტია, ფაქტობრივ შებრუნებული იმისა, რაც მე დავწერე თუმცა მეორე ვარიანტისა.

ნინო დარბაისელი: მართალი ხარ.

რაკი უნდა შეგვენარჩუნებინა მთავარი ჩანაფიქრი _ ეროტიკული და მილიტარული პლანების შერწყმა, ხოლო სიმბოლიკა რომ მოწესრიგებულიყო, სიმბოლოები გადასაყვანი იყო კაციდან ქალზე, მე ამ გზით წავედი, ასევე, ამოვიღე ლექსიდან მსჯელობითი ნაწილი, მხოლოდ ძირითადი მომენტები შევინარჩუნე.

მინიშნებების დონეზე გამოვკვეთე ეროტიკული პლანის სოციალური მხარე. კაცი მიდის ახალგაზრდა ქალისგან თავის დასნეულებულ-დანგრეულ ცოლთან. რადგან აქ დროებითი თავშესაფარი ეგულება, იქ კი სამშობლო უცდის.

მკვდრების დამარხვის მოტივს თითქოდა ტრადიციული ფორმულის ღია სახეც მივეცი, მაგრამ სინამდვილეში, აქ სახე ზომიერად გავაზუნდოვნე. მკითხველში რჩება უპასუხო კითხვა: ვინ ან რა არის დაცემული და დასამარხი?

ცოტა კეთილხმოვანებასა და რიტმსაც შევავლე ხელი, მაგრამ ინტონაცია, რომელიც მომწონდა ფინალში, პრაქტიკულად, არ შემიცვლია.

ამ ვერსიას ცხადია, გჩუქნი... შენ ხარ ავტორი, მე – უბრალოდ, მხატვრული რედაქტორი. თუ სადმე ნორმალურ ჟურნალ-გაზეთში აპირებ გამოქვეყნებას, გირჩევდი, ამ ორი ვარიანტის შეჯერებით მესამე საუკეთესო გამოგეყვანა.

თუ ეს რჩევა ჭკუაში დაგიჯდა. შეგიძლია წინასწარ გამაცნო ლექსი, რომ რამდენადაც შესაძლებელია, 'საგარეო ფორმაში ჩავაყენოთ'.

აბა, შენ იცი!

მარსიანი

სახელდახელო გამოხმაურება

ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე, გიორგი კილაძემ გადმომცა ზაზა შათირიშვილთან საუბრის ტექსტი (საუბრის ტექსტი მოგვიანებით დაიბეჭდა ლიტერატურულ კრებულში - «ლიტერატურული... (სტუმრობები ამელისთან, ინტერვიუები, რამდენიმე კითხვა, პირისპირ)», რომელიც ამას წინათ ჟურნალ «ცხელი შოკოლადის» ლიტერატურულ დამატებაში გამართულ დისკუსიას შეეხება. დისკუსია გამოიწვია ზ. შათირიშვილის ამავე ჟურნალში გამოქვეყნებულმა სტატიამ «არტისტული ყვავილებიდან Art ყვავილებამდე». ამ დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვიყავი. ზაზა შათირიშვილი აცხადებს, რომ განზრახული აქვს ოპონენტთა ნააზრევს დეტალურად გაეცნოს და ყველას უპასუხოს. ალბათ ჯობდა, დავლოდებოდი მის პასუხს, მაგრამ რაკი გ. კილაძემ შემომთავაზა ამ ინტერვიუს გამოვხმაურებოდი, მეც აღარ დავაყოვნე.

ამ ინტერვიუში ზ. შათირიშვილი ოპონენტებს საყვედურობს, რომ ისინი «ფსიქოლოგიური» არგუმენტებით უპირისპირდებიან და მისი გემოვნების განსაზღვრასა თუ მისი განზრახვის დადგენას უფრო ცდილობენ, ვიდრე სტატიის («არტისტული ყვავილებიდან Art ყვავილებამდე») სწორად წაკითხვას. სინამდვილეში, როგორც თვითონ აცხადებს, არც სიმბოლისტები, არც გალაკტიონი და არც მის მიერ დიდ პოეტ-ნოვატორად გამოცხადებული რეზო გეთიაშვილი არ ყოფილან მისი საყვარელი პოეტები, მაგრამ მათი შემოქმედება აინტერესებს, როგორც ფილოლოგს და ამიტომაც იკვლევს; შემდეგ იგი ამბობს, რომ XX საუკუნეში სულმა («სულიწმინდამ») დატოვა პოეზია (საერთოდ ხელოვნება) და «ფაქტობრივად, მთელი XX საუკუნის დიდი პოეზია (და არამხოლოდ პოეზია) ესაა – თუ როგორ ტოვებს სული პოეზიას». სწორედ ეს ყოფილა გამოხატული უოლეს სტივენსის «ნიუ ჰეივენის ჩვეულებრივ საღამოში» და ტ. ს. ელიოტის «Waste Land»-ში («უნაყოფო მიწა»). იგივე გამოუხატავს რ. გეთიაშვილს თავისი მეთოდით «იდიომების» დაშლით და გ. ალხაზიშვილს თავისი «პირველი «ქორონიკონით», რომელიც ზ. შათირიშვილის თქმით, არის «ალბათ ერთადერთი გააზრებული კრებული ბოლო 40 წლის განმავლობაში». ვფიქრობ, ზ. შათირიშვილი

თავისთავად გულისხმობს, რომ მსგავსი რამ ხდება გალაკტიონთანაც, რომელსაც აგრეთვე მიაკუთვნებს XX საუკუნის დიდ პოეტთა რიცხვს...

«სული არის ის, რასაც საზრისი შემოაქვს», ხოლო «საზრისი არის მეხსიერება – ხსოვნა», – ასეთია ზაზა შათირიშვილისეული განმარტებები. და რაკი სულმა დატოვა პოეზია, აქ (პოეზიაში) საზრისიც უკვე არ ყოფილა. დღევანდელი პოეტებისათვის კი, მისი აზრით «სამი ალტერნატივაა: ა) წეროს რეპი, ბ) გააგრძელოს ფრაგმენტებით თამაში, გ) მედიტაცია – ლოცვა».

მე, სამწუხაროდ, არ წამიკითხავს ზაზა შათირიშვილის სტატია «პოეტი და პოეზიის იდეა ევროპულ ლიტერატურაში», სადაც სწორედ ამ საკითხებზე ყოფილა საუბარი. ინტერვიუში კი ავტორი მეტს აღარაფერს ამბობს, რადგან ერთხელ ნათქვამის განმეორება არ სურს. ამდენად, უნდა დავეყრდნო მის მოკლედ გამოთქმულ დებულებებს და შეძლებისდაგვარად ადეკვატური გამოხმაურება ვცადო.

რა თქმა უნდა, ფილოლოგის პირადი საქმეა, უყვარდეს თუ არა იმ პოეტის შემოქმედება, რომელსაც იკვლევს: გალაკტიონზე დაწერილი გამოკვლევა ზ. შათირიშვილისა ახალი, მეტად საინტერესო ეტაპია გალაკტიონოლოგიაში და ჩვენთვის ესაა მთავარი. მაგრამ ის კი გაუგებარია, რას ნიშნავს «სულის მიერ პოეზიის დატოვება». განა შეიძლება პოეზია ეწოდოს იმგვარ ტექსტს, რომელშიც სული არ არის? თუ აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ დღეს უამრავი უსულო ტექსტი პოეზიად საღდება, ეს სხვა საქმეა; მაგრამ ელიოტის «უნაყოფო მიწა» სულის და საზრისის გარეშე რომ იყოს დარჩენილი, როგორღა იქნებოდა იგი პოეზიის შედეგრი? ასე რომ, უნდა დაზუსტდეს – თანამედროვე ეპოქაში სულმა ადამიანური ყოფა დატოვა და პოეზიაშიც, შესაბამისად, ესაა გამოხატული. პოეზია სწორედ იქაა, სადაც ადამიანური სამყაროდან ლტოლვილი სული აფარებს თავს!

განა არ მესმის, რომ მოდერნულ-ავანგარდულ ხელოვნებაში გამოხატული რეალობა ხშირად (თუმცა არა ყოველთვის) მოკლებულია იმგვარ სინათლესა და ნაივურობას, როგორიც ძველ ხელოვნებას ახლდა: ამის მიზეზია ადამიანური ყოფის მზარდი (გნებავთ, კატასტროფული) დაშორება ღვთიური საწყისისაგან; და რაკი ნებისმიერი ხელოვნება თავისი ეპოქის სულიერებას გამოხატავს, სულიერებისაგან დაცლილი ეპოქის ხელოვნებისეული ხატი ხშირად პირქუში და «უსულო» ჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად: ხელოვნება, მიუხედავად რა თავისას ეპოქალურ ტენდენციებს, ხშირად «დეჰუმანიზებულიობის» ნიღაბს იფარებს, მაგრამ როგორც ერთი დიდი ხელოვანი (მგონი კაფკა) იტყოდა, «ჩვენს სიცილს ნუ უსმენთ, ამ სიცილის მიღმა დამალულ ცრემლს შეხედეთო» (არ ვიცი, რამდენად ზუსტია ციტირება): ხელოვნება სწორედ ნიღბების არლეკინური თამაშით იფარავს სულს, ცდილობს რა მის გადარჩენას ძნელბედობის ჟამს... ირონიული, პაროდული, ცინიკური ნიღბები იცავენ სულს არაადამიანურობამდე გადაგვარებული სამყაროს აგრესიისაგან...

მიუხედავად ყოველივე ამისა, დიდი ხელოვნება არცთუ იშვიათად პირდაპირ და შეუფარავად გვთავაზობს ნუგეშს: «დღეს ყველგან მზეა და სილამაზე, სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი»... ასე რომ, თანამედროვე ხელოვნების დეფინიცია ცალსახა ვერ იქნება, თუმცა, რა თქმა უნდა, ზოგადად აშკარაა დეჰუმანიზაციის ტენდენცია.

ზაზა შათირიშვილის ოპონენტთაგან იქნებ მე ყველაზე ნაკლებად მეკუთვნოდეს მისი საყვედური «ფსიქოლოგიური არგუმენტებით» მანიპულირების შესახებ, მაგრამ ერთს კი ვიტყოდი – ზაზა შათირიშვილსაც, ისევე როგორც მე და არაერთ სხვასაც, აწუხებს შედარებით ლოკალური, მაგრამ საჭირობოროტო რეალური პრობლემა – დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში კატასტროფულად მომრავლება იმგვარი პროდუქციისა, რომელსაც ჭეშმარიტ პოეზიასთან საერთო არაფერი აქვს და მაინც

პოეზიად მიიჩნევა: სულმა პოეზია კი არა, ის ლიტერატურული სივრცე დატოვა, სადაც პოეტებად შერაცხულ ამბიციურ მოკალმეთა ლეგიონები ბოხოქრობენ... სული, ბოლოს და ბოლოს თვითონაა პოეზია და თუ რომელიმე ლექსად შეთხზული ტექსტი უსულოა, რა ძალა გვადგას, რატომ ვუწოდებთ მას პოეზიას? ან რატომ იწოდებიან პოეტებად ისინი, ვინც ამგვარ უსულო ტექსტებს თხზავს?

ახლა რაც შეეხება ზაზა შათირიშვილის მიერ პოეტებისათვის შეთავაზებულ რეცეპტს: «რეპის», «ფრაგმენტებით თამაშის» და თუნდაც «მედიტაცია-ლოცვის» გარდა სხვა ფორმების გამოყენება ვერ მოიტანს სასურველ შედეგს? მაგალითად, საინტერესოა, როგორი დეფინიცია შეიძლება მიესადაგოს ამგვარ ლექსს:

«სანსარა. მაია.

სენსემაია.

მაისის ყანებში კობრა ნაია.

მესიზმრა სიმწვანე უშორეს სფეროთა:

ვესტინდოეთი და ოსტინდოეთი

თეთრსახიანის ჩამოსვლას ელოდა

და მე ვთქვი: მოვედი.

და იმ ჩემს სიზმარში მე ვიყავ სიზმარი

შავთა და წითელთა».

სიმართლე რომ ვთქვა, გამოთქმა «ფრაგმენტებით თამაში» მთლად კარგად არ მესმის, არ ვიცი, მასში ზ. შათირიშვილი რაიმე ნეგატიურ შინაარსს დებს თუ უბრალოდ, ნეიტრალურ სახელდებას ახდენს კონკრეტული ლიტერატურული მოვლენისა. კარგი იქნება, თუ იგი კონკრეტული მაგალითებით დაგვიზუსტებდა ნათქვამს, ვთქვათ, იმავე რ. გეთიაშვილის, ანდა გ. ალხაზიშვილის ლექსებს თუ მოიტანდა ნიმუშად და ამ ნიმუშებს მიუსადაგებდა თავის ტერმინოლოგიას (ხოლო თუ ეს ტერმინოლოგია მხოლოდ სხვა, «დიდ პოეტად ვერშემდგარ» მოკალმეთა შემოქმედებას მიესადაგება, მაშინ მათი ლექსების მოტანა შეიძლებოდა ზ. შათირიშვილის შეხედულებების საილუსტრაციოდ).

მე პირადად მიმაჩნია, რომ პოეტი დღესაც, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ეპოქაში, არაფრით თავს არ უნდა იზღუდავდეს და საჭიროებისამებრ იყენებდეს ყველანაირ სალექსო ფორმას. რითია ეს «რეპი», «ფრაგმენტებით თამაში», და «მედიტაცია-ლოცვა» სხვაზე უფრო ადეკვატური ფორმები დღევანდელი პოეზიისთვის? არ ვიცი, ამ სიბრტყეზე რამდენად შესაძლებელია ვისარგებლოთ იმგვარი გამოთქმებით, როგორიცაა მაგალითად, «ნეოკლასიციზტური ფორმის მქონე მეტაფიზიკური ლექსი» ან «რეალისტური შინაარსის შემცველი ვერლიბრი»? შესაძლებელია თუ არა დღეს სონეტებისა და ტრიოლეტების წერა? სხვაგან რომ არ დავიწყო მაგალითების ძებნა, ჩემ საკუთარ პოეტურ პრაქტიკაზე მოგახსენებთ: სონეტებიც დამიწერია, ტრიოლეტებიც, ვერლიბრიც, ჩვეულებრივი კონვენციული ფორმის ლექსებიც და იაპონური ტანკას და ჰოკუს მსგავსი პოეტური მინიატურებიც; უკიდურესად ავანგარდისტული ფორმებისთვისაც მიმიმართავს და უკიდურესად კლასიციზტურისთვისაც; ვიყენებ რეალისტურ, იმპრესიონისტურ, მეტაფიზიკურ ტროპიკას – სათქმელის ხასიათის შესაბამისად; თანაბრად მახლობელია ჩემთვის ლირიკული, დრამატული, ელეგიური თუ ირონიულ-პაროდული ინტონაციები...

იქნებ ზ. შათირიშვილის მიერ გამოყენებული ტერმინი «ფრაგმენტაცია» მართლაც მიესადაგებოდეს ერთობ დიდ ნაწილს იმ ლიტერატურული პროდუქციისა,

«თანამედროვე ქართულ პოეზიად» რომ იწოდება, თუ ამ ტერმინში ვიგულისხმებთ თემატურ დაწვრილმანებას, ყოფითი განწყობილებებისა და ანტურაჟის სიჭარბეს, მასშტაბური სათქმელის უქონლობას, «მაღალი მატერიებისათვის» ზურგის შექცევას, ანუ მოკლედ, პოეზიის საგნის დაკარგვას...

მე ასე ვიტყვოდი: «თანამედროვეობის» პრეტენზიით მოდიდგულე მთელი ეს კვაზი-ლიტერატურა სულ მალე დაინთქმება ლეთეს ზვირთებში, ულმოზლად იქნება დავიწყებული და ხვალ აღარავის შეუქმნის რაიმე პრობლემას, აღარავის მოუნდება მისი ავ-კარგის განსჯა... სამაგიეროდ დღეს ჩრდილში მდგომი ნამდვილი ტალანტები გამომზეურდებიან ადრე თუ გვიან და ლიტერატურულ საზოგადოებას დაანახებენ, რომ პოეზია კვლავაც არსებობს.

24.05.08

მარსიანი

მიმდინარეობა თუ დარგი?

ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმ «ებლიტფოს» კრებულში «ლიტერატურული...» გამოქვეყნებულია შოთა დიდმელაშვილის (შოთა გაგარინის) სტატია «კონცეპტუალური – პოეზია?» ავტორი პირდაპირ ასე იწყებს: «მოდით, თავიდანვე გავხსნი კარტებს. არ არსებობს არანაირი «კონცეპტუალური პოეზია», ეს სრული აბსურდია...». რა თქმა უნდა, შემდეგ ავტორი შეძლებისდაგვარად განმარტავს თავის ამ განაცხადს, მაგრამ საკითხავი ისაა, რატომ ლაპარაკობს იგი არარსებულზე. თურმე «არსებობენ კონცეპტუალისტი პოეტები და არ არსებობს კონცეპტუალური პოეზია. იგი სვამს შეკითხვას: «ბოლოსდაბოლოს რა დავუძახოთ ამ ხალხის შექმნილ პროდუქციას ამ კონსუმერული სამყაროს ზენიტში? რას ყიდიან ისინი?»

»კონსუმერული სამყაროს ზენიტი« რას ნიშნავს, არ ვიცი, მაგრამ ამ კითხვას კითხვითვე ვუპასუხებდი: თუ ამ პოეტების მიერ შექმნილი პროდუქცია კონცეპტუალური პოეზია არ არის, მაშინ რატომღა ვეძახით მათ კონცეპტუალისტ პოეტებს? კონკრეტულად ვის გულისხმობს შ. დიდმელაშვილი ამ ხალხში? კარგი იყო, ბარემ დაესახელებინა ისინი, განეხილა მათი ლექსები და ეჩვენებინა, რატომ არ მიეკუთვნება ისინი კონცეპტუალურ პოეზიას (რომელიც განუხორციელებელი ყოფილა).

თუმცა სტატიის ავტორი ზოგადად კი მსჯელობს იმაზე, რომ თანამედროვე პოეზიის (მისი გამოთქმით «ავანტ-გარდისტულის») ჟანრობრივი დეფინიცია ძნელია, რადგან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს შორის ზღვარი თითქმის წაშლილია: მისი თქმით, დღეს ლექსი მხატვრობასთან უფრო ახლოა, ვიდრე პროზასთან, «მხატვრობამაც ისწავლა პერფორმანსების ენა და პოეზიამაც...»

კი მაგრამ, რა ძალა გვადგას, მაინცდამაინც პოეზია ვუწოდოთ იმას, რაც უკვე აღარ არის პოეზია? მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გაურკვეველი სახის მარგინალურ პროდუქციას ავტორები პოეზიად გვთავაზობენ? ერთ მაგალითს გავიხსენებ ავანგარდისტული (თუ რაც ჰქვია) მხატვრობის ისტორიიდან: ერთი ე. წ. «მხატვარი» თურმე კი არ ხატავდა, არამედ მაყურებელთა თვალწინ სხვადასხვა პოზებში დგებოდა და ამას უწოდებდა

თავის «მხატვრობას». კი მაგრამ, რატომ იყო ეს მხატვრობა და არა ვთქვათ, პანტომიმა? შეიძლება არც პანტომიმა იყო, მაგრამ მხატვრობა ხომ ასჯერ უფრო არ იყო!

პერფორმანსი პერფორმანსია, მხატვრობა მხატვრობაა, პოეზია კი – პოეზია; შეიძლება თითოეული ამათგანი ზოგჯერ სხვა დანარჩენთა თვისებებსაც მოიცავდეს თავისთავში (განსაკუთრებით ეს პერფორმანსზე ითქმის), ოღონდ აუცილებლად დაქვემდებარებული სახით, საკუთარ სპეციფიკაზე მორგება-მისადაგებით. სხვაგვარად, თუ ხელოვნების რომელიმე დარგი (თუ ჟანრი) ზედმეტად თავს მოიხვევს ხელოვნების სხვა დარგის (ჟანრის) ნიშან-თვისებებს, იგი დაკარგავს საკუთარ სპეციფიკას, დატოვებს საკუთარ დარგობრივ (ჟანრობრივ) ჩარჩოებს და ალბათ იმ მეორე, მასზე მიმდლავრებული ხელოვნების დარგის (ჟანრის) ერზაცად იქცევა, ფაქტობრივად ხელთ შეგვრჩება ბლეფი, ტყუილი, სნობური აუდიტორიის მერყევ გემოვნებაზე მისადაგებული ფსევდომხატვრული რეალობა (ესეც საუკეთესო შემთხვევაში, რადგან ის სნობური გემოვნება ყველანაირ ბლეფს როდი იხუტებს გულში).

ზოგჯერ ხელოვნების ესა თუ ის დარგი არათუ სხვა ხელოვნების, არამედ სულაც «არახელოვნების» არეალში იჭრება, ვთქვათ, მხატვრობა იქცევა გეომეტრიად, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გეომეტრია გვევლინება მხატვრობის პრეტენზიით: გავიხსენოთ ცნობილი მხატვრის კაზიმირ მალევიჩის სახელგანთქმული ნაწარმოები «შავი კვადრატი». ამ ქმნილების ორიგინალი გასაგებ მიზეზთა გამო არ მინახავს და საგანგებოდ გამოვიკითხე, კვადრატის სიშავეს რაიმე ფერწერული ღირებულება თუ აქვს, სხვადასხვა ფერების მხატვრული შეხავებით მიღებული სიშავე თუ არის-მეთქი (რეპროდუქციაში საამისო არაფერი ეტყობოდა). არაო, მიპასუხეს, უბრალოდ შავად შეღებილი კვადრატიაო. თუ ასეა, ეს ბლეფი ყოფილა, ოღონდ გარემოებათა გამო წარმატებული ბლეფი-მეთქი, დავასკვენი. მაშინ ასეთი ისტორია მიაძმეს: თურმე ჩაუტარებიათ ექსპერიმენტი – გაუკეთებიათ «შავი კვადრატის» ზუსტი ასლები და ორიგინალთან ერთად ჩაუმწკრივებიათ საგამოფენო დარბაზში. დამთვალიერებლებს, რომელთაც არ იცოდნენ, ამ კვადრატებიდან ორიგინალი რომელი იყო, სთხოვეს, სურვილისამებრ ერთ-ერთი აერჩიათ. და, ჰოი საოცრებავ, უმეტესობამ თურმე სწორედ ორიგინალი, მალევიჩის მიერ დახატული შავი კვადრატი აირჩია!

მაინც რა უნდა დავასკვნათ აქედან? რა და, თურმე მხატვრის მიერ დახატულ ორიგინალს მისი ასლებისაგან განსხვავებული, ბევრად უფრო ძლიერი ენერგეტიკა ჰქონია, დამთვალიერებლებს ამით იზიდავდა და ამიტომაც ირჩევდნენ სწორედ მას და არა მის ასლებს.

კი მაგრამ, ჩვენ მხატვრობა გვაინტერესებს ამ შემთხვევაში თუ რაღაც მაგია? ენერგეტიკა ენერგეტიკაა, მხატვრული ღირებულება კი – მხატვრული ღირებულება, რომლის გარკვევაც ზემოხსენებულის მსგავსი ექსპერიმენტებით არ ხდება. მხატვრულ ღირებულებას გემოვნება ადგენს. გემოვნება კი მოცემულ შემთხვევაში ვერაფერს დაადგენდა, რაკი ორიგინალსაც და ასლებსაც ზუსტად ერთნაირი მხატვრული ღირებულება ჰქონდა (ანუ საერთოდ არ ჰქონდა).

ერთმა «მწერალმა» გამოსცა ვებერთელა წიგნი, სათაურით «არაფერი». წიგნში მართლაც არაფერი ეწერა, მისი ასეულობით ფურცელი სრულიად ცარიელი იყო. ამ «მწერალმა» ერთ ინტერვიუში განაცხადა: «ეს წიგნი იმიტომ შევქმენი, რომ ნათლად გამომეხატა ჩემი იდეა – მე თქვენთვის სათქმელი არაფერი მაქვს». წიგნი უზარმაზარი ტირაჟებით გამოიცა და გაიყიდა. მართლაც მახვილგონივრული ტრიუკია, თანაც კომერციულად მომგებიანი – «მწერალმა» სნობური საზოგადოების მოთხოვნაც დააკმაყოფილა და ფულიც იშოვა.. ოღონდ ერთია – როცა დიდ ნოვატორ მწერლებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ჩვენ, ვთქვათ სიტყვაზე, «ულისეს» ავტორი ჯეიმზ ჯოისი

გვახსენდება და არა იმ «არაფრის» ავტორი, რადგან «ულისეს» ცხრაასი გვერდი იმ «არაფრისგან» განსხვავებით, სიტყვებითაა სავსე და ის სიტყვები მთელ სამყაროს გვიხატავს.

მარსელ დიუმანის მიერ სამხატვრო გამოფენაზე წარმოდგენილი პისუარი «კონცეპტუალური ნამუშევარი» თუ ამგვარ ნამუშევართა «პროტოტიპი» კი არ არის (როგორც შ. დიდმელაშვილი უწოდებს), არამედ მხატვრის მიერ საზოგადოების ეპატირებისათვის გამოყენებული საგანი. თუ ამ აქციას მაინცდამაინც ხელოვნების აქტი გვინდა დავარქვათ, მაშინ შევურჩიოთ შესაფერი სახელი – ეპატაჟის ხელოვნების აქტი, ან, თუ გნებავთ, პერფორმანსი, მაგრამ რა შუაშია აქ მხატვრობა? ის ფაქტი, რომ ამ პისუარს ლუვრში ინახავენ დიუმანის სახსოვრად, სულაც არ ნიშნავს, რომ იგი «ნამუშევარია», ხელოვნების ნიმუშია.

საერთოდ, ამგვარ შემთხვევებში კარგი იქნება, ანდერსენის «შიშველი მეფის» ზღაპარს თუ გავიხსენებთ....

შ. დიდმელაშვილს მოჰყავს კონცეპტუალისტი არტისტის, სოლ ლევიტის ციტატა: «კონცეპტუალურ ხელოვნებაში მუშაობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია იდეა და ცნება. როცა არტისტი იყენებს კონცეპტუალურ ფორმას, ეს ნიშნავს, რომ ყველანაირი გადაწყვეტილება გეგმიურია და მიიღება წინასწარ, ხოლო თავად შესრულება უკვე ზედაპირული, არცთუ ისე მნიშვნელოვანი საქმეა. თვით იდეა იქცევა მანქანად, რომელიც აკეთებს ხელოვნებას».

რა შეიძლება ითქვას ამ ფორმულირებაზე? ჩემი აზრით, იქ, სადაც შესრულება, მხატვრული ხორცშესხმა უმნიშვნელო საქმედაა ქცეული, დიდი ხელოვნება ვერ შეიქმნება. იდეა შეიძლება მოიფიქრო (თუ გაიხსენო) გონებით, ცნობიერის დონეზე, მაგრამ განხორციელება იდეისა, მისი მხატვრულ რეალობად ქცევა არაცნობიერის ჩართვის გარეშე სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. ცნობიერი ხომ მხოლოდ პატარა კუნძულია არაცნობიერის უკიდვრადი ოკეანეზე. ცნობიერს მხოლოდ ის შეუძლია, გარკვეული მათემატიკური როლი შეასრულოს ნაწარმოების საბოლოო ფორმირების საქმეში, ერთ იდეურ ძაფზე ასახას ხელოვანის წარმოსახვაში არაცნობიერიდან აღმოცენებული ხილვები.

შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს ზოგიერთი დიდი ხელოვანის მტკიცებამ, რომ თავიანთ შედეგებს სრულიად გაცნობიერებულად, მათემატიკური გაანგარიშებით ქმნიდნენ. ედგარ პომ თავისი «ყორანის» შექმნის ისტორია დაწვრილებით მოგვითხრო და აქ მართლაც შესანიშნავადაა ნაჩვენები ცნობიერის როლი ქმნადობის პროცესში (ყველა ხელოვანთან როდია ამგვარად აქტივიზირებული გონების «მათემატიკური შესაძლებლობანი», ზოგნი მართლაც «ერთი ამოსუნთქვით», მთლიანად ინტუიციას მინდობილნი ქმნიან შედეგებს): მაგრამ ეს ყოველივე, საბოლოო ჯამში, მაინც მეორადი გახლავთ და ქმნადობის ზედაპირულ შრეებს ვერ სცდება. მსგავსი მუშაობით შეიძლება სხვა, რიგითმა ხელოვანმაც გააკეთოს ლექსი, მაგრამ რიგითი ხელოვანის ნამუშავე რიგითი ნაწარმოები იქნება და არა შედეგრი. ედგარ პომ, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერაფრით აგვიხსნიდა, რა ძალამ აქცია, «ყორანი» მსოფლიო კლასიკის ერთ-ერთ მწვერვალად, რატომაც აქვს პოეტის მიერ ამ ლექსისათვის შერჩეულ სიტყვებს, სიტყვათა კომბინაციებს მომნუსხველი ხიბლი და იდეალურობა.

არაცნობიერი ადამიანში ლოკალიზებული კოსმოსია მთელი თავისი უკიდვრადობით: იქაა კრეაციულ ძალთა საუფლო და მისი სადინარების გადაკეტვა ხელოვნების კასტრაციას იწვევს. კონცეპტუალისტთა შორის თუ ვინმეა ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი, მას თავის საუკეთესო ნაწარმოებებში უთუოდ დარღვეული ექნება კონცეპტუალიზმის დოგმა იდეის პირველადობისა და შესრულების მეორადობის

შესახებ, თუნდაც თვითონ არ აღიარებდეს ამას. კონცეპტუალიზმი წმინდა სახით განუხორციელებელია ხელოვნებაში, რადგან ესთეტიკური მომენტი ნიველირდება ამ შემთხვევაში, ხელოვნება კი ესთეტიკურის საუფლოა პირველყოვლისა. მხატვრული ნაწარმოების შეფასების უმთავრესი კრიტერიუმი მისი მხატვრული ხარისხია, სხვა დანარჩენს – გინდ შემეცნებით, გინდ რელიგიურ, გინდ ზნეობრივ მომენტებს სწორედ ესთეტიკური ფენომენი ანიჭებს აქ ღირებულებას. ეს, უბრალოდ, ხელოვნების ბუნებაა და მის წინააღმდეგ ყოველგვარი ამბოხი მარცხისთვისაა განწირული.

შოთა დიღმელაშვილს მოჰყავს აგრეთვე ტონი გოდფრეის გამონათქვამი, რომ «კონცეპტუალური ხელოვნება არის ხელოვნება, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს თავად ბუნებას იმისა, რაც მიჩნეულია ხელოვნებად».

ამგვარი დაეჭვება ცნობიერების კრიზისის შედეგია.

მაგრამ ცნობიერების კრიზისი ქმნადობის პროცესში დაიძლევა თვით კრიზისულობის მომენტის ქცევით ხელოვნების ობიექტად. ამის მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ მოდერნისტული ხელოვნების უკვე კლასიკად ქცეული ნიმუშები – აქ უკვე ნახსენები ჯეიმზ ჯოისის რომანი «ულისე», ტომას სტერნზ ელიოტის პოემა «უნაყოფო მიწა», პაბლო პიკასოს ტილო «გერნიკა» და ა. შ. მე ვიტყვოდი, ეს ნაწარმოებები სწორედაც რომ კონცეპტუალურია, მაგრამ აქ კონცეპტის მიერ ესთეტიკურის ნიველირება კი არ ხდება, არამედ სახეზეა იდეალური ბალანსი ამ ორ საწყისს შორის. ამიტომაც გვევლინებიან ეს ნაწარმოებები შედეგრებად, ახალი კლასიკის ნიშანსვეტებად. ამგვარი ხელოვნების მთავარი ტონალობა პაროდიაა: ცნობიერების კრიზისის დაძლევა და სულიერ ფასეულობათა გადარჩენა ხდება სწორედ ამ ფასეულობათა პაროდიაული გადათამაშებით, «ფასეულობათა გაუფასურებით», მათთვის ტრადიციული «აურის» წართმევით: ეს რაღაც იმდაგვარი პროცედურაა, მორიელის ნაკბენს რომ მორიელისავე შხამით მკურნალობენ: ტოტალური ნიჰილიზმის ეპოქაში ხელოვანიც ნიჰილიზმის ნიღაბს ირგებს და «ნიჰილიზმის შხამით» ახდენს ეპოქის მიერ დასაღუპად განწირულ ფასეულობათა «იმუნიზაციას». ოღონდ აქ აუცილებლად საჭიროა «შხამი» მკაცრად დოზირებული იყოს, ზედმეტი არ მოგვივიდეს და, კვლავ ფიგურალურ გამოთქმას თუ მოვიშველიებთ, ნაბან წყალს ბავშვიც არ გადავაყოლოთ. ვფიქრობ, ორთოდოქსული კონცეპტუალიზმის სიბერწის მიზეზი აქაა საძიებელი: ის არ სცნობს ბალანსის საჭიროებას იდეასა და მხატვრულ განსხეულებას შორის და ამით ახშობს შემოქმედებით იმპულსს: რჩება მხოლოდ კოკეტური ფსევდოქმნადობა, რომელსაც ნამდვილ ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს.

შ. დიღმელაშვილი დიუშანის, ტრისტან ცარას და სხვა დადაისტების დასახელებამდე დადაიზმის ქართულ ვარიანტზე საუბრობს, მთლიანად მოჰყავს გრიგოლ ცეცხლაძის ლექსი «დადა», რომელიც საქართველოში ამ მიმდინარეობის პოეტური მანიფესტი გახლავთ და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მაშინდელ საქართველოში (პირველი მსოფლიო ომის დროს) ევროპული მოდერნის საკმაოდ სწრაფ დამკვიდრებას ჰქონდა ადგილი, მაშინდელ ქართულ ხელოვნებას ადეკვატური მიმართება გააჩნდა მსოფლიო ტენდენციებთან. აქვე იგი იხსენებს საქართველოში (თბილისში) «ზაუმის» დამამკვიდრებელ ილია ზდანევიჩსა და მის ჯგუფს «41 გრადუსი», აგრეთვე სხვა ჯგუფს «H₂SO₄», რომელშიც, მისი თქმით, «ერთიანდებოდნენ ისეთი კულტურული ფიგურები, როგორიცაა ნიკოლოზ ჩაჩავა, ირაკლი გამრეკელი, ბენო გორდეზიანი, პავლო ნოზაძე, ჟანგო გოგობერიძე (თუ ლოღობერიძე? ავტ.), სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია...» ამის შემდეგ შ. დიღმელაშვილი პირადად ჩემთვის ერთობ დამაბნეველ რასმე დასძენს: «ეკ. ეს იყო მანამ, სანამ ეროვნული მესიანიზმით

შეპყრობილი ვიღაც აბსოლუტური პროფანები და წითელსაყელოიანი ინტელიგენცია (თქვენ წარმოიდგინეთ ეს ორი ვითომ სრულიად განსხვავებული სეგმენტი ერთი მიზნის გარშემო) სრულიად სხვა დატვირთვას მისცემდნენ ქართულ ხელოვნებას და გადაისროდნენ რამოდენიმე ასწლეულით უკან «ახალი რუსთაველის» მოლოდინში».

თუ ქართველი ფუტურისტების ასე საგულდაგულო ჩამოთვლა არ დაზარებია ავტორს (რამდენადაც ვიცი, H_2SO_4 ფუტურისტული გაერთიანება იყო), ბარემ აქვე დაესახელებინა ის «ეროვნული მესიანიზმით შეპყრობილი ვიღაც აბსოლუტური პროფანები», რომელთაც «წითელ ინტელიგენციასთან» ერთად ნამდვილი სასწაული მოუხდენიათ – ქართული ლიტერატურა რამდენიმე ასწლეულით უკან გადაუსვრიათ. საინტერესოა, ამ «გადასროლის» ნიმუშებად მაინც რომელ ნაწარმოებებს დაასახელებდა სტატიის ავტორი? არაფრით არ მინდა ვიფიქრო, რომ აქ ჩვენი ზოგიერთი კლასიკოსის შემოქმედება იგულისხმება, არადა, «ეროვნულ მესიანიზმზე» თუ მიდგება საქმე, პირველ რიგში გრიგოლ რობაქიძე გაგახსენდება კაცს თავისი «კარდუთი», «ირუბაქიძით» და მისთანებით... გრ. რობაქიძე კი, მოგეხსენებათ, «აბსოლუტური პროფანი» კი არა, იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ერუდიტი იყო, მოდერნიზმის უპირველესი პრაქტიკოსი და თეორეტიკოს – პოპულარიზატორი ჩვენში. აქვე გვახსენდება აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე თუ გიორგი ლეონიძე თავიანთი რომანტიზირებული, ისტორიულ-მითოსური წარმოსახვებით.... ხოლო «ახალი რუსთაველის» მოლოდინს რაც შეეხება, პოეტური სტრიქონი «ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის», არც მეტი, არც ნაკლები, თვით გალაკტიონის კუთვნილებაა!

მოკლედ, გვინდა – არ გვინდა, სულ ისეთი ხალხი გვახსენდება, ვისმა მხრებმაც ზიდა მეოცე საუკუნის ქართული (მოდერნული!) კლასიკის ტვირთი...

არადა, შ. დილმელაშვილის საკმაოდ კატეგორიული განაცხადის მიხედვით, საქართველოში გ. ცეცხლაძის, ი. ზდანევიჩის (რომელიც, სხვათაშორის, რუსულად წერდა და არა ქართულად!) და მისი «41 გრადუსის» და კიდევ H_2SO_4 -ელების ავანგარდისტულ მიებათა დამთავრებასთან ერთად დამთავრებულია ხელოვნების განვითარების პროცესი და «რამდენიმე ასწლეულით უკან გადასროლილები» სადღაც შუა საუკუნეების ახლო-მახლო ჩავრჩენილვართ!

კი მაგრამ მეოცე საუკუნის დიდი ქართული ლიტერატურა როგორღა შეიქმნა? იქნებ იმ ავადსახსენებელ პერიოდში, როცა საბჭოთა დოქტრინა მძვინვარებდა და მართლაც საგრძნობლად აფერხებდა კულტურული პროცესების ბუნებრივ განვითარებას, აღარაფერი შექმნილა ფასეული?

ალბათ საჭირო არ არის იმ პერიოდში შექმნილი შედეგების ჩამოთვლა, შედეგებისა, რომელთა გვერდითაც ქართული დადაიზმის, ფუტურიზმისა თუ მსგავს მიმდინარეობათა პროდუქციის დაყენება (მცირეოდენი გამონაკლისის გარდა) უხერხულიც კია.

შ. დილმელაშვილის მიერ ჩამოთვლილი ავანგარდისტებიდან ქართული პოეზიის კლასიკას მხოლოდ სიმონ ჩიქოვანი შემორჩა, ოღონდ არამარტო და არა იმდენად თავისი მართლაცდა შესანიშნავი ფუტურისტული ლექსებით, არამედ, პირველ რიგში უფრო ტრადიციულ, კლასიკურ სტილში დაწერილი ნაწარმოებებით. სხვათაშორის, იგივე ჩიქოვანი, იმ პერიოდის სხვა მწერალთა მსგავსად, ნებით თუ უნებურად ხარკს უხდიდა ხსენებულ საბჭოურ დოქტრინას, ერთხანს მწერალთა კავშირსაც თავჯდომარეობდა და, ამდენად, «წითელსაყელოიან ინტელიგენციასაც» ეკუთვნოდა, თუ თავითფეხამდე არა, მნიშვნელოვანწილად მაინც.

ისეთი შემოქმედნიც შეგვიძლია დავასახელოთ, რომელთაც მიზეზთა გამო არ მოუხდათ საბჭოური დოქტრინისადმი ხარკის გადახდა: მათ შორის ორი ჭეშმარიტად დიდი პოეტია – ტერენტი გრანელი და ნიკო სამადაშვილი. მაგრამ შოთა დიღმელაშვილი მათზე არაფერს ამბობს, რაკი ისინი ავანგარდისტები არ ყოფილან.

ეს ყველაფერი უკვე განვლილი პერიოდის ამბებია. რა ხდება დღეს?

შოთა დიღმელაშვილი საინტერესოდ საუბრობს თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების შესახებ, თუმცა აქა-იქ მის მსჯელობას ცოტათი აკლია სიზუსტე და სიცხადე. სასურველი იქნებოდა, მაგალითად, ავტორს ცალსახად დაეზუსტებინა – «არარსებულობა» მხოლოდ კონცეპტუალური პოეზიის თავისებურად მიაჩნია თუ საერთოდ კონცეპტუალური ხელოვნებისა. ხომ ლოგიკურია, რომ ასეთი კითხვა გაგვიჩნდეს – თუ კონცეპტუალური ხელოვნება საერთოდ არსებობს, და მით უმეტეს, თუ არსებობს კონცეპტუალური მწერლობა (რომელზედაც შ. დიღმელაშვილი არაერთგზის ჩერდება თავის სტატიაში), მაშინ რატომაა პოეზია ასეთ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რატომ არ შეიძლება მასშიც განხორციელდეს კონცეპტუალიზმი? პოეზია რომ მწერლობის ერთ-ერთი ჟანრია!

ახლა კი სხვაგვარად შევატრიალოთ კითხვა: საერთოდ, როგორ ჯობს – არსებობდეს რაღაც და მერე დაერქვას სახელი თუ ჯერ სახელი გაჩნდეს და მერე დავიწყოთ ძიება მისთვის შესატყვისი საგნისა თუ მოვლენისა? ადამს ღმერთმა უკვე შექმნილი ცხოველები მოუყვანა და მათთვის სახელები შემდეგა დაარქმევინა. რატომაა ეს «კონცეპტუალიზმი» ესოდენ მნიშვნელოვანი ცნება, რომ მას აუცილებლად უნდა მოერგოს რომელიმე მიმდინარეობა ხელოვნებაში?

მე არ გამოვრიცხავ, რომ შ. დიღმელაშვილის მიერ ამ სტატიაში ნახსენებმა «ციფრულმა ეპოქამ» ე. წ. მულტიმედიის შეჭრამ ხელოვნებაში და კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა ხელოვნების რაღაც ახალი დარგიც კი წარმოშვას, როგორც ეს მოხდა კინემატოგრაფის გამოგონების შემთხვევაში. მაგრამ კინო კინოდ ჩამოყალიბდა, თავისი სპეციფიკა შეიძინა და სახელოვნებო სივრციდან არ გაუძევებია თეატრი თუ ლიტერატურა. ასევე მხატვრული ფოტოს არნახულ განვითარებას მხატვრობის ტრადიციული ჟანრები – გრაფიკა და ფერწერა არ გაუუქმებია. რაში სჭირდება ლექსის დაწერას ე. წ. «ვებტექნოლოგიები», როცა მისი უმარტივესი ტექნოლოგია – ქაღალდი და კალამი – უკვე არსებობს? ასევე რა საჭიროა მეტისმეტი თეორეტიზირება იმისა, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე ლექსი? მთავარია, ლექსი ახდენდეს მხატვრულ შემოქმედებას – სულერთია, «ობიექტი» იქნება ის თუ «ენერგიის ცენტრი», «რაღაცეების დამაკავშირებელი» (კომუნიკაბელური) იქნება თუ «რაღაცეების შემქმნელი» (ამ ტერმინებს შ. დიღმელაშვილი მიმართავს თავის სტატიაში); თუმცა, ალბათ თეორიები ზოგ შემთხვევაში მაინც ასრულებენ გზამკვლევის ფუნქციას ახალი ტიპის ხელოვნებასთან მიმართებაში: ხომ არსებობს, მაგალითად ტ. ს. ელიოტის თეორია იმპერსონალისტური პოეზიის შესახებ; ოღონდ, როცა ელიოტი ამ ტიპის პოეზიას თანამედროვეობის ყველაზე შესატყვის ფორმად ასახელებდა, უკვე მისი ნიმუშიც შეეძლო წარმოედგინა მკითხველისათვის – თავისი ლექსები და პოემები. ფაქტობრივად, ის რაღაც მომავალში განსახორციელებელზე კი არ რეფლექსირებდა, არამედ თავისი ნოვაციების კანონიზირებას ახდენდა და ლიტერატურულ საზოგადოებას საკუთარი შემოქმედების გასაღებს აწვდიდა.

ნებისმიერი ტიპის ხელოვნება შედეგებით უნდა აფიქსირებდეს თავისთავს სამყაროში, სხვაგვარად ის რაღაც ეფემერული წარმონაქმნი იქნება და დრო თან წაიღებს, დავიწყებაში დანთქავს. თუ კონცეპტუალურ ხელოვნებას შედეგები მოეპოვება, მაშინ ჯობს ამ შედეგებზე დაყრდნობით განვსაზღვროთ ამგვარი

ხელოვნების არსი; ხოლო თუ იგი მხოლოდ რაღაც ექსტრავაგანტული ფოკუსებით ოპერირებს, თუ მხოლოდ ჩანასახობრივ მდგომარეობაშია და რაიმე ჭეშმარიტი ფასეულობა ჯერაც არ შეუქმნია, მაშინ იქნებ ის გვეთქვას, რომ რაღაც ახლის დაბადებას ვწინასწარმეტყველებთ ხელოვნებაში; ოღონდ მართებული არ იქნება, ამ «რაღაც ახალს» თანამედროვე ხელოვნება ვუწოდოთ, რაკი იგი ჯერაც არ განხორციელებულა სათანადოდ და თავისი მკაფიო კონტურები არ შეუძენია.

«არარსებული კონცეპტუალური პოეზიის» ადეპტებსაც ალბათ უნდა ჩამოვაცილოთ «კონცეპტუალისტი პოეტების» იარლიყი და რაღაც სხვა სახელწოდება შევურჩიოთ, მათი შემოქმედების შესაფერი: «იზმ»-ების მეტი რაა!

ოღონდ აქ მე მომიწევს მთელი ამ თეორიული ვნებათაღელვების მიმართ ამ ბოლოხანებში და ამავე სადისკუსიო სივრცეში უკვე არაერთგზის გამოხატული ჩემი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ დავაფიქსირო: «იზმ»-ების, ანუ მოდერნიზაციის ეპოქა უკვე დამთავრდა: იგი მეოცე საუკუნეს გაჰყვა თან და მთელი ეს დღევანდელი განსჯანი არსებითად მეოცე საუკუნის ინერციაა. შეთხვევით როდი მიეწება არაერთ მიმდინარეობას პრეფიქსი «პოსტ» («შემდეგ») – პოსტიმპრესიონიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი, პოსტმოდერნიზმი: ეს იმას ნიშნავს, რომ «იზმ»-ების მარაგი ამოიწურა და ერთგვარ «ნარჩენ მოვლენებთან» გვაქვს საქმე (რა თქმა უნდა, ეს არანაირად არ ნიშნავს ამ სახელწოდებების მქონე პროდუქციის ნაკლებმნიშვნელოვანებას თუ მეორადობას). ხოლო თუ ახალი ტექნოლოგიები მართლა წარმოშობენ ხელოვნების ახალ დარგს, ეს დარგი თავის სახელსაც გამოიმეზნის თავის დროზე და სავარაუდოა, ის სახელი «იზმ»-ით არ იქნება დაბოლოებული, რადგან ახალი დარგი უბრალოდ ახალი მიმდინარეობა როდია: ახალი მიმდინარეობები მეცხრამეტე და განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში სოკოებივით მალიმალ ჩნდებოდა, ახალი დარგი კი სულ რამდენიმე წარმოიშვა – კინო, მხატვრული ფოტო, პერფორმანსი....

21. X. 2008

Pilologsha

ვინ იყო თარაშ ემხვარი

1997 წლის შემოდგომაზე ჰარვარდის უნივერსიტეტში, ჰიუსტონის ბიბლიოთეკაში გურამ შარაძემ კონსტანტინე გამსახურდიას დიპლომი აღმოაჩინა.

მეცნიერი აღტაცებული და აღფრთოვანებული ყოფილა ამ ამბით.

დიდი მწერლის ყოველი ფრაზა, მითუმეტეს, ხელნაწერის სახით მოწოდებული, ძვირფასია როგორც ლიტერატურული სამყაროსათვის, ასევე მთელი ერისათვის. მით უფრო ფასეულია ხელნაწერი, როდესაც ის ლიტერატურული გმირის პროტოტიპს ეხება. ამ აღმოჩენით ნათელი ხდება მკითხველისათვის კონსტანტინე გამსახურდიას «მთვარის მოტეცების» ერთ-ერთი მთავარი გმირის თარაშ ემხვარის მარცხი და ფატალური აღსასრული.

«მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია» – ეს სთქვა და არაბიას სწყვიტა მათრახი.

«შეუტია ცხენდაცხენ თარაშ ემხვარმა აზვირთებულ სტიქიონს. ერამხუტ ემხვარის უბადლო გმირობა მოგონა, როცა იგი აჩხოისთან, ერთი მუჭა ჩერქეზების ამარა, ებგერა

ხმალამოწვდილი კაზაკების ბატალიონს. მოიკრიბა სიმამაცე და ნაპირისკენ პირი აქნევინა ცხენს, რათა კიდევ ერთი დღე გამოეგლიჯა ბედისწერის გამხმარი ხელიდან».

«გაშალა მკლავები ემხვარმა. მოსტაცა თვალი მოვარვარე დისკომ მთვარისამ, თითქოს უფსკრულეთს დარჩენოდა ცეცხლებმგზნებარე ცალი თვალი და მიჰყვა მთვარეს ცნობაწართმეული ცურვით, მაგრამ იძალა ისევ ენგურმა, იბურთავა მთვარე, გამოსტაცა ქანცმილეულ მცურავს და გააქანა უფსკერო შავეთში»

მაშინ, როდესაც ეს წერილი იწერებოდა თარაშ ემხვარის პროტოტიპი _ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის პირველი თავჯდომარე და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი არზაყან(დიმიტრი) ემხვარი _ სამშობლოდან გადახვეწილი-პრალაში ცხოვრობდა, იქ მყოფ მცირერიცხოვან ქართველთა კოლონიას ხელმძღვანელობდა და რითაც შეეძლო, ქვეყნის განმათავისუფლებელ მოძრაობას ეხმარებოდა.

«გთხოვთ დამდოთ პატივი და ამ ამბავს ჩემს სიკვდილამდე პუბლიკაციას ნუ მისცემთ»_ ასე ასრულებს კონსტანტინე გამსახურდია არზაყან ემხვარის ვაჟისადმი გაგზავნილ წერილს. მხოლოდ გარდაცვალებიდან ოცდამერვე წელს «მიეცა პუბლიკაციას» ეს აღსარება-წერილი.

«ენგურის დიდ ზვირთებთან ბრძოლაში დავამარცხე, ვინაიდან მისი მიზნების განხორციელება არ ძალმიძდა», _ ბრძანებს კონსტანტინე. ეს ის მიზნები და იდეალები იყო, რომლისთვისაც საუკუნეების მანძილზე იბრძოდნენ და ეწირებოდნენ ქართველი მამულიშვილები. ეს ის იდეაა, დღესაც რომ გვეოცნებება _ ერთიანი, ძლიერი, ეროვნული, ღირსეული საქართველო. «არ ძალმიძდაო» _ აღიარებს და წუხს ბატონი კონსტანტინე. «გიჟი ენგურის ზვირთებთან შეკაჟება» შებრძოლება იყო მისი იდეალისა და არსებული მიმდინარეობისა. მომიტევეთ

თითქოს მხოლოდ არზაყან ემხვარის შთამომავალთან კი არა, სრულიად ქართველთაგან ითხოვს მიტევებას ბატონი კონსტანტინე. ეს იმჟამინდელი მწარე რეალობა იყო. დროებით, მაგრამ მაინც დამარცხდა მაშინდელ საქართველოში მაღალი იდეალები. დამარცხდა და მდინარეში ჩაიკარგა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით.

განუყოფელი აღმოჩნდა თავისუფალი საქართველოსა და აფხაზეთის პირველი ეროვნული მთავრობის თავმჯდომარეების ბედი. საქართველოსა და აფხაზეთის განუყოფლობა იყო კონსტანტინესა და მისი სიყრმის მეგობრის არზაყან ემხვარის ოცნება და სამწუხაროდ, დღესაც ოცნებად რჩება.

2004 წელს არზაყან ემხვარის ოჯახის ახლო ნათესავმა ცნობილმა კარდიოლოგმა, პროფესორმა ნოდარ ემხვარმა ქართველი საზოგადოებისათვის უცნობი ხელნაწერი გადასცა ბატონ გურამ შარაძეს.

აი ამონარიდი კონსტანტინე გამსახურდიას მიერ არზაყან ემხვარის ვაჟისადმი მიძღვნილი წერილიდან:

«ჩემო პატარა ემხვარო

ჩემ ნაწარმოებში «მთვარის მოტაცებაში» შენი მამის პროტოტიპად მთავარი გმირი, რომელშიდაც მე ჩემი სიყრმის მეგობარი კეთილი მეგობარი აფხაზი არდაყან იგივე დიმიტრი ემხვარი გამოვხატე, რომელთანაც გავატარე პარიზში ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილი დღენი.

ენგურის დიდ ზვირთებთან ბრძოლაში დავამარცხე, ვინაიდან მისი მიზნების განხორციელება არ ძალმიძდა, გიჟი ენგურის ზვირთებთან შეკაჟება ეს მისი იდეების შებრძოლება იყო მისი იდეალისა და არსებული მიმდინარეობისა.

მომიტევეთ

კ. გამსახურდია.

გთხოვთ დამდოთ პატივი და ამ ამბავს ჩემს სიკვდილამდე პუბლიკაციას ნუ მისცემთ.

თქვენი კ. გ.
1934 წ. თბილისი»

«წერის პროცესში ყველაზე ნაკლებად მკითხველზე უნდა ფიქრობდე»

ებლიტფო: ქეთი, როგორც ახალგაზრდა პოეტს, უპირველეს ყოვლისა, მინდა გკითხო თუ რას ნიშნავს შენთვის პოეზია და თუ შეგიძლია ორიოდე სიტყვით მაინც აღწერო საკუთარი შემოქმედება. ასე ვთქვათ, შეეცადო იმ ჭრილში დაანახო მკითხველს შენი ლექსები, რომელშიც თავად ხედავ. და აქვე დავამატებდი, მიგაჩნია თუ არა, რომ რომელიმე კონკრეტულ ჟანრში წერ?

ქეთი თუთბერიძე: პირველ რიგში გიპასუხებთ იმაზე, რომ არავითარ კონკრეტულ ჟანრში არ ვწერ, თუმცა პოეზიაში და ზოგადად ხელოვნებაში ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მიმდინარეობა სიმბოლიზმია. შეიძლება განვიცდიდე კიდევ სიმბოლისტების გავლენას, თუმცა ყოველთვის მაქსიმალურად ვცდილობ მოვერიდო ამას, რადგანაც მიმაჩნია, რომ გავლენის ქვეშ ყოფნა ავტორისთვის საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რა არის ჩემთვის პოეზია ანუ პოეზია როგორც ფენომენი, ძალიან რთულია ამაზე მოკლედ საუბარი. ამიტომაც, მხოლოდ თქვენი შემდეგი კითხვით შემოვიფარგლები და შევეცდები ორი სიტყვით აღწერო ჩემი ლექსები. მგონია, რომ ძალიან პირადულია. სამწუხაროდ, ვერ შევძლებ მკითხველს იმავე ჭრილში დავანახო, რომელშიც მე ვხედავ. ამისთვის ადგილი უნდა გავუცვალო, დროებით ჩემში უნდა გადმოვისახლო, რაც მხოლოდ ზღაპრებში ხდება. ისე რატომღაც მგონია, რომ თამამი ლექსები მაქვს, რაც ბევრს შესაძლებელია აღიზიანებს კიდევ. დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბარს შეგნებულად მოვერიდები, უბრალოდ ერთს ვიტყვი, როცა ავტორი თავისი თითქმის ყოველი ლექსით კმაყოფილია და მიაჩნია, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოეტია, უკვე განწირულია ფიასკოსთვის. მასში მთავრდება ძიების პროცესი და, შესაბამისად, მისი «ევოლუცია» პირველივე საფეხურზე ფერხდება. ამგვარად შეიძლება დიდი პოტენციალის მქონე ავტორმა საკუთარ ამბიციებში ჩაკლას თავისი შესაძლებლობები. თუმცა სულაც არ მიმაჩნია, რომ პოეტობას უნდა მიაღწიო, პოეტად იზადება ინდივიდი, ისაა მხოლოდ რომ სოციალიზაციის პროცესი და თვითგამორკვევის პრინციპები ხელს უწყობს ამ ე.წ. «კოდის» გაღვიძებას. ახალი ამით არც არაფერი მითქვამს, მაგრამ სამწუხაროდ ბევრის იდეაფიქსად იქცა პოეტის თუ პროზაიკოსის სოციალური როლის მორგება. ეს კი სრული აბსურდია, უბრალოდ სასაცილოა ასეთი მიზნებით არსებობა, ჩემი აზრით.

ებლიტფო: ერთხელ თავად აღნიშნე, რომ ავტორი არ უნდა იყოს კონცენტრირებული მკითხველზე და მას არ უნდა გააჩნდეს თვითმიზანი პოეტის სოციალური სტატუსის მოპოვებისა. აქედან გამომდინარე, თვლი თუ არა, რომ ლიტერატურული კონკურსები,

რომლებიც დღესდღეობით არსებობს საქართველოში, გემოვნებიან მკითხველზეა გათვლილი? და თუ მიგიღია რომელიმე ასეთ კონკურსში მონაწილეობა?

ქეთი თუთბერიძე: რა თქმა უნდა, წერის პროცესში ყველაზე ნაკლებად მკითხველზე უნდა ფიქრობდე და ლექსს კი არ უნდა "აკეთებდე", არამედ წერდე. მაგრამ ეს არ გამოირიცხავს ლექსზე მუშაობის ფაქტორს. მუშაობა საჭიროა, ოღონდ გარკვეული ნორმების ფარგლებში, ისე რომ ექსპრესია არ «დაზიანდეს», ასე ვთქვათ. ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია, შეიძლება ვცდები კიდევ.

კონკურსებს რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ ეს საკითხი გლობალური პრობლემაა. იმარჯვებს ნაკლებად ძლიერი ანუ ის ვინც პუბლიკაზე გათვლილ ნაწარმოებს ქმნის. უკვე აქსიომაა თითქოს. ეს არ არის მხოლოდ საქართველოს ან პოსტსოციალისტური ქვეყნების პრობლემა, ანალოგიური ტენდენციაა ყველგან და ხელოვნების ნებისმიერ სფეროში მეტ-ნაკლებად. თუმცა საქართველო იმ ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება, სამწუხაროდ, სადაც ასეთი ფაქტები უხვადაა. მე არ მინდა რაიმე კონკრეტული მაგალითის მოყვანა რომელიმე კონკურსთან დაკავშირებით, მაგრამ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ზოგჯერ ყველაზე კომპეტენტური ლიტერატორებით დაკომპლექტებული ჟიურიც უშვებს ხოლმე შეცდომას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და ნებისმიერ ეპოქაში.

კონკურსში მონაწილეობა კი ნამდვილად მიმიღია.

ებლიტფო: ქეთი, ძალიან მაინტერესებს როგორ რეაგირებენ ავტორები კრიტიკაზე. ამ შემთხვევაში შენ გესაუბრები და გკითხავ, რა რეაქცია გაქვს ხოლმე როდესაც გაკრიტიკებენ და რამდენად ითვალისწინებ მათ აზრებს თუ შენიშვნებს?

ქეთი თუთბერიძე: კრიტიკა ყველაზე მეტ სასიცოცხლო იმპულსს აძლევს შემოქმედ ადამიანს, ჩემი აზრით. თუმცა ესეც საკამათო საკითხია ცოტა არ იყოს, ისევე როგორც ავტორის გაფეტიშება. აქ ხშირად სუბიექტური დამოკიდებულებაც დომინირებს ხოლმე. მაგრამ თუ კრიტიკა ჯანსაღია, მაშინ ავტორმა ყველაფერი აბსოლუტურად ადეკვატურად უნდა მიიღოს და გაითვალისწინოს კიდევ შეძლებისდაგვარად, თუკი თვითონაც ეთანხმება. რატომღაც მგონია, რომ ნიჭიერი ადამიანი თვითონ ყველაზე კარგად გრძნობს საკუთარ სისუსტეს შემოქმედებაში და თუ ამას ვერ გრძნობს, მაშინ მას ვერც კრიტიკა უშველის და ვერც ვერავითარი ე.წ. მასტერკლასები საუკეთესო ლიტერატორებთან.

მე პირადად კრიტიკას საკმაოდ დადებითად ვიღებ, მითუმეტეს თუ ჩემსავე აზრებს ახმოვანებენ.

მაგრამ გამოგიტყდებით, რომ ზოგჯერ ისეთ აბსურდს დააბრალებენ ხოლმე ავტორს, რომ უბრალოდ უნდა გაჩუმდე, პოლემიკას თავი აარიდო და განაგრძო შენი საქმიანობა. მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ კრიტიკის გარეშე არსებობა იგივეა რაც ჯაზი ფიტჯერალდის გარეშე.

ებლიტფო: როგორ ფიქრობ, რა აძლევს ავტორს, და ზოგადად შემოქმედს, ყველაზე მეტ იმპულსსა და შთაგონებას? მაგალითად, შენ რა გაიძულებს დაწერო?

ქეთი თუთბერიძე: ემოცია, რაღა თქმა უნდა. ალბათ უფრო ნეგატიური ემოცია, ალბათ ტკივილი. ყველაზე მეტ შთაგონებას სწორედ ტკივილი და გარე სამყაროსთან გაუცხოების შეგრძნება ბადებს. თუმცა ამის დამტკიცება აქსიომის სახით შეუძლებელია. ყველაფერი მაინც ინდივიდუალურია და, შესაბამისად, თითოეულ ნაწარმოებს თავისი ემოცია გააჩნია, რომლის გენეზისიც კიდევ სხვა ემოციებში დევს და ასე ტრიალებს შემოქმედება შთაგონების გარშემო ან პირიქით.

ეპილოგი: დღესდღეობით არაერთი ნიჭიერი ავტორი მოღვაწეობს. გყავს თუ არა შენს თაობაში ფავორიტები?

ქეთი თუთბერიძე: დიახ, რა თქმა უნდა. იმაშიც გეთანხმებით, რომ ნიჭიერი თაობა მოდის. მე რამდენიმე ფავორიტი მყავს, სახელებისა და გვარების ჩამოთვლას მოვერიდები, თუ შეიძლება. მართალია, არაერთი პოეტის შემოქმედება მომწონს, მაგრამ სამ ადამიანს მაინც გამოვყოფ ჩემთვის. მათი ასაკი ოციდან ოცდაათამდე მერყეობს და შემოიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ეს «ტრიადა» აუცილებლად იტყვის რაიმე ახალს ქართულ პოეზიაში. უფრო სწორედ თქვეს კიდევ, უბრალოდ ამას დრო სჭირდება, რომ სხვებმაც გააცნობიერონ.

ეპილოგი: ქეთი, რამდენად შეიძლება ადამიანმა "ისწავლოს ლექსის წერა"?, პოეზიაში შენს მასწავლებლებზეც გვითხარი. აქვე ჩაგვეკითხები, პროზის წერა თუ გიცდია და რამდენად წარმატებულად?

ქეთი თუთბერიძე: მგონი წელან აღვნიშნე, თუ არ ვცდები, რომ სოციალიზაციის პროცესში ადამიანი უამრავ ახალ თვისებას იძენს და ააშკარავებს საკუთარ თავში. ასეა პოეზიაშიც. თუმცა ლექსის წერის "სწავლა" რადიკალურად აბსურდულად მეჩვენება. მე უფრო ვიტყვდი, რომ ავტორი ვითარდება, ერკვევა რა საკუთარ უარყოფით მხარეებში და იძენს ახალ გამოცდილებას, მისი ნაწარმოების ხარისხი კი ხშირ შემთხვევაშიმატულობს ექსპრესიებიდან გამომდინარე. თუმცა ნულიდან დაწყებისა და შემდეგ პოეტად ჩამოყალიბების არ მწამს ნამდვილად.

ვერ ვიტყვი, რომ პოეზიაში ოდესმე მასწავლებელი მყოლია, არც არავითარ წრეზე მივლია, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ. უფრო მეტიც, ჩემი პროფესია რადიკალურად გამიჯნულია ლიტერატურისგან და ხელოვნებისგან. მაგრამ რაც შეეხება ზემოთ ჩემს მიერ ხსენებულ ავტორის განვითარებისა და კრიტიკის ფაქტორს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არა ერთი-ორი ადამიანის ჯანსაღი კრიტიკა და შენიშვნები, ალბათ იმას, რასაც ცოტა ხნის წინ მივხვდი და აღმოვფხვერი ჩემი შემოქმედებიდან, შესაძლოა ცოტა გვიან მივმხვდარიყავი. ფავორიტების მსგავსად, ამ პიროვნებების დასახელებას აქაც მოვერიდები.

პროზას რაც შეეხება, გამოგიტყდებით, მოთხრობა მითარგმნია, მაგრამ ჩემით არასოდეს დამიწერია. არ ვიცი, შეიძლება ერთხელ ამის განწყობაზეც დავდგე და დავწერო. თუმცა ჯერჯერობით მაინც ძალიან დიდი პრეტენზიები გამაჩნია საკუთარი თავის მიმართ პოეზიაში პირველ რიგში.

ეპილოგი: და ბოლოს, როგორ ფიქრობ, ინტერნეტ სივრცე ხელს უწყობს თანამედროვე ლიტერატურის განვითარებას?

ქეთი თუთბერიძე: ალბათ თავისთავად მკითხველს ეხმარება, რაც შეიძლება მეტი აქამდე უცნობი ავტორი გაიცნოს და, შესაბამისად, არჩევანის საშუალებას აძლევს გადაახარისხოს სხვადასხვა კატეგორიებად. თვით ავტორებს კი ხელს უწყობს, პუბლიკას რაც შეიძლება მარტივად გააცნონ თავიანთი შემოქმედება. ამას კიდევ თავისებურად დადებითი მხარეები აქვს; კერძოდ, ახალ ურთიერთობებს ვგულისხმობ გამოცდილ და დამწყებით შემოქმედებს შორის.

უდაოა, ინტერნეტ სივრცეს თავისი წვლილი ნამდვილად შეაქვს ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ "ხელს უწყობს თანამედროვე ლიტერატურის განვითარებას"; რატომღაც მგონია, რომ ცოტა ხმამაღალი ნათქვამია ყველანაირი თვალსაზრისით.

ფორმულა

გუშინ გიორგი კილაძემ მთხოვა, «ებლიტფოზე», რომელიმე შენი ლექსი განათავსე და შეეცადე მკითხველის თვალთ წაიკითხო.

არ ვიცი რა გამოვიდა, პირველად გავარჩიე საკუთარი ლექსი.

ეს ლექსი შეგნებულად ავირჩიე, თორემ ამ ბოლო დროს ისეთ მძაფრ მისტიკაზე ვარ გადასული, მაგდენს რა დაწერდა.

ეს ქალაქია _

კედლის რუკაზე აღნიშნული შავი წერტილი.

და შენი თმების ყველა ღერზე კოდირებული სახელწოდებაც პირობითია.

ეს სახლებია პლასტელინით გამოძერწილი, -
განლაგებული უადგილოდ ზამთრის ქუჩებზე,
საკვამურიდან ავარდნილი ნაცნობი სუნით
და ყვითელ ჭერზე შერჩენილი მთელი არქივით.

ეს კი ქუჩაა,

პირობითად ერთი ადგილი,

სადაც ყოველ დღე ჩვენ ვსწავლობდით სასოწარკვეთას.

ეს ამინდია _ წვიმიანი და ცოტა მშვიდი.

(ადამიანებს მიეჩვივნენ ნაჭრის ქოლგები,
რომ მათ მახინჯი შეგრძნებები შეუნარჩუნონ).

ეს მე და შენ ვართ.

ანუ არ ვართ აღარაფერი,

ანუ სიტყვები დავაგროვეთ უარმანეთო.

ანუ მე და შენ განგვმარტავენ უკვე ცალცალკე.

თუკი ქალაქი დაამთქნარებს უფერულ ამინდს,

თუ სახლის ჭერი ჩამოხრტყავს არქივს საწოლზე,

ზამთრის ქუჩებზე დაიწყებენ კნავილს კატები

ან თვით ქუჩები დაიწყებენ ქცევას კატებად,

რომ შეიცვალონ მისამართი დროებით მაინც.

ეს არის ალბათ უშენობის ერთი ფორმულა _

სიცივე

სახლი

და ტკივილი ლაქებად ჭერზე.

საკუთარი ლექსის წაკითხვა მკითხველის პოზიციიდან _ ეს არც თუ ისე ადვილია, თუმცა თვითკრიტიკის წყალობით შევეცდები, რომ ჩემსავე ლექსს უცხო თვალთ შევხედო.

თემა, უმარტივესი მისახვედრია, რომ სიყვარულის ეპილოგია, ნაცრისფერი და მელანქოლიური შეგრძნებებით. ამავე დროს ლექსის დასაწყისშივე იგრძნობა ავტორის ინდიფერენტულობა სოციაუმისა და, საერთოდ, ცხოვრების მიმართ.

«და შენი თმების ყველა ღერზე კოდირებული სახელწოდებაც პირობითია.»

თმის ღერებზე კოდირებული სახელწოდება ცნობიერების ტრანსცენდენტალური ფუნქციებია და ყველაფერი, რაც იქ არის ჩაკირული.

ანუ ეს ყოველივე პირობითია: სიცარიელით სავსე ქალაქი, სახლები, რომლებიც თავიანთი უფუნქციობით პლასტელინისგან გამოძერწილ სათამაშოებს ჰგვანან და რომლებმაც ადგილიც კი დაკარგეს. ზამთრის ქუჩაში არ არის ნაგულისხმები მხოლოდ ქუჩა წელიწადის გარკვეულ დროს. სიტყვა ზამთარი უფრო ამძაფრებს ამაოებისა და ინდიფერენტულობის განცდას ავტორის ხედვით.

ეს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი კი თავმოყრილია ერთ სტრიქონში, რომელიც გარკვეულ დეფინიციას აძლევს წინა ტაპებსა და მეტაფორებს.

«ეს კი ქუჩაა,
პირობითად ერთი ადგილი,
სადაც ყოველ დღე ჩვენ ვსწავლობდით სასოწარკვეთას»

ლექსში აღწერილი ქალაქი მკითხველში იწვევს უსიცოცხლო, სიცარიელით გაჟღენთილი სივრცის მირაჟებს.

წვიმა კი, რომელსაც შეუძლია ადამიანების შეგრძნებები თუ აზრები ჩამორეცხოს, განწმინდოს, რეალურად უარყოფილია თვით ამ პიროვნებების მიერ.

ამის მერე იწყება ნაწარმოების უმთავრესი მონაკვეთი – ავტორის პირადი განცდების გამოტანა სააშკარაოზე, რაც ჯაჭურად ებმის ზემოთ აღწერილ სიცარიელეს.

ეს სიყვარულის დასასრულია, სიყვარული კი ერთადერთი იყო თითქოს ლექსის პერსონაჟისთვის, რასაც სასიცოცხლო იმპულსები შემოჰქონდა მის სივრცეში.

ქალაქის მიერ დამთქნარებული ამინდი უფრო ამძაფრებს ინდიფერენტულობას, ასევე მეტი სიმძაფრე შემოაქვს კატების ფაქტორს, რადგან კატაში უკვე მოიაზრება მისტიკა თავისთავად.

«ან თვით ქუჩები დაიწყებენ ქცევას კატებად,
რომ შეიცვალონ მისამართი დროებით მაინც.»

ეს ერთფეროვნებით გამოწვეული აპათიური განწყობაა, თუმცა პერსონაჟი მაინც იტოვებს იმედს, რომ რაღაც შეიცვლება ქუჩების ტრანსფორმირების შემდეგ.

ფაქტობრივად, აზრი ერთია თითქმის ყველა მეტაფორაში, უბრალოდ ვარიაციებია, ე.წ. პერეფრაზი, უმოქმედობით და ერთფეროვნებით ინფიცირებული პიროვნების მიერ დაწერილ ლექსში.

აი ფინალი კი...

ფინალი ძალიან სუსტია, მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურად ებმის ლექსს, იგივე ემოციასა და რიტმს ატარებს, მაგრამ სიტყვა «უშენობა» იმდენად პირდაპირ და მიწიერად ჟღერს, რომ ლექსს ფიასკოსთვის წირავს.

საერთო ჯამში, ეს არის საკმაოდ ბანალურ და მილიარდჯერ გადაღეჭილ თემაზე დაწერილი ლექსი, რამდენიმე საინტერესო და სპეციფიკური პასაჟით.

ერთი ლექსის ორი «წაკითხვა»

ნატა ვარადა (ავტორი)

მ.ი.ლ.მ.

ბავშვები თამაშობენ ბებრების სახეებით,
ოკეანეს მოწყვეტილ სრუტეზე.
ქვის თვალებით მზის ანარეკლებს
მიშტერებულნი, მიწას ჩარჩენენ დედები.
მამები მორებად გაედნენ:
_ სხეულებზე გადმოიარეთ,
უსაფრთხოა ჩვენი ხორცი,
არ შეგეშინდეთ მიტოვებულებს.

მე, ახლა თუ მკითხველი ვარ და თან რეალობიდან გამოქცეული, ვეძებ რაღაც ისეთს, რომელიც ცოტა ხნით ან საერთოდ და მუდმივად დამავიწყებს ჩემს რეალობას, რომელსაც გავურბივარ, ეს სათაური საით წამიყვანს?! კითხვაც არის და პასუხიც. რამდენი? ერთი.

აქ კონკრეტულ ერთ ადამიანზეა საუბარი, ან მოვლენაზე, ან თავგადასავალზე ან ტყუილზე, მაგრამ ისეთ ერთზე, რომელიც თან თავისთავად ერთია და თანაც რამდენიმე.

აბრევიატურა ინიციალების ეს უკვე პატარა ჩანაფიქრია ავტორის, ფორმულის ამოსახსნელად, ქვევით მოცემული ტექსტი მოიშველიოს «ჩემნაირმა» მკითხველმა.

ბავშვების მარტოდ დარჩენა ან უპატრონოდ დარჩენილი ბავშვები _ ხიფათის, შიშის ეპიზოდად დამჭირდა, მაგრამ ეს შიში რომ ჩვეულებრივი არ არის, მათი ორსახოვნობით გამოვკვეთე. ბებერი სახე პატარას _ ეს უწმინდურისკენ მინიშნებაა.. შემდეგ კი ჩვენ ვხედავთ ასეთ სურათს, რომ ხმელეთი და წყალი გაიყო ანუ ინგრევა რაღაც მყარი, რაზეც დაფუძნებულია კაცობრიობა. ეს შიშიც ნგრევისა უწმინდურობისგან მოდის. დედა, ყველაფერს აკეთებს შვილის გადასარჩენად, დედაშვილობის სიყვარული აქ ჩაკირულია. მამაც შრომით, დაუღლელობით ცდილობს საკუთარი ხორცის ანუ მომავლის გადარჩენას. თუმცა პირველი სტროფის ბოლო ფრაზა «არ შეგეშინდეთ მიტოვებულებს», მიგვანიშნებს იმას, რომ თუნდაც ფორმა დაკარგული კაცობრიობა მარტოა დარჩენილი, ამქვეყნიურობის უკანასკნელი ამბავია და აქვე, ხავსიც: ნუ გეშინია.

ბავშვებს თითქმის უჭირავთ ერთმანეთი.
ტრიალებენ _ ფრი, ფრი, ფრი _
ეს ჩვენებაა ბაბუების,
ხმელეთს კუნძებად ამოზრდილების.
მუდმივად უთრთით ხმელი ფესვები; -
ბებიები _ წელში ორმაგად მოკაკულები,
ზურგზე კუხებით.
ახალშობილის ხმით მტირალები.

წარსული თავის მომავალს ხედავს ანუ წინასწარმეტყველება ასეა გადმოცემული.

ბავშვები, იგივე მომავალი, ცდილობს თავის გადარჩენას ხელოვნური ტრიალით, მოძრაობით, ფრენის ანუ ალტაცების მონიჭებით. თუმცა ბავშვებს სურთ ასე (წინასწარმეტყველს) და ბებიების სახე კიდევ ნიშნავს ადამიანის ზოგადად სახეცვლილებას, რომელიც ყოველთვის თან სდევდა სიცოცხლეს. უნდა დაპატარავდე რომ დაბრუნდე. იესომ ერთხელ უკვე თქვა: სასუფეველი პატარისაა. პატარა, აქ, ორივე მნიშვნელობით უნდა მივიღოთ.

ამათ მნათობი დაექცათ სახლში.

ამათ წინაპარს ჭინკა უნახავს შუალამეს

ჭალაში მჯდარი,

დედალხოხობის ხმაზე მოკრიახე.

ჩაუწვენია ჟოჟობას წვენში;

შავად უთენებია:

_ შენს მოდგმას ღმერთი დაუკლავს,

როდემდე გითმინოთო?

რა პირ-უჩუმარი გამოდექიო!

ჩვენი მადევარის ეზო-კარი არ დაგიქცევია.

ჩვენზე ცუდი თვალთ მაცქერალს

ჩვილი გამოსჩეკია, ხელს აფარებო.

რად არ დასვამ მის კუბოსთან და

რად არ დასწვავ მის თვალებს და კიდურებს

კბილებით რად არ და დაახრევიანებო.

აქ კაცობრიობის ყველაზე დიდი ცოდვა ვთქვი. დანაშაული, რომელიც, რატომღაც მხოლოდ ებრაელებს შერჩათ თუ შევაწმინდეთ ჭუჭყიანი ხელებივით. როგორ გაწირეს მკურნალი, რომელიც არ იყო შურისმაძიებელი, ადამიანს კი სწყუროდა წყევლის სისრულეში მოყვანა. თუმცა აქუფრო ძველი ამბავია მოთხრობილი. ნახეთ, ეს ამბავი ჭინკას მოყოლილია. დაეჯერება ალქალას? ღმერთი, რომელიც შეეწირა პირველ ადამიანებს, ეს სხვა ღმერთია. სხვა ანუ ჭინკების ღმერთი.. ჩვილი გამოსჩეკია ხელს აფარებო.. ჩვენს მადევარსო, ჩვენსკენ ცუდი თვალთ მაცქერალსო.

ამათი ჭაბუკი ღმერთი, სნეულების მხარესაა..

თვალაღებულ ბალღებს წყლულებს აშრობს.

_ ეგრე გინდა არაო და ეგრე არ გინდაო და

შენმა ძმებმა გადმოიღეს მშვილდები და

ბოღმა-ნაღველში ალესილი ისრები

მოაზიდინეს ქალწულებს.

დააკვირდით. შემდეგ შემოდის კეთილი ღმერთი. ჭაბუკი ანუ უკვე აქ დროის ცვალებადობასთან გვაქვს საქმე. ჭინკების ღმერთი მოკლულია, აღარ არსებობს, იზადება ახალი ღმერთი, რომელიც კეთილია. ეს ჭაბუკი ღმერთი ის ჩვილია, რომელიც თავის მოშურნე ხალხების სამი დღის მკვდრებს აცოცხლებდა. ეს თვალაღებულ ბალღების წყლულების სხეულით შემოვრბაც სწორედ ამას ნიშნავს.

შემდეგ შურისძიება კეთილ ღმერთზე. ანუ ძალიან ძველი, წარმართული წყევლის აღსრულება, იგივე მსხვერპლშეწირვა, რომლის ჩატარებაც უკანასკნელად, მაგრამ მაინც მოხდა კაცობრიობის ისტორიაში, რათა წყევლა ახსნილიყო. ქალწულებით მოზიდული შვილდები კი იმას ნიშნავს, რომ სხვანაირად ეს ვერ მოხდებოდა.

გაადიდე მათი სახეები:
ნაოჭებზე ასხმული სისხლია.

ჯერ კიდევ შეუძლია ადამიანს აჯობოს ბოროტებას. შეხედოს მას და დაიმახსოვროს სამაგალითოდ.

ბავშვები თამაშობენ ბებრების სახეებით,
მოწყვეტილ მიწის ზედაპირზე,
დედები წყალს დარჩენილები, ქვის თვალებით
გასცქერიან უძრავ ანარეკლებს.
მამები ზურგზე გადებულები:
_ სხეულებზე გადმოიარეთ,
ნუ გეშინიათ მიტოვებულებს!

ბოლო სტროფით კი ვახდენ სურათის კოპირებას.

სტრიქონებში გამოიკვეთა, რომ სამყაროს ზურგზე გადებული მამები, არ იყვნენ ბიოლოგიური მამები და აქ წმიდა მადლით შემოსილ მამებზე უნდა მეფიქრა; როგორც, ის დედები არ იყვნენ უბრალოდ, მხოლოდ დედები და არც ის ბავშვები იყვნენ, უბრალოდ ნაადრევად დაბერებული, მარტოდ დარჩენილი, ხიფათის მომლოდინე ცელქი ბავშვები.

მე მომეჩვენა, რომ ბიბლიურ ამბავს ვყვებოდი და ამიტომაც გავაკეთე მეორე ქვედა სათაური იესოს მოწაფეების სახელების ინიციალებით: მათე, იოანე, ლუკა, მარკოზი.

ქეთი თუთბერიძე:

ლექის «რამდენიმე ერთის» კითხვისას გებადება შეგრძნება, რომ აპოკალიფსის პირას მდგომი კაცობრიობა მუჭში მოიქცეო და მათ «დედალ ხოხობის ხმაზე მოკრიახე» მონოლოგს ისმენ.

ლექი სავსეა აპათიით.

ამავე დროს, თითქოს ყოველი სტრიქონი აცოცხლებს ბიბლიურ სიუჟეტებსა და არაერთ წარმართული მითოსის ეპიზოდს ავტორისეული ინტერპრეტაციით, რა თქმა უნდა.

აი მაგალითად,

«_ ეგრე გინდა არაო და ეგრე არ გინდაო და
შენმა ძმებმა გადმოიღეს მშვილდები და
ბოღმა-ნადველში ალესილი ისრები
მოაზიდინეს ქალწულებს».

ლექსის მორალი არის ის ცოდვა, ის ე.წ. კაცობრიობის წყევლა, რომელსაც გენეტიკური კოდი ატარებს, რომელიც არ «იფილტრება» ეპოქიდან ეპოქამდე, საუკუნეებისა და ათასწლეულების მანძილზე. ეს ცოდვა ღმერთის დავიწყებაა.

(მე ასე ვხედავ ყოველ შემთხვევაში.)

«ამათი ჭაბუკი ღმერთი, სწეულების მხარესაა..

თვალაღებულ ბაღებს წყლულებს აშრობს.»

აქ ყველაზე ნათლად შემოდის რამდენიმე ეპიზოდის ერთობლიობა ახალი აღთქმიდან. ჭაბუკი ღმერთი – იესო, რომელიც მხოლოდ ბავშვებს კურნავს და არა იმიტომ, რომ ბავშვი უცოდველია, არამედ იმიტომ, რომ მომავალი მოდგმის განწმენდა სურს. გარკვეულწილად ეს ეგზორციზმია.

ამ ლექსში ბავშვები სხვა კონტექსტშიც არიან მოხსენიებულები, კერძოდ –

«ბავშვები თამაშობენ ბებრების სახეებით,

მოწყვეტილ მიწის ზედაპირზე,»

ეს არის ერთ-ერთი ყველა მძაფრი სტრიქონები ამ ნაწარმოებისა.

ბებრების სახეების მქონე შვილები ჩემში პირადად დემონების ასოციაციას იწვევენ, არ ვიცი ავტორმა რეალურად რა იგულისხმა, მაგრამ მე ამ ლექსში ვხედავ ე.წ. გნოსტიკურ დუალიზმს – ღმერთი, რომელიც დაივიწყეს ადამიანებმა და თავიანთ განზომილებაში დემონები შემოუშვეს, უფრო სწორად თვითონ იქცნენ ეშმაკებად. თუმცა საწყისი ორივე მხარეს ერთი აქვს თითქოს.

მე პირადად ეს ლექსი ასე წავიკითხე.

საინტერესოა სხვების აზრიც.

«თავისით რაც მოდის, ის უფრო ნაღდია»

ლიტერატურულ პორტალ – «ლიბ. გეს» განყოფილებაში – «ებლიტფოს არქივიდან» ოცდაათამდე ქართველი მწერლისათვის დასმული «რამდენიმე კითხვაა» განთავსებული. ცნობილ მწერლებთან ერთად «ებლიტფოელების» კითხვებს ახალგაზრდა მწერლებიც პასუხობდნენ.

ყოველთვის მინდოდა რამდენიმე კითხვა ახალგაზრდა მწერალ გურამ მეგრელიშვილისთვის (ლიტერატურულ სივრცეში «ზემხად» წოდებული!) დამესვა...

სურვილის ასრულება «სკაიპით» შევძელი.

გიორგი კილაძე

გ. კ. გურამ, შენი ლიტერატურული ფსევდონიმი «ზემხაა»... თუ არ მეშლება, «ერიკ მამედზადეც»... ორი დიამეტრულად განსხვავებული ავტორია...

გ. მ. კი, განსხვავებულია. «ზემზა» ჩემი დებიუტი და ცდა იყო, როგორც მწერლის. «მამედზადე» არასერიოზული ვინმეა. საერთოდ, მაგ სახელ-გვარის ისტორიაც არასერიოზულია, ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონეს ქვია, იეთიმ გურჯის ლექსებს ამბობს და იბრალებს, ჩემიაო. ხოდა, ეს მეორე ერიკიც პლაგიატია; ხელმოწერაც ჰქონდა ეგეთი: «მე პლაგიატის ხელოვნების მაგისტრი ვარ», თუ რაღაცა, ხო?

სირცხვილია, რა.

გ. კ. გურამ, რას ფიქრობს მწერალი გურამ მეგრელიშვილი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე – პოეზია, პროზა, კრიტიკა, თარგმანი.

გ. მ. პოეზიაზე რა ვიფიქრო, აბა? საშარო თემაა და ვერიდები ფიქრს. პროზა... ხომ ატყობთ, რომ კარგად წერენ ბევრნი, ბევრნი საუკეთესოდ, ბევრი კი წერს რა, მაგრამ ძნელია ვინმეზე თქვა ეს კაია, ის – არა. შეუძლებელია მაგ ბეჭდის დასმა. ვინ ვინაა, სინამდვილეში მაგის თქმა წინასწარმეტყველებს შეუძლიათ და სულიერ ადამიანებს. წინასწარმეტყველი და სულიერი, ამ შემთხვევაში ლიტერატურულ ამბავში ვიხმარე. თარგმანები... კაია, თარგმანები რო მატულობს. არ მიყვარს სხვა ენაზე კითხვა, არადა მიწევს. მირჩევნია «დამახინჯებული» ქართულით წავიკითხო ჰემინგუეი, ვიდრე ლაღი ინგლისურით. ნუ, იაპონელებს ვერც ასე, ვერც ისე ვერ წავიკითხავდი, ამიტომ, რაღა ნათარგმნი რუსულით ვნახო ნადირობის ამბები? აგერა, თარგმნეს ქართულად და ხელმეორედ სიამოვნებით წავიკითხავ. სამეცნიერო ლიტერატურაა სათარგმნი უამრავი.

გ. კ. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდა მწერალს სხვადასხვა თაობის მწერლებთან გიხდება ურთიერთობა. შენი თაობის მწერლებზე გვესაუბრე... ზოგადად, როგორი დამოკიდებულებაა დღეს სხვადასხვა თაობის მწერლებს შორის? როგორ ფიქრობ, რამდენად კითხულობენ ქართველი მწერლები ერთმანეთს?

გ. მ. ლიტერატურა რაღაც ცალკე მდგომი და არიქა, საქმე არა მგონია. ჩვეულებრივი ხელობაა რა, ხელოსნობა, ოღონდ ღვთის დაშვებით მოდის, ნიჭია, თუ რაც ჰქვია. სხვაზე ვერ ვიტყვი ვერაფერს და ჩემ თავზე მომსვლია ხან – რაღაცა განსაკუთრებული მოგეჩვენება თავი, უფრო მაშინ როცა რაღაცა დაგეწერება, მარა, საბედნიეროდ, მერე მოდის რა რომ... ასეთი ხელოსნები იყვნენ, არიან და იქნებიან ტონა, 2 ტონა და 7 ტონა. ვის გააოცებ, რით გააოცებ? აკეთე შენი საქმეო, სერბი გლეხ-წმიდანის ნათქვამია, მიყვარს ძალიან.

გ. კ. ზოგადად, ქართველ მკითხველზე რას მეტყვი?

გ. მ. მე მხოლოდ ქართველი მკითხველი ვიცი და შესაბამისად, მთელი მსოფლიო ქართველია ჩემთვის. ძნელია ქართველისთვის წერა, ბუნებით და ღმერთით ბრძენი ერი ვართ და ვერ მოატყუებ, ვერ გააცურებ, ვერ დაარიგებ. ყველაში თანაბრად დევს წერის ნიჭი, ზარმაცები ვართ მგონი და ეგაა. ერთი რამე მწყინს ოღონდ, ჩემი თავისაც რა, როგორც მკითხველის – საკუთარი აზრი ხან ვეღარ მაქვს, რაღაცა კოლექტიური შემფასებლობაა მოდაში. ჭირს თქმა – ეს კარგია, ან ეს ცუდია, მერე ხდება, რომ ვიღაცა გაბედავს და შეაფასებს «ნაგავია», ან «მაგარია» და ავიტაცებთ ხოლმე. ადრე მგონი ასე არ იყო, თუ იყო? არ ვიცი მარა არ მომწონს ეს.

გ. კ. გურამ, შენი აზრით, როგორი მკითხველები არიან მწერლები და რას ითხოვენ?

გ. მ. მკითხველები მწერლებისაგან და პირიქით?

ზოგადად არ ვიცი, როგორები არიან. არის ასეთი ტიპოლოგია – «მწერალი ასეთი და ასეთი მკითხველია ზოგადად»? ან «მწერალი» ასეთია ან ისეთია? ინდივიდუალურია

რა. მე მწელად ვკითხულობ. თავისით გპოულობს მოთხრობაც და წიგნიც, რაღაცა მაგიასავითაა, რო მჯეროდეს მაგიის...

მკითხველი ქალია, მწერალი კაცი. ხან პირიქითაცაა. როცა მკითხველი ქალია, ის მხოლოდ სიმართლეს გთხოვს, ვერ მოატყუებ, მოატყუებ და იგრძნობს და შეგიზიზღებს; თუ მკითხველი კაცია... კაცებსაც ხომ გააჩნიათ? ზოგი ყველა ქალთან წვება, ზოგი არჩევს საუკეთესოებს. (აქ შეგიძლია, აი, იაფფასიან ჟურნალებში რომაა _ იცინის _ ჩასვა. მარა არ ვიცინი).

გ. კ. როგორ ირჩევენ თემას მწერლები? შენ?

გ. მ. სხვისი არ ვიცი, მე 2 ვარიანტით: ჩემით და თავისით. ჩემით არჩეული სულ მგონი 2-3 შემომჩა. თავისით რაც მოდის, ის უფრო ნაღია. ადვილია, იმას დააბრალო, ვინც გაძლევს. სხვადასხვაგვარად მოდის რა მოკლედ. არ ვიცი, არც მიფიქრია მაგაზე.

გ. კ. კრიტიკის მიმართ დამოკიდებულებაზე გვესაუბრე...

გ. მ. კრიტიკაც და ქებაც, ჩემი აზრით ერთი და იგივე რამაა. ვერანაირ განსხვავებას ვერ ვხედავ ამ ორს შორის. თუ რაღაც გაგებით შენზე ერთი, ან მეორე მოქმედებს, გამოდის, რომ შენი პიროვნება ჯერ არ შემდგარა და რაღაცა კოლექტიურის «გემოვნებით» ვითარდება. ჩემ მეგობარ «ფედკას» აქვს «ყმაწვილში» ნათქვამი რაღაც ამდაგვარი: ნიჭიერი და უნიჭო მწერალი იმით განსხვავდება, რომ მაგებაზე პირველი უფრო ძლიერდება, მეორე კი წერას თავს ანებებს, ან ბოროტდებაო. ჩემს თავს ასე ვამხნევებ ხოლმე თუ შემომიტიეს ქებით, ან ლანძღვით. ერთიც დროებითია და მეორეც-თქო.

გ. კ. შენი აზრით, რატომაა ჟურნალისტური ნაკადის ასეთი ექსპანსია ქართულ მწერლობაში... აქვე გკითხავ, როგორ მოვიდა ბიზნეს იურისტი და ფსიქოლოგი გურამ მეგრელიშვილი თანამედროვე ქართულ პროზაში?

გ. მ. ჟურნალისტურის? ეგრეა მართლა? ალბათ ჟურნალისტებს ბევრი წერა უხდებათ და აღარ ეზარებათ. ადრე, როცა ვვარჯიშობდი და დღეში ძალით 30-40 რამეს ვწერდი რო წერა მესწავლა, მეც მიმეჩვია ხელი, თორე აღარ დავწერდი არაფერს. რაღაცა უმუღამო ხელობაა. ენერგია დიდი მიდის და არაფერი მოდის.

გ. კ. ვირტუალური სივრცის მწერლობაზე რას იტყვი, რა მნიშვნელობა აქვს დღეს ვირტუალურ ლიტერატურულ სივრცეს ლიტერატურის განვითარებისათვის?

გ. მ. ვირტუალური მწერლობა კაცია და ცუდიც. კაი იმიტომაა, რომ ადვილი გასარეკლამებელია, ცუდი _ თითქმის არ იკითხება ისე, როგორც წერია. აიღეთ მონიტორიდან წაიკითხეთ მოთხრობა, მერე წიგნიდან 2 სხვადასხვა რამაა.

გ. კ. რამდენად იცნობ თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურულ ტენდენციებს და რა გავლენას ახდენს შენს შემოქმედებაზე?

გ. მ. რომ გითხრა ვიცნობ-თქო, მოგატყუებ. ცოტათი ვიცნობ. მაგრები მოდიან. მიდიან. არიან. მაგრამ, მგონია რომ მწერალი თავისით, ინტუიციურად მიდის ახლისკენ. და ასეთი ახლისკენ მიდის მისი თაობის ყველა მწერალი. აუცილებელი არაა, სხვა წაიკითხო და «მოპარო». ველოსიპედის თანაგამოგონება ხშირია.

გ. კ. არის მარადიული თემები ლიტერატურაში?

გ. მ. რომ ვთქვა, არის-თქო და არ იყოს, ცუდია. ვთქვა არ არის-თქო და იყოს – ეგეც. ყველა წიგნი არ წამიკითხავას ჯერ და რა ვიცი, აბა? წესით იქნება რა. სიყვარულის თემა და უსიყვარულობის, ალბათ.

გ. კ. გურამ არა მგონია, პლაგიატი ლიტერატურაში მხოლოდ დღევანდელი ლიტერატურის პრობლემა იყოს და მაინც, როგორ ფიქრობ, რატომ მომძლავრდა (იქნებ მეშლება) პლაგიატი, განსაკუთრებით პოეზიაში, იქნებ დროებითი მოვლენაა და უმტკივნეულოდ ჩაივლის?

გ. მ. პოეზია არ გვინდა რა, წინასწარმეტყველებთან და წინასწარ-მეტყველებზე საუბრის მეშინია. პლაგიატიც არის, კი. უნებურადაც ხდება, ნებითაც. ჩემს თავზე ვამბობ, სხვისა რა ვთქვა? მომსვლია უნებურად ეგრე – განიცდი გავლენას, მერე მოგეწონება რაღაც და «ააწაპნი». თემას ვგულისხმობ, შესრულების მოპარვა შეუძლებელია. რომ დასვა მაგარი «პლაგიატი» და აიძულო გლენ გულდივით დაუკრას, დაუკრავს? ჩემ ფეხებს დაუკრავს, ჰოდა ეგაა. თემის მოპარვა კიდევ... ყველა მაინც ერთ დიდ წიგნს ვპარავთ თემებს. შექსპირიც ჰპარავდა თანამედროვეებს, მაგრამ შექსპირი დარჩა და ის თანამედროვეები... განმარტებებში მისი პიესებისა მხოლოდ. აი, ახლა მომივიდა აზრად... არაა, კაი მოპარვა. აი, მე მოპარული იდეა ყველა ჩამივარდა. მოპარვა მუსიე ეშმაკის წესია, ქმნა ღმერთისა.

გ. კ. გურამ, არაფერი გვითქვამს ბექდურ გამოცემებზე. შენ უკვე კრებულის ავტორი ხარ. შენი ერთი მოთხრობა «მრავალჯერადი ბოთლები» 15 საუკეთესო მოთხრობაშია შესული, მეორე ადგილი დაიკავა... და მაინც, რა მდგომარეობაა ნაწარმოების გამოცემის მხრივ საქართველოში?

გ. მ. ვერაა კარგად გამოცემა. და რომ ვერაა, მერე წერის ხალისიც ქრება რაღაცნაირად – იყინები. «საპოჟნიკი» რომ დასვა ჯიხურში, ამუშაო და არ გაყიდო ეგ შენი ფეხსაცმელიაო, ხო ძნელია? ეგრეა ეს ჩვენი საქმეც. ღმერთის ნებაა რაღაცნაირად. მე რატომღაც გამიმართლა, გამოცემის პრობლემა არ მქონია. მე ვარ ყველაზე მაგარი ჩემს თავში, მაგრამ ზუსტად ასეთივე ყველაზე მაგრები არიან მილიონი, აქ მარტო, ჩვენთან, საქართველოში. აბა დაბეჭდონ და გამოაჩენენ. გამომცემელს არ აქვს ინტერესი – ვერ ყიდის, ჰუმანიტარული უნდა გახდეს წიგნი. მიუტანე გაჭირვებულს. რა, წიგნი საკვები არაა? თუ არ მოეწონა და გამოიყენებს სხვა საქმისთვისაც, მინიმუმ დაწვავს და გათბება.

გ. კ. და ბოლოს. გურამ, კითხვებს «სკაიპით» გიგზავნი. «ავატარად» ჰესეს სურათი გაქვს გამოყენებული... ქვემოთ კი უცნაურ «ხელმოწერას» ვკითხულობთ: «ლოცვებსა და სადღეგრძელოებში... მომიხსენიეთ» – ამაზე რას გვეტყვი?!

გ. მ. კი, ფოტო ჰესესია. ისე რა, მიყვარს ჰესე, მაგრამ მაგარია. დიდი მწერლის ფოტოებს ვაყენებ ხოლმე ხან. 2 კაი შედეგი აქვს: ერთი რომ ვინმე გკითხავს, ვინააო, ეტყვი, ვინცაა, მერე ურჩევ რამეს მისას და წაიკითხავს, მეორე – ლიტერატურას, ისევე როგორც რელიგიას, თავისი წესები, მისტიკა და დოგმები აქვს, ამ «დიდების» მაღლი გადმოდის შენზე. მე მაგრად მიხარია, ჩვენი ხელობის ხალხს წმიდანებიც რო გვყავს – უამრავი. მათით ვწერთ, თუ ვწერთ რამეს.

ერთ მეწაღეს ჰქონდა გაკრული წერეთელზე ჯიხურში ვიღაც უღვაშა ტიპის ფოტო, ვინაა-თქო და «. ყველას ჩვენი მასწავლებელი გვყავს. მფარველი მწერალი. ჰეჰ.

რადაც ვერ დასრულდა აქ ინტერვიუ. კაია დაუსრულებელი რამეები. მმკითხველო და ამის წამკითხველო და ვინც იქნებით, თუ ძაან არ დაგეზარებათ ხოლმე, მომიხსენიეთ ლოცვებში და სადღეგრძელოებშიც, ჰა?

პროექტი – «100 მწერლის 100 ლექსი»

წინამდებარე სტატია ლიტერატურული პროექტის ნაწილია, რომელიც 100 ქართველი პოეტის თითო ლექსის ზაზა შათირიშვილისეულ კომენტარს გულისხმობს. საბოლოოდ, ეს იქნება ქართული პოეზიის კომენტირებული ანთოლოგია რუსთაველიდან დღევანდელ დღემდე.

მთას ვიყავ

(სიმღერა)

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდებ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
საკეთილდღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა:
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულადა.
ეხლა თავ-თავქვე მოვდივარ,
ხევში მიმელის ბნელია,
თან მიმდევს ფიქრი მწუხარე,
გულის, გონების მწველია.
მაღლიდამ დაბლა ჩამოსვლა,
ვაჰმე, რა მეტად ძნელია!
წამლობას ვეღარ გამიწევს
ეხლა ცრემლები ცხელია,
რად მოვალ, თავქვე რად მოვალ,
ჩემს თავს რად ვიხდი ტიალად?
იმ მთას თავს რისთვის ვანებებ,
თუნდ ვიქცე ტანჯვის ფიალად?!

ვაჟა-ფშაველას ეს ლექსი, ერთი მხრივ, ილიას (და, ნაწილობრივ, აკაკის) *პოეტთან* გვგზავნის («მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა»), ხოლო, მეორე მხრივ, აცოცხლებს, ბიბლიურ ტოპოსს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ – «ღმერთთან საუბარი მთაზე». აქ, ცხადია, უნდა გავიხსენოთ – მოსე სინას მთაზე, და, აგრეთვე, *ფსალმუნები*, სადაც არაერთხელ გვხვდება მთაზე ასვლისა და ღმერთთან საუბრის თემა (რა თქმა უნდა, არც წინასწარმეტყველთა წიგნები უნდა დავივიწყოთ, მაგრამ ეს უკვე შორს წაგვიყვანს).

ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ფერიცვალების ეპიზოდი *ახალი აღთქმიდან*, სადაც მთაზე ასული და გასპეტაკებული იესო ჯერ მოსესა და ელიას ესაუბრება, ხოლო მერე ღრუბლიდან ისმის თვითონ მამის ხმა (საზოგადოდ, იესოს განმარტოებული ლოცვა მთაზე არაერთხელაა ხაზგასმული, მაგალითად, ლუკას *სახარებაში*).

ვაჟა აცოცხლებს ამ ტოპოსს და ტვირთავს დამატებითი კოსმოგონიური ხატით – «გულზედ მესვენა მზე-მთვარე». აქ მნიშვნელოვანია «სრული სისრულისა» თუ «სისავსის» მომენტი – მწვერვალზე დგომა, მზე-მთვარე, როგორც კოსმოგონიური სისრულის გამოხატულება და ღმერთთან საუბარი.

ილია ღმერთთან იმისთვის საუბრობს, რომ ერს წინ წარუძღვს – ნაციონალიზმის კონტექსტში ეს თავისი წარმოშობით ბიბლიური ხატი წმინდა სეკულარული – საერო მნიშვნელობის მეტაფორა ხდება. «ღმერთთან საუბარი» აქ მხოლოდ განმანათლებლური ნაციონალიზმის ჰორიზონტს მოიცავს.

რაზე საუბრობს ვაჟა ღმერთთან?

– სიკვდილ-სიცოცხლეზე, სადაც სიკვდილი მოიაზრება, როგორც სიცოცხლის «მეორე რჯული» – ყოფიერების მეორე წესი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღმერთთან ეს «ლაპარაკი» – საუბარი «ონტოლოგიურია»; უფრო მეტიც, «მეორე რჯული» არა უბრალოდ ფრაზეოლოგიზმია, არამედ მოსეს *ხუთწიგნეულის* ბოლო წიგნთან – *მეორე რჯულთანაც* გვაგზავნის. ამავე დროს, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიკვდილი ვაჟას პოეზიაში სიცოცხლის მეორე მხარეა («სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს, ეს მიტომ დასდვა წესადა: სიკვდილი გაუჩენია მას თავის გასაკვებადა»).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვაჟას ამ ლექსის პირველი ორი სტროფის ბიბლიური ხატწერა აშკარაა. შეიძლება ვთქვათ, რომ ვაჟა პოეტი-წინასწარმეტყველის ხატს აქ სრულიად ორგანულად ითვისებს (როგორც ილია და აკაკი თავ-თავიანთ ლექსებში ერთნაირი სათაურით – *პოეტი*). მაგრამ, ვიმეორებ, განსხვავებით ილიასგან, ვაჟას პოეტი-წინასწარმეტყველი ინარჩუნებს ბიბლიურ-მითოსურ განზომილებას, მაშინ როცა ილიასთან ის მხოლოდ ლიბერალურ-ნაციონალური წინამძღოლობის აღმნიშვნელი განმანათლებლურ-სეკულარული მეტაფორაა.

ვაჟას ლექსის მეორე ნაწილი მთიდან ჩამოსვლის სიმძიმესა და ტანჯვას გვიხატავს. ამ მოტივსაც ორი განზომილება აქვს: ერთი – თავად ვაჟას პოეზიის კონტექსტია, სადაც პოეტური შთაგონების დაკარგვაწარმოდგენილია, როგორც ტანჯვა და უძლურება («აღარ მოფრინდა არწივი...» ანდა – *როს ვუკვირდები თავის თავს*).

მეორე მხრივ, კვლავ *ახალ აღთქმას* უნდა მივმართოთ, სადაც ფერიცვალება ქრისტეს მსახურების ერთგვარ ზენიტს წარმოადგენს. როგორც ბიბლეისტიკაში კარგადაა ცნობილი, ამ ზენიტის შემდეგ იწყება მოწამეობრივი გზა იერუსალიმისკენ. სწორედ ფერიცვალების მთიდან (რომელსაც, ტრადიციის თანახმად, თაბორის მთასთან აიგივებენ) ჩამოსვლის შემდეგ იესო ლაპარაკობს თავის ჯვარცმაზე.

აი ამ კონტექსტში უნდა წავიკითხოთ ვაჟას ლექსის ბოლო ხატი: «ტანჯვის ფიალა». ეს უკანასკნელი, ასევე, ბიბლიური წარმოშობის იდიომაა, რომელიც ქრისტეს სასმისთან და გეთსიმანიის ეპიზოდთან გვაგზავნის. ვაჟას ლექსის ფინალი საკმაოდ პარადოქსული და დახვეწილია: მთიდან ჩამოსვლა მწუხარებასთან და სიბნელესთან, მწარე ფიქრებთანაა დაკავშირებული. ლირიკული «მე» ამგვარ განსჯას გვთავაზობს – «თუნდაც მთაზე ყოფნა ტანჯვის ფიალად ქცეულიყო, პოეტი არ უნდა დაშვებულიყო მთიდან». მაშასადამე, აქ ვაჟა, ფაქტობრივად, პოეტის ფუნქციაზე გვესაუბრება. მთაზე დგომა და ღმერთთან საუბარი პოეტის ონტოლოგიურ-პოეტოლოგიური მისიაა, ხოლო მთიდან ჩამოსვლა – ამ მისიის ღალატი.

ვაჟას მოცემული ლექსი ბიბლიურ ხატწერასა და ტოპიკას პოეტის ხატზე აპროეცირებს – უფრო მეტიც, გარკვეული აზრით, პოეტი-წინაწარმეტყველი ქრისტეს ანალოგსაც კი წარმოადგენს. ვაჟა ამ შემთხვევაში ახლოსაა პუშკინთან, ლერმონტოვთან, ტიუტჩევთან და მიცკევიჩთან, რომლებიც, ასევე, აცოცხლებენ პოეტი-წინაწარმეტყველის ხატს და ბიბლიურ ხატწერას საკუთარი პოეტური მისიის ხაზგასასმელად თუ წარმოსაჩენად იყენებენ.

კომენტარები:

ქეთი გზირიშვილი: «100 მწერლის ასი ლექსი» – არაჩვეულებრივი პროექტია. დიდი ხანი ვუცდიდი... ძალიან საინტერესოა ზაზა შათირიშვილის კომენტარები. ასე რომ, ასივეს დიდი ყურადღებით წავიკითხავ. გამიხარდა, ვაჟას ლექსით რომ დაიწყეთ. გმადლობთ.

პიკასო: ვიტყვი, რასაც ვფიქრობ: სრულებით ახლებურად წამაკითხა ზაზა შათირიშვილმა ვაჟა-ფშაველას „მთას ვიყავ“, იმდენად აღმოჩენა იყო ეს ჩემთვის, რომ სიმართლე თუ გითხრათ, აქამდე სად ვიყავი... და რატომ არ მიფიქრია ამაზე მეც... ამ ლექსის ასეთი კავშირი – „ბიბლიურ ხატწერასთან...“, «მოსე... ფერიცვალება... ჯვარცმა... ანალოგია – ქრისტესთან! ... ასეთ კონტექსტში წაკითხული ლექსი იმდენად საინტერესოა და რაც მთავარია კიდევ მრავალნაირ გზას გიხსნის დაფიქრებისთვის, მსჯელობისთვის, აღქმისთვის! კავშირი ილიასთან, აკაკისთან... პუშკინთან, ლერმონტოვთან, ტიუტჩევთან...

რა ვთქვა – გავოცდი!.. ზაზა შათირიშვილის კომენტარი ნამდვილად საოცრებაა – მინდა დანარჩენი წავიკითხო _გამოუტოვებლად – 99!!!

P. s . მინდა ვისწავლო – „ასე« კითხვა.

ვაჟა ხორნაული: ვაჟა-ფშაველაზე საუბარი ყოველთვის უდიდესი სიამოვნების მომგვრელია. ასეა ამ შემთხვევაშიც ... ღმერთკაცი სამყაროში განფენილ მარადიულ ჭეშმარიტებას გვაზიარებს და ახალ ჰორიზონტებზე მიგვანიშნებს.

კარგია რომ გამოჩნდა რუბრიკა «ასი ლექსი». მკითხველს არაერთი საინტერესო შეხვედრა მოელოს იმ საოცრებასთან, «პოეზია» რომ ჰქვია სახელად.

გია არღანაშვილი: კარგია. ავტორმა ისე წაიკითხა ეს ლექსი, როგორც უნდა კვითხულობდეთ პოეზიას. შეიძლებოდა რაღაცის დამატება, მაგრამ მეტიჩრობა იქნება ჩემი მხრიდან... სიამოვნებით გავეცნობი ავტორის სხვა (ამ პროექტის ფარგლებში) ტექსტებს.

ვერ გავიზიარებ ბოლო ორი სტრიქონის ავტორისეულ (შათირიშვილის) განმარტებას, რომ «...თუნდაც მთაზე ყოფნა ტანჯვის ფიალად ქცეულიყო, პოეტი არ უნდა დაშვებულიყო მთიდან».

ტექსტის მიხედვით, «ტანჯვის ფიალად ქცევა», შინაარსობრივად იგივე კონტექსტში მოიაზრება, როგორც «ტიალად გახდომა», ამას კი თავივე ჩამოსვლა იწვევს.

გავიმეორებ, რომ მხოლოდ მთიდან ბარად ჩამოსვლა იწვევს ტანჯვის ფიალად ქცევას; ამდენად აქ პარადოქსაც ვერ ვხედავ.

ჩემი აზრით, «შეცდომა» გამოწვეულია ბოლო ორი სტრიქონის გაუმართაობით (ან არასწორი გაგებით), რასაც «თუნდ»-ას სხვადასხვაგვარი ახსნა იწვევს. ალბათ, უფრო გასაგები გახდება.

«თუნდ» _ ას მაგივრად «რომ»-ს თუ ჩავსვამთ.

«... იმ მთას თავს რისთვის ვანებებ,

თუნდ (რომ) რომ ვიქცე ტანჯვის ფიალად?!»

მე მგონი, ამ ლექსის განხილვისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ დავით წინასწარმეტყველის «ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა...» და გრიგოლ ორბელიანის «ფსალმუნი».

(სამწუხაროდ, კომენტარის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, რომ უფრო ვრცლად და გასაგებად გამოვთქვა აზრი...)

პოეზიის სადამოები ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2006-2008 წლებში 40-ზე მეტი პოეზიის სადამო გაიმართა. სხვადასხვა თაობის მწერლები, რომლებსაც დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ყოველთვის «დღევანდელი შეხვედრის მასპინძლად» მოვიხსენიებდით, მკითხველებს ძველ და ახალ ლექსებს უკითხავდნენ. იმართებოდა გულახდილი საუბრები ლიტერატურის ბევრ საინტერესო საკითხზე.

არცთუ იშვიათად «სტუმრები», «მასპინძლის» შემოქმედებაზე საკუთარ აზრს გამოთქვამდნენ, რითაც შეხვედრა კიდევ უფრო საინტერესო ხდებოდა.

ვფიქრობთ, ბატონ გივი ალხაზიშვილთან 2006 წლის 9 ივნისს გამართული შეხვედრის ბეჭდური ვერსია სასიამოვნო ემოციას აღძრავს მაშინდელ მსმენელებსა და დღევანდელ მკითხველებს შორის.

9 ივნისი, 2006 წ. პარასკევი. 18 საათი

ბატონი გივი ალხაზიშვილი: პირველ რიგში, ვიდრე ჩვენი დღევანდელი შეხვედრა დაიწყებოდეს, მინდა მადლობა გადავუხადო ეროვნულ ბიბლიოთეკას. გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ არ ვარ განებივრებული შეხვედრებით და არც მქონია სურვილი, რომ გარკვეული ინტენსივობით, ჩვენი კოლეგების ე.წ. «ესტრადნიკების» მსგავსად, მქონოდა უშუალო შეხვედრები მკითხველთან და ჩემს კოლეგებთან. ერთი გამონაკლისი იყო შეხვედრა «ჩვენი მწერლობის» შენობაში _ «ომეგა კლუბში», რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჩატარდა. მაგრამ გამოვტყდები, რომ როდესაც ბატონმა ემზარმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში სადამოს ჩატარება შემომთავაზა, არ ვიყოყმანე და დავეთანხმე. პირდაპირ გეუბნებით, მოწყურებული ვარ მკითხველთან და ჩემს კოლეგებთან შეხვედრას. ისინი მთავარი შემფასებლები არიან იმისა, თუ რა ხდება და რა კეთდება ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში, რა სიახლე შეინიშნება.

დღევანდელი დრო თვისობრივად განსხვავებულია იმისგან, რომელიც გამოვიარეთ. ამის მიზეზების ახსნას მე არ დავიწყებ, რადგან თქვენც კარგად იცით. უმთავრესი გახლავთ ის და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, რომ თვით კულტუროლოგიაშიც კი ძალზე საგრძნობია ტენდენცია სულიერი გამოფიტვისა. ამას თავისი მრავალი მიზეზი

აქვს და ის მოიტანა, რომ თვით შემოქმედებაშიც შთაგონება და შთაგონების მნიშვნელობა მეორე პლანზე გადადის ან სრულად იგნორირებულია; მაგრამ არის ერთი უცნაური ფაქტორი - ნებისმიერ ქვეყანაში, საერთოდ, ცივილიზებულ სამყაროში არსებობს კონსერვატორიები, საბალეტო სკოლები თუ სამხატვრო აკადემიები. ცივილიზებულ სამყაროში არის დაოსტატების კურსებიც, ე. წ. «მასტერ კლასები», რომლებსაც უნივერსიტეტებში ატარებენ ცნობილი და აღიარებული მწერლები. ეს პრაქტიკა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს და როგორც გუშინდელი ახალგაზრდობა, რომელიც აღარ არის ახალგაზრდა, ისე დღევანდელი თაობა მოკლებულია ამ «მასტერ კლასის» გავლის შესაძლებლობას. მე ვთვლი, რომ ეს კლასები აუცილებელია ნებისმიერი ახალგაზრდისათვის, დამწყები შემოქმედისათვის.

ხშირად ვიმეორებ ელიოტის სიტყვას, რადგან იგი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და გამეორება კი ცუდი არ არის, მით უმეტეს საქართველოში, სადაც უცხო ავტორიტეტებს უდიდეს პატივს სცემენ. თუმცა, ასეც რომ არ იყოს, ელიოტი მაინც დიდი ავტორიტეტია ჩემთვისაც და თქვენთვისაც. იგი ამბობდა, რომ ახალგაზრდას და ნებისმიერ თანამედროვეს, რომელიც ლიტერატურის ასპარეზზე და, ზოგადად, შემოქმედებით ასპარეზზე მოდის, ერთი დიდი უპირატესობა აქვს - წინარე თაობების გამოცდილების მაგალითზე სწავლა. ამაში არ იგულისხმება ერთი ან რომელიმე წინარე თაობის ლიტერატურული გამოცდილების ცოდნა. აქ, ცხადია, საუბარია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაზე, მის გათავისებაზე, გადახარშვასა და მხოლოდ ამის შემდეგ ნაბიჯის გადადგმაზე მოდერნის ან პოსტმოდერნისკენ.

სამწუხაროდ, ჩვენთან ეს ყველაფერი სხვაგვარად ხდება; სიტყვა «კლასი» სიმწყობრეს ნიშნავდა, ბრძოლის წინ ზღვაზე ხომალდების განლაგებას. ეს სიტყვა შემდეგ შემოვიდა ლიტერატურაში, ზოგადად, კულტურაში. დღეს ამ «კლასის» გამოტოვებით ხდება ახლის აღმოჩენის დაწყება. გამოტოვებულია ის უზარმაზარი სულიერი მემკვიდრეობა, რომლის ათვისება აუცილებელია. ამის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ თვით დეგაც კი – იმპრესიონისტული მიმართულების მხატვარი თავისი მოსწავლის შეკითხვაზე – რატომ არ მამლევეთ უფლებას, თავისუფალ თემებზე ვხატოთ? – პასუხობდა: ჯერ შენ ისწავლე ბოლოკის ნატურმორტის გაკეთება, ბოლოკის ნატურმორტის ხატვაო. მიყვარს ხოლმე ამის გამეორება, რადგან «კლასის», ლიტერატურის კანონის დამლევეა მას შემდეგ იწყება, როცა მას სრულიად აითვისებ, იცი და აბსოლუტურად სრულფასოვნად გაცნობიერებული გაქვს. მე ჩემს შესახებ ვერაფერს ვიამბობთ იმიტომ, რომ დარბაზში ვხედავ ადამიანებს, რომლებიც ჩემი მეგობრები, ჩემი კოლეგები არიან, ათეული წლებია, ქართულ ლიტერატურაში ერთად ვსაქმიანობთ, თავს უამრავი რამ გადაგვხდენია და ძნელია ამ ყველაფერზე საუბარი, სხვა თუ არაფერი, მერიდება. კიდევ ერთი უცნაური პრეცედენტია, რომ შევხვედრივარ ახალი თაობის წარმომადგენლებს და ყოველ თაობაშია უაღრესად კულტურული, განათლებული და ცოდნისაკენ მიდრეკილი, ნიჭიერი ადამიანები. ახლაც ასეა, მაგრამ გვხვდებიან ისეთებიც, უმეტესობა კი ასეთია, რომლებიც არ კითხულობენ წინარე თაობის ავტორების წიგნებს ან ძველ კლასიკურ ნაწარმოებებს მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიათ, მათი გავლენა არ განიცადონ.

ჩემთვის ცნობილია ჰერალდ ბლუმის «გავლენის შიშის სინდრომი». კიდევ უამრავი მაგალითის გახსენება შემიძლია, როდესაც ამ გავლენის შიში აბსოლუტურად აღმოფხვრილი არასდროს ყოფილა, მაგრამ არ შეუშინებია დიდი კლასიკოსები, რომლებიც თავის დროზე განიცდიდნენ წინარე შემოქმედთა გავლენებს. ამის ცოცხალი მაგალითია გოეთე, რომელიც აღიარებს, რომ გავლენის გარეშე შეუძლებელია

მწერლად იქცეს ადამიანი. ის პირდაპირ ამბობს, ბოლოს და ბოლოს, სტერილურად რომ ამყოფო ადამიანი, მაშინ მას არ უნდა ჰქონდეს არც მზის ამოსვლის და არც მზის ჩასვლის და არც ღამით ვარსკვლავების გავლენა, არც საკრალურთან შეხების და ტრანსცენდენტთან მიახლოების ბუნებრივი სურვილი, საიდანაც იწყება შემოქმედება. გალაკტიონის მაგალითი რომ ავიღოთ, ადრინდელი გალაკტიონი იოსებ გრიშაშვილის უმძაფრეს გავლენას განიცდიდა; იცით, რამხელა გავლენას ახდენდა აკაკის შემოქმედება გალაკტიონის შემოქმედებაზე. ეს გავლენები გალაკტიონმა სრულიად დასძლია და აბსოლუტურად სხვა სიმაღლეზე ავიდა, სულ სხვა გზით განვითარდა. ბევრს ვეღარ ვილაპარაკებ ამ თემაზე. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა აქ მოწვევისთვის.

ბატონი მერაბ ღალანდიძე: ბოდიში მინდა მოვიხადო: პირველი, რომ გამოვთქვამ ჩემს აზრს – ჩემზე სოლიდური და სერიოზული ხალხია დარბაზში. მე მხოლოდ ორიოდ სიტყვით ვისაუბრებ გივი ალხაზიშვილის პოეზიის შესახებ. ეს პოეზია საიმედოდ მყარია და ეს სიმყარე წონასწორობას ემყარება, წონასწორობას ასახავს. წონასწორობა ორ მხარეს, ორ ფრთას, ორ მიმართულებას შორის თანაფარდობის შენარჩუნებას ნიშნავს და მოითხოვს. გივი ალხაზიშვილის პოეზია ინარჩუნებს წონასწორობას მემკვიდრეობასა და ნოვაციას, კლასიკასა და მოდერნს, ემოციასა და განსჯას, გრძნობასა და ჭკრეტას, ევროპული პოეზიის ტრადიციებსა და ეროვნულ პოეზიას, მოწესრიგებულ პოეზიასა და ვერლიბრს შორის. გივი ალხაზიშვილის პოეზია არის ძიება ამ ორი მხარის თანაფარდობას შორის და ყოველთვის, როდესაც ის, როგორც პოეტი, ერთ მხარეს არის, მეორე მხარეს ეძიებს, მის სიღრმეში შედის; მაგრამ როდესაც მეორე მხარის სიღრმეში შედის, არასოდეს სწყდება პირველს, რომლის სიღრმეებიც ათვისებული აქვს. ძნელია გივი ალხაზიშვილის პოეზიის რომელიმე თაობის ჩარჩოებში ჩასმა. ის კარგი პოეტია და მისი წონასწორობისკენ სწრაფვა ურთიერთობებშიც აისახება – ის მეგობრობს მასზე უფროსებთან, ასევე მასზე უმცროსებთანაც. მის პოეზიაში ქართული პოეზიისათვის იშვიათად, საოცარი პლასტიკურობით, ხატოვანებით, ხელშესახებად არის დახატული ყოფა. მეორე მხრივ, და ესეც წონასწორობის გამოხატულებაა, ცოტა თუ დაწერილა ქართულ პოეზიაში ასეთი მედიტაციური ჭკრეტით და განმარტოებით აღსავსე სტრიქონები. გივი ალხაზიშვილისთვის ქართულ პოეტურ სახელთა შორის განსაკუთრებით ახლობელია დავით გურამიშვილის სახელი. ქართული პოეზიის მოყვარულთა წრეში საკმაოდ ცნობილია გივი ალხაზიშვილის ციკლი «ქაცვიას დღიურიდან», რომელიც ერთგვარი გადამახილია დავით გურამიშვილის «მხიარულ ზაფხულთან ანუ ქაცვია მწყემსთან».

ამიტომ, შემთხვევით არ არის, რომ თავისი დიდი მასწავლებლის მსგავსად გივი ალხაზიშვილის პოეზიაშიც იშვიათი ოსტატობითა და სიბრძნით არის შერწყმული ეროტიკულობა, სათქმელის ვნებათა ქსოვილში ქცევა და, მეორე მხრივ, მედიტაციურ-მეტაფიზიკური განზომილება. გივი ალხაზიშვილი ამჟამად კიდევ ერთ ახალ მოსახვევთან იმყოფება: ის თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე არასოდეს კმაყოფილდებოდა მიღწეულით და ახლა, როდესაც ახალი პიროვნული, რელიგიური, პოეტური ძიებების ზღვაში დგას, მის პოეზიაში მოითხოვს ახალ სიახლეს, ახალ სიტყვას, ახალ ენასა და ხატებას. მისი ბოლოდროინდელი ლექსები, რომლებთან შეხვედრა ელის ქართველ მკითხველს, ახალ მწვერვალთა დადასტურება იქნება. თუმცა, ეს არ დაარღვევს გივი ალხაზიშვილის პიროვნულ და პოეტურ წონასწორობას და დღეს, როცა ის აღმოსავლეთისა და დასავლეთის სულიერ და პოეტურ გზაგასაყარზე დგას, სიღრმისეულად, ნამდვილი გრძნობითა და ცოდნით სწვდება

მემკვიდრეობას, მისი მომავალი პოეტური მიეზანი ნამდვილი პოეზიის საწინდარი იქნება.

ბატონი ეზზარ ჯგერენაია: მრავალ მცდარ წარმოდგენასთან ერთად, რომლებიც ქართული კულტურის შესახებ, როგორც ერთ-ერთ რიგით ქართველს მაქვს, მაქვს კიდევ ერთიც ჩვენი კულტურა ძირითადად მეტყველებაზე და არა წერაზე ორიენტირებული კულტურაა. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ალფაბეტი გვაქვს და ჩვენი წიგნებიც იმაზე მეტყველებს, რომ ბევრი დაწერილა, ჩვენი კულტურის განზრახვა მაინც მეტყველების კულტურის განვითარებაა. ჩვენი საუბარი იწერება, გაიშიფრება და გადაიქცევა ტექსტად, რაც ხმის ძალიან საინტერესო ტრანსფორმაციაა ტექსტში. აქ ძალიან ბევრი ადამიანია, ვისაც ბევრი დაუწერია. ეს საღამოები, რეფლექსიები გვჭირდება იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გადავაქციოთ ტექსტად და მომავლისთვის შემოვინახოთ. მინდა, დამსწრე საზოგადოებას დიდი მადლობა გადავუხადო ამისთვის. ვისაც არა აქვს ტრადიცია, ვინც ამას უარყოფს, ის ბარბაროსია – შეუძლებელია, კულტურული განვითარება გაგრძელდეს, თუ ადგილი არ ექნება არსებულის გაგრძელებას და მომავალი თაობისთვის გადაცემას.

ბატონი როსტომ ჩხეიძე: ბატონი გივის შემოქმედების შესახებ არა ერთხელ მითქვამს სიტყვა საჯაროდაც თუ ტელევიზიის ეკრანიდანაც, გამომიქვეყნებია კიდევ მისი ლექსების, რომანების, მინიატურების შესახებ. შეიძლება ახალი რამ ვერ ვთქვა, მაგრამ მიხარია, რომ კიდევ ერთხელ მეძლევა საშუალება, ჩემი ღრმა პატივისცემა დავუდასტურო ბატონ გივის, როგორც შესანიშნავ პოეტს და მრავალმხრივ სანიმუშო შემოქმედს. ახლა ჩვენ ბატონი გივის ლექსებს ვუსმენდით და ყველა ვგრძნობთ, რომ ამ ლექსებში ყოველთვის არის მაძიებელი სული. ყოველთვის, როცა ბატონი გივის ახალ წიგნსა თუ ახალ პუბლიკაციას ვეცნობით, მზად ვართ შინაგანი სიახლისათვის. ბატონი გივი მიეკუთვნება იმ შემოქმედთა რიცხვს, რომელთაც არ აკმაყოფილებთ მიღწეული და გამუდმებით ახლის ძიებაში არიან. ჩვენ კარგი, შესანიშნავი მწერალი და პოეტი მეტი გვყავს, ვიდრე მაძიებელი. ბატონი გივი მაძიებელთა რიცხვს მიეკუთვნება და სწორედ ამით არის სამაგალითო ახალგაზრდებისთვის. გარდა ამისა, ბატონი გივი გამოირჩევა თავისი დიდი მიდრეკილებით მთლიანობისკენ – მისი ყოველი ლექსი, ყოველი პუბლიკაცია, ყოველი წიგნი ერთი მთლიანობაა. აი, დღევანდელი შეხვედრაც დამთავრდება და ყველა ვიგრძნობთ, რომ ის ციკლი, რასაც დღეს ბატონი გივი წარმოგვიდგენს, ერთი მთლიანობა იქნება, საბოლოოდ ერთი მომხიბლავი შენობა გამოიკვეთება. ჯერ კიდევ წლების წინათ გამოჩნდა ჩემს ალქმაში ეს მთლიანობა და მისი მოღვაწეობის ახალი ეტაპი – ეს იყო კრებული «დიალოგი ფიქრში», რომელშიც არ იყო არავითარი ჩავარდნა, ყველაფერი ერთ კანონზომიერებას ემორჩილებოდა და არაფრის დიდებით არ შეიძლებოდა რომელიმე ლექსის ამოღება. ამის შემდეგ, მისი ყოველი წიგნი ასეთია. გარდა ამისა, ბატონი გივი კიდევ ერთი რამითაა უნიკალური – იგი იმ მცირერიცხოვან შემოქმედთა შორისაა, რომლებიც არა იკეტებიან ერთ რომელიმე ჯგუფში. ჩვენ ვართ შემსწრენი ლიტერატურული დაჯგუფებებისა, რომლებიც პარტიული უჯრედი უფრო გვგონია, რადგან მის წევრებს ურჩევნიათ ამოიკეტონ საკუთარ თავში, არ უნდათ წინამორბედები, მომდევნო თაობა და, მგონი, მკითხველიც კი. ბატონი გივი ამ მხრივ გახსნილია და ბგერითი სამყაროსადმი ეს ღიაობა ეტყობა მის პროზასა და პოეზიას. კიდევ ერთ რამეს ვიტყვი – სამწუხაროდ, ისეთ სინამდვილეში, ეპოქაში ვცხოვრობთ, გვჭირდება იმის მტკიცება, რომ პოეტი და პროზაიკოსი უნდა კითხულობდეს. და არა მხოლოდ თავის ნაწარმოებებს. ეს

აბსურდული სიტუაციაა და ასეთ დროს ბატონი გივის მსგავსი ადამიანები გვიმტკიცებენ, ყველაფერს უნდა კითხულობდე, ყველაფრის აზრზე უნდა იყო. ბატონი გივი არ ემორჩილება ამა თუ იმ მოდურ გავლენას, მაგრამ ყველაფრის კურსშია და მისი ღრმა ნაკითხობა ჩამალულია მისი შემოქმედების სიღრმეში, იმ დიდ განზოგადებებში, რასაც ბატონი გივი აღწევს ხოლმე. აი, მიძღვნილ ლექსებს თავისი ხიბლიც აქვს და ნაკლიც გასდევს, თითქოს მეორეხარისხოვან პოეზიად ითვლება, თუმცა არაერთი შედეგური შეგვიძლია დავასახელოთ. ძალზე სასიხარულოა, რომ ბატონი გივის მიერ მიძღვნილი ლექსებიც მართლაც შესანიშნავი პოეზიის ნიმუშებია. ბატონი გივის ბოლო კრებულში ორი რკალი რომ გამოვყოთ, დედის ხსოვნისა და შვილიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები, მათში ღრმა ინტიმია შენარჩუნებული და ძალიან დიდი სათქმელია გადმოცემული; გივი თავის ფესვებსაც ეხება და მომავალსაც ეხმიანება. მე გივის ღრმა ერუდიცია ვახსენე, რომელიც მის ყოველ ნაწერში ჩანს. არ არის აუცილებელი, ადამიანი უამრავ ციტატას იმოწმებდე, ცოდნა ისედაც კარგად გამოჩნდება აზროვნების სიღრმით. სწორედ ამიტომ მოიხიბლა ოკეანისგალმელი დიდი თვალსაჩინო ამერიკელი მოაზროვნე, ვირჯინ ნემოუიანო ბატონი გივის ღია წერილით. მის პასუხში ჩანდა დიდი სიმპათია ბატონი გივის მიმართ. «აუცილებელია, თქვენისთანა და ჩემისთანა პიროვნებები ერთად დავდგეთ, რათა გადავარჩინოთ სამყარო ძალიან ბევრი ტკივილისა და საფრთხისგან, რომელიც კაცობრიობას ემუქრებაო», – ასეთი სიტყვებით მიმართა მან ბატონ გივის. იგი ასეთ აუდიტორიას გულისხმობდა. დიდი მადლობა ბატონ გივის, რომ არ შოშმინდება და მაგალითს გვაძლევს იმისას, თუ როგორ არ უნდა «დავშოშმინდეო» ჩვენც.

ბატონი ტარიელ ჭანტურია: სიტყვის თქმა ორ შემთხვევაშია ძალიან ძნელი – როცა ძალიან ბევრი აქვთ და როცა არაფერი აქვთ სათქმელი. მე რომელი ვარიანტის მსხვერპლი ვარ, მაგას არ გეტყვით. მინდა მივესალმო ჩემს საყვარელ შემოქმედს, მმაკაცს. ჩვენ ძალიან დიდი ხანია ვმეგობრობთ და «ცისკარშიც» ერთად ვმუშაობდით. ის 70-იანელების წარმომადგენელია, ჩვენ კი 60-იანელები ვართ. მახსოვს, გივის ლექსები დაიბეჭდა «ცისკარში». ცოტა ხანში მოჰკიდეს ხელი და წაიყვანეს ჯარში, რადგან პრივილეგიებულ კასტას არ ეკუთვნოდა – მაშინ რაიკომის მდივნისა და სხვა თანამდებობის პირთა შვილები არ მიჰყავდათ. ჯარიდან რომ დაბრუნდა, ლექსები მოგვითქანა და ერთი ჩამრჩა გონებაში – ჯარისკაცი, ძალიან პატარა ბიჭი დიდ ნაბიჯებს ადგამს, რომ საზოგადოებას დაანახვოს, როგორი დიდი კაცია. პატარა მისალმებასავით დავწერე: გივი, მაშინ ჯარისკაცი იყავი, მაგრამ გენერლების წრეში შეაბიჯე-მეთქი. ერთხელ შემეშალა, როდესაც სადღეგრძელოზე დავწერე – ქართული სადღეგრძელო და ნეკროლოგი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მურმან ლებანიძე 70 წლის რომ გახდა, ლექსი «სადღეგრძელო» მივუძღვენი. სადღეგრძელო, თავისთავად, ჰიპერბოლას გულისხმობს და ორი სტრიქონი დავწერე – «სამშობლოს ჯარისკაცი და ქართული ლექსის მარშალო». ზოგიერთებმა ამაზე ინერვიულეს, ეგ თუ მარშალია, ჩვენ რაღა ვართო. იფიქრეს, იფიქრეს და ერთი თვის შემდეგ დაწერეს «ქართული ლექსის გენერალი», მერე დარჩა «ადმირალი». რაც შეეხება ჩემს მიერ ხსენებულ პირველ ლექსს, ეს გივის ქართული ლიტერატურის გენერალიტეტში შეყვანა იყო. გივი ძალიან კარგად მუშაობდა და მისი პირველი ნაბიჯები მართლაც რაღაც სხვა იყო. მას შემდეგ, დღემდე მოველი მის ყოველ ახალ პუბლიკაციასა და ლექსს. ლიტერატურული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შეუსწავლელი, რასაც ის აკეთებს. მე დიდი სიხარულით მოვედი დღეს აქ, მიხარია, ამდენს რომ გხედავთ. ნოდარ დუმბაძეს უყვარდა ბევრი მკითხველით თავმოწონება და ერთხელ ვკითხე: რა გირჩევნია,

ჯიბები ბევრი ხურდებით გქონდეს გავსებული, სამ მანეთს რომ უდრის, თუ ერთი ათმანეთიანი-მეთქი. მე ვიცი, რომ ეს კაცი არ იბრძვის ხელოვნურად შექმნილი სახელისთვის და არაა საკუთარი თავის იმიჯმეიკერი. იცის, რომ ეს არაა მთავარი. შემოქმედების პირველი პრეზენტაცია ტარდება ორჯერ _ერთხელ, როდესაც შენი ნათესავები და ახლობლები ესწრებიან და მეორედ _ 150 წლის მერე, როდესაც შენს ნაწარმოებებს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებთან ერთად გაიცნობენ და მას შეადარებენ. მაშინ უნდა მოხდეს ნაწარმოების ნამდვილი პრეზენტაცია. გივი საოცრად მორალური პიროვნებაა, არ იბრძვის ჯილდოებისთვის. წელს, რუსთაველის პრემიაზე ძალიან დიდი კონკურსი გაიმართა, განსაკუთრებით ბევრი იყო მწერლობიდან წარმოდგენილი. ერთადერთმა გივიმ მოიფიქრა, რომ თავისი კანდიდატურა მოეხსნა. ერთნაირად მხიბლავს მისი მამულიშვილობა, მოქალაქეობა, მწერლობა. ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ მის ოჯახს, მის ქვეყანას, მისი თვალთ დანახულ კაცობრიობას.

ბატონი ზაზა შათირიშვილი: მე და ბატონი გივი მეგობრები ვართ და იმიტომ გამოვალ, თორემ ნამდვილად არ მივიჩნევ თავს იმის ღირსად, პოეტების შემდეგ ვთქვა რამე. ჩვენ, ფილოლოგები ხომ მაინც მეორადი ხალხი ვართ და დიდი პოეზიით ვცხოვრობთ. დიდი პოეზია თუ არ იქნება, ფილოლოგიაც კარგავს თავის აზრს, მათ შორის, ქართული ფილოლოგიაც. მაგრამ მგონია, რომ ეს ჯერჯერობით არ გვემუქრება, იმიტომ რომ გივი ეძებს და ამავე დროს ინახავს. ტრადიციის შენახვას სწორედ ისეთივე ძალა სჭირდება, როგორიც ძებნას _ ეძებ მხოლოდ მაშინ, თუ უკვე რაღაც სივრცეში ხარ; როდესაც ამ სივრციდან გადიხარ და სხვაგან ეძებ, ეს შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს არა მხოლოდ და არა იმდენად ტრადიციისთვის _ რადგან ტრადიცია საბოლოოდ მაინც არ მთავრდება _ არამედ საკუთარი თავისთვის. მე მგონი, მეოცე საუკუნემ ძალიან კარგად აჩვენა, თუ სად მივიდა მოდერნიზმი, რაში გადაიხარდა და დღეს რა მდგომარეობაა არა მხოლოდ პოეზიაში. ამ თემაზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ მე მსოფლიო პოეზიას ვგულისხმობ. საბედნიეროდ, არსებობენ ადამიანები, პოეტები, რომლებიც ამ ტრადიციას ინახავენ და სხვანაირად ამბობენ უკვე ნათქვამს. უფრო დიდი ტრადიციონალისტი და ორიგინალური პოეტი, როგორიც ვირგილიუსია, მე ვერ წარმომიდგენია. ჩემი აზრით, ის არის ევროპული ტრადიციის, ჩვენი ტრადიციის ყველაზე დიდი პოეტი. ოცი საუკუნე, უფრო სწორად, ბოლო ორი საუკუნე მიმდინარეობდა კამათი იმის შესახებ, ის, უბრალოდ, ჰომეროსის გადამმღერებელი იყო თუ ორიგინალური პოეტი. საბოლოოდ, ჩვენ ყველამ კარგად დავინახეთ, ვინ არის ვირგილიუსი და ვინ _ ევროპული პოეზიის საფუძველი. ძალიან დიდი სახელი ვახსენე, მაგრამ თუ პრეზენტაციაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, ვირგილიუსიც სწორედ იქ არის, სადაც აკაკი და გალაკტიონია. თუ ენა ნამდვილად «ყოფიერების სახლია», ეს ის ენა კი არ არის, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, არამედ დიდი პოეტების ნაწარმოებებია. დიდი პოეტების ნაწარმოებებში ცხოვრობს ყოფიერება, როგორც თავის საკუთარ სახლში. აქედან გამომდინარე, გივი სწორედ აი, ამ სახლის მკვიდრია ჩემთვის. იგი ინახავს ტრადიციას და ეძებს მასში. ეს არის ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი. დიდი მადლობა.

P. S.

ბატონი გივი ალხაზიშვილი: ასეთი საღამოების ასეთი დეტალური გახსენებისას უხერხულად ვგრძნობ ხოლმე თავს, რადგან აქა-იქ ისმის საქებარი სიტყვები და მათი წაკითხვისას მოგვიანებითაც ვწითლდები. ყველაზე მეტად მაინტერესებს ის შეკითხვები, ლექსების მოსმენისას მკითხველს რომ გაუჩნდა და ჩემული პასუხები.

ახლა ჩემს პასუხებს რომ ვკითხულობ, ზოგიერთ საკითხში წინარე «მეს» არ ვეთანხმები და ეს არის ყველაზე საინტერესო, რადგან შესაძლებლობა მეძლევა, თვალნათლივ დავინახო ცვალებადობის დინამიკა, სახეცვლილების გრადაცია, შინაგანი იმპულსების გადასხვაფერება, და ეს ძალიან საინტერესოა ჩემთვის.

ასეთივე განცდა მიჩნდება ძველი პუბლიკაციების კითხვისას, როცა ისეთი დეტალები მახსენდება, რომლებსაც უამკონტექსტოდ ვერ მოვიგონებდი.

პოეზიის საღამოს ციფრული ვერსია სხვა რამითაც არის საინტერესო. თუნდაც იმით, რომ კითხულობ და გრძნობ, რომ ეს ტექსტი ზეპირმეტყველების ჩაწერილი ვერსიაა და წერილობითი წარმომავლობის ტექსტისგან განსხვავებულია. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო ამის აღმოსაჩენად და იმის მისახვედრად, რომ ასეთი სხვაობა გარკვეულ დისკომფორტს მიქმნის მე პირადად, რადგან ზეპირმეტყველების ჩაწერა და წერილობით ტექსტად ქცევა ყოველთვის უკავშირდება წერილობისთვის არაბუნებრივ სინტაქსს, მაგრამ ეს არ არის მთავარი, რადგან მნიშვნელოვანი იმ დროის აღდგენის მცდელობაა, რასაც ჩვენ განვიცდით მსგავსი ტექსტის კითხვისას.

წავიკითხე მაშინდელი საღამოს ჩანაწერი და მივხვდი, რომ კიდევ რაღაც შეიცვალა ჩემს ლიტერატურულ ცხოვრებაში. აღმოვაჩინე, რომ მაშინ წაკითხული ლექსების ერთი ნაწილი ნაკლებად მომწონს და კრებულებში არ შემაქვს.

ასევე შინაგანმა ხმამ მიკარნახა, რომ კიდევ არის საჭირო მკითხველსა და კოლეგებთან შეხვედრა, ახალი ლექსების წაკითხვა, გასაუბრება ლიტერატურულ პრობლემატიკაზე.

სიამოვნებით გავმართავდი პოეზიის მონო-საღამოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში და არა წარდგინებას, რადგან წარდგინებას უფრო სარეკლამო და თან ზედაპირულობის ელფერი დაჰკრავს. საერთო ჟრიამულისა და პომპეზურობის ფონზე ნათქვამი სიტყვები კი არავის ყურამდე არ აღწევს და თვალშისაცემია კარნავალურობის ელემენტები, რაც ბუნებრივიცაა პრეზენტაციისთვის.

თავისთავად, წარდგინებაც საჭიროა, მაგრამ ნამდვილი პოეზიის საღამოს მაინც სხვა მნიშვნელობა აქვს. ამდენად, ჩემი ბოლოთქმა შემახილიცაა ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთა გასაგონად და მჯერა, რომ ისინიც მოინდომებენ ამ ლამაზი ტრადიციის აღდგენას.

24.09.2009

გივი ალხაზიშვილი

აკვიატება

ერთმა ფრანგმა ავტორმა გასულ საუკუნის მიწურულს წიგნად გამოსცა ასი სონეტი. 99 სონეტი ურითმოდაა შესრულებული, ხოლო მეასე ზუსტად იცავს სონეტის ყოველ მკაცრ და აუცილებელ მოთხოვნას. იგი მკითხველს ამით ეუბნება, რომ ეს ყველაფერი იცის და გავლილი აქვს და რომ 99 სონეტის ურითმობა არც შემთხვევითობაა და არც სონეტის სტრუქტურის ვერფლობა, და რომ სონეტის ურითმობა ავტორის ნებაა.

ჩვენშიც იწერება სონეტი და არსებობს კიდევ ქართული სონეტის საფუძვლიანი გამოკვლევა.

უპრეცედენტო შეიძლება ვუწოდოთ სონეტების ერთ პუბლიკაციას, სადაც ავტორი ვერ იცავს რიტმს და რამდენჯერმე, რიტმიდან ამოვარდება და ბესიკურ საზომს შეუგნებლად არღვევს და გვთავაზობს ერთი მარცვლით ნაკლებ ან მეტ სალექსო სტრიქონს.

დიდი კვლევა არ უნდა, აშკარად ჩანს, რომ ფრანგი ავტორისგან განსხვავებით, მისი ბუნება არ არის პროსოდია. იგი ვერ ფლობს კონვენციას და მარცვლების დათვლისას თითებს იშველიებს. არც ამისთვის დავძრახავ ავტორს, თუკი უჭირს, თითებიც მოიშველიოს, სამწუხარო კი ის არის, რომ სწორად დათვლას ვერ ახერხებს, რადგან აშკარად არ აქვს რიტმის, პროსოდიის შეგრძნება, რაც აუცილებელი პირობაა ტრადიციული სალექსო სტრუქტურის დაუფლებისას. დიდი ხანია ვხედავ, როგორ იწვალებს თავს ეს ავტორი კონვენციით და სონეტებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ წვალებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მინდა ვურჩიო, შეეშვას კონვენციას, ასე რომ სტანჯავს მას და საკუთარ ბუნებას – ანუ არაკონვენციურობას დაუბრუნდეს. ისედაც ხომ ამტკიცებენ მნიშვნელოვანი სიახლეების აღმომჩენები, რომ პროსოდია, კონვენცია, გარითმვა – საბჭოური გადმონაშთებია და თავი უნდა ვანებოთ.

მის სონეტებში განსხვავებული საზომის სტრიქონებმა ყური რომ მომჭრა, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რატომ სვამს ტოლობის ნიშანს ხელოსანსა და ოსტატს შორის.. მიზეზი ბანალურია: იგი უბრალოდ მოკლებულია კლასს და კონვენციის ტყვეა, როცა ცდილობს კონვენციური ლექსი დაწეროს. მაგრამ ტყვეობიდან თავდახსნილს სძულს ტყვეობის პერიოდი და საერთოდ ნებისმიერი კონვენცია; სიტყვის მუსიკალურ მნიშვნელობასა და მის აქცენტირებას სიგიჟეს და ჯადოსნობას უწოდებს. ერთი სიტყვით სძულს კონვენცია და ყველაზე რთულ ფორმას – სონეტს ირჩევს საჯილდაო ქვად. სონეტში კიდევ უფრო გამოაშკარავდა, რომ იგი შეგირდიც არაა, მხოლოდ იმიტომ რომ პროსოდია, კონვენცია მისი ბუნება არ არის და ვერასოდეს მიაღწევს ოსტატობას.

ამიტომაც, რომ ის ლიტერატორები, რომლებმაც მოწაფურ დონეზეც ვერ აითვისეს ტრადიციული პოეზიის გამოცდილება და ფსევდო-ავანგარდში ისკუპეს, კიჩად მოიხსენიებენ ყოველ პოეტურ ნიმუშს თუ იგი ტრადიციულია. იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ სალექსო ფორმა ჭურჭელია, რომელშიც შესაძლოა ღვინოც ჩაასხა და გაურკვეველი წარმომავლობის სითხეც, თუმცა ესენი ძველიაო, მაინც გაიძახიან. როგორც ვატყობ, დღეს ნახევარფაბრიკატული ტექსტების გამოჩეკვაა სიახლე და უბრალოების სახელით მოწოდებული ბანალობა კი ჩვეულებრივი ნიღაბია, ვერფლობის დასამალავად რომ იყენებენ და თან ნოვაციადაც ნათლავენ. სულ ეს არის მთელი მათი ნოვაციის ტექნოლოგია.

პოლ ვალერი სიამაყით იხსენებდა დროის იმ პერიოდს, კონვენციის საიდუმლოებათა შესწავლასა და ათვისებას რომ შეაღია. არ დამავიწყდებაო, – ასე წერს იგი შეგირდობის პერიოდზე.

ჩვენს ავტორსაც უნდოდა მსგავსი რამ ეთქვა, მაგრამ სათქმელი არ აქვს, რადგან ზოგჯერ სტრიქონში მარცვალს სწორად ვერ ითვლის და რიხით ათანაბრებს, აიგივებს ოსტატისა და ხელოსნის მნიშვნელობას, რადგან მართლაც ვერ ანსხვავებს ერთმანეთისგან იმას, რაც თვითონ ვერ დასძლია და არ იცის. სულაც არ არის სამარცხვინო, საერთოდ უარი ეთქვას კონვენციის ათვისებაზე და უმრავლესობასავით გააგრძელოს ალტერნატიული გზების ძებნა, რადგან მისი ბუნება არ არის პროსოდია,

რისი სწავლაც თითქმის შეუძლებელია, მით უმეტეს ორმოც წელს გადაცილებილი ავტორისთვის.

თუმცა ვერ აითვისებს-მეთქი, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რადგან ვინ იცის, რა სასწაულს გვთავაზობს განგება?!

პროსოდია ნიჭის ნიშან-თვისებაა და ვისაც არ აქვს, ვერც ისწავლის, მაგრამ ამის გამო არ უნდა შეიძულოს ის ენა, რომელსაც ვერ ფლობს, ან რომელ ენაზეც არ შესწევს ძალა, რაიმე მნიშვნელოვანი დაწეროს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ პროსოდიისა და კონვენციის სრული ფლობაც კი არ არის საკმარისი პოეზიის მოსაპოვებლად და ვერფლობამ რაღა უნდა მისცეს ავტორს, ასე რომ აუკვიატებია სონეტშიც მოსინჯოს ძალა.

ლელო კოდალაშვილი

არც თუ ისე სერიოზული, მაგრამ აშკარად საინტერესო

დღეს, როცა ლიტერატურა სულ უფრო პოპულარული ხდება, მისით დაინტერესებულ ადამიანთა რიცხვი იზრდება და მწერალთა რაოდენობაც საეჭვოდ მატულობს, მით უფრო აქტუალური ხდება ხარისხის ახალი შტრიხების ძებნა და ამავე დროს, ძველი ფასეულობების სწორი დოზით შენარჩუნება, რადგან ახლადშექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების საკმაოდ დიდი ნაწილი ძველი და დრომოჭმული საშუალებების, ფორმების, სათქმელების და იდეების კიდევ ერთხელ გადამღერება. მაგრამ თუ ხედვის არეში არა მწერალთა კონკრეტულ ჯგუფს, არამედ ლიტერატურულ ეპოქებს მოვაქცევთ, მარტივად გამოჩნდება, რომ ასეთი ნაწარმოებები ერთგვარი ნეშომპალის ფუნქციასაც კი ასრულებს, რომ მერე ნაყოფისმომცემ მწერალთა წარმოჩენისთვის უფრო კარგი პირობები შეიქმნას. თუ ვინაა ნეშომპალა, ვინ ყლორტი და საერთოდ, ვისი სახელი რამდენ წელს იცოცხლებს, ეს ყველა კანონზომიერებით დროის საკითხია. მაგრამ სანამ დრო გავა, გაცილებით ძნელად, მაგრამ მაინც მოხდება შერჩევა.

ყოველ შემთხვევაში, გურამ მეგრელიშვილის მოთხრობების პირველი კრებული ვერ ვიტყვი, რომ უსერიოზულებს, მაგრამ აშკარად საყურადღებო განაცხადია ქართული ლიტერატურისთვის. არც პრეტენზიული ლიტერატორის წარმშევრულობით და არც „პაფსავიკური“ გემოვნებით ამ წიგნზე აზრის გამოთქმა არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან შემფასებელს ორივე შემთხვევაში უკიდურესობაში გადავარდნა ელის. ჯობს, საშუალო მოთხოვნილებების მქონე ადამიანის პოზიციიდან წავიკითხოთ და შედარებით ობიექტური სურათის დახატვაც შესაძლებელი გახდება.

აღნიშნული წიგნის დიზაინი რატომღაც მიგანიშნებთ, რომ თუკი მის ყიდვას გადაწყვეტთ, სასურველია ეკუთვნოდეთ თინეიჯერთა თაობას, რადგან აუცილებლად ამოიკითხავთ თქვენთვის საინტერესო ამბებს თქვენსავე თანატოლებზე, წიგნის დიზაინი მიგანიშნებთ იმაზეც, რომ თქვენს წინაშეა ბოევიკურ-დეტექტიურ-სათავგადასავლო ხასიათის ლიტერატურა, სადაც ხშირად ნახსენები ნარკოტიკები, მკვლელობები, უბანში საქმის გარჩევები და ამასთან ერთად ყველა ის ჟარგონი, რაც კი შეიძლება ახლდეს თანამედროვე ცხოვრებას. გიჩნდებათ შთაბეჭდილება, რომ ავტორი პრაგმატული სამყაროს კარგი მცოდნეა და ზედმეტი წიაღსვლებით, სხვადასხვა სიღრმეების ქექვით ტვინს არ გაგიბურღავთ. და თუ არც 17-18 წლის ხართ, არც

დეტექტივები და ბოვეიკები გიყვართ, მაგრამ მაინც გარისკეთ და იყიდეთ ეს წიგნი, რომელსაც, სხვათა შორის, „მრავალჯერადი ბოთლები» ჰქვია, ნელ-ნელა აღმოაჩენთ, რომ გარეკანმა ისევე მოგატყუათ, როგორც ზოგიერთი გაზეთის საპირველგვერდე ანონსი ტყუის ხოლმე. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, სხვას ელი და სულ სხვა რამ შეგრჩა.

ასე რომ, მინუს ერთი ქულა წიგნის გარეკანს.

და მაინც, საინტერესოა, რა შეგრძნება ხელთ, როცა ამ კრებულს წაიკითხავ? ეს არის ნახევრად სატირული, ნახევრად ინტელექტუალური თხრობის სტილი, სადაც პერსონაჟებიც შესაბამისად ნახევრად შარჟებად, ნახევრად გრაფიკულ ნამუშევრებად წარმოგვიდგებიან. არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს თავის თავს, თითოეული იმისთვისაა შექმნილი, რომ მოგაწოდოს კონკრეტული სიმბოლო, რაც საბოლოო ჯამში ავტორის იდეის გახსნას ემსახურება. ბევრ პროზაიკოსს წასმლევს ხოლმე სული, ბარემ ესა თუ ის ამბავიც მოგვითხროს ისე, უბრალოდ, თავისი „ჭიის» გასახარად. „მრავალჯერადი ბოთლების» ავტორი ასეთი მომენტების წინაშე არ გვაყენებს. მას, როგორც ჩანს, არც ისე რბილი ხასიათი აქვს. ცდილობს იყოს ლაკონური და ყველა აღწერა, ყველა ჩამონათვალი, ყველა შტრიხი მოახმაროს არარსებული სიმბოლო-ტიპაჟების შექმნას, რომლებიც თავის მხრივ ხან პრობლემის გადაჭრის გზას ეძებენ, ხან კი თავადვე პოულობენ გამოსავალს.

გურამ მეგრელიშვილი 27 წლისაა. თითქოსდა ეს ის ასაკია, როცა წერენ თავის გარშემო მომხდარ ამბებზე იმავე ლექსიკით, რომელიც წამდაუწუმ ესმით. მაგრამ ეს ვარაუდი მის არცერთ მოთხრობაში არ მართლდება. დრო, გარემო, სასაუბრო ენა – არაფერი არ მიგანიშნებთ რაიმე კონკრეტულზე, გმირები ერთდროულად ძველმოდურებიც არიან და თანამედროვენიც, სასაუბრო ენაში ავტორი არქაულ გამონათქვამებსაც ხშირად გამოურევს და ჟარგონსაც თითქოს ალაგ-ალაგ, ზრდილობის გამო იყენებს. ეს ალბათ მისი მეთოდია (თუმცა კი, მე ვიტყვოდი, საკმაოდ მოძველებული მეთოდი), პერსონაჟი ყველა თაობის წარმომადგენლად დაგვიხატოს.

თითქმის ყველა ფსიქოტიპი, რომელსაც ამ წიგნში შეხვდებით, არასრულფასოვნების კომპლექსითაა დატანჯული და თითოეულს აქვს უდიდესი სურვილი, როგორმე თავი დააღწიოს ამ პრობლემას. ასეთია ყველა პერსონაჟი მოთხრობაში „ძმები». საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოკვეთილად სხვა დატვირთვის მატარებელი ნაწარმოებია გმირების ფსიქოლოგიის ღრმა წვდომით და და იმის აღიარებით, რომ ძალიან ხშირად პრობლემები გვერევიან და გვიმორჩილებენ. ვართანი, ლეო, მათი მშობლები, ლეოს ცოლი – ყველანი ჩათრეული არიან საბედისწერო თამაშში, ყველა თავის წილ ტყუილს დებს იმისათვის, რომ საბოლოოდ მაინც დამარცხება მომწიფდეს და არა გამარჯვება. „არა, ვართანი ქმრისგან არ იყო, მაგრამ მისმა უჟმურმა, უცხვირპირო მეუღლემ არ იცოდა, უფროსი ერთი ღამის მოპარული სიყვარულის ნაყოფი რომ იყო. არ იცოდა და არც იყო საჭირო რომ გაეგო. რადგან მეორე შვილის შეძენის მერე ისედაც რაღაცნაირი ცუდი თვალთ დაუწყო ვართანს ყურება. ქალს იმისი კი არ ეშინოდა, რომ ქმარი მოკლავდა, იმის შიში უფრო ჰქონდა, რომ უფროსი შვილი სამუდამოდ დაეღუპებოდა. ამიტომაც დუმდა მთელი რვა წელი და მერეც, სიკვდილამდე. ასე ტყუის ვართანისა და ლეოს დედა, მან არ იცის, რომ სიყალბე ბედნიერებას ვერ მოუტანს მის ოჯახს, მან არ იცის, რომ მის მიერ ამორჩეული გზა იმ კომკს აშენებს, მერე ყველას ერთად რომ დაემუქრება დანგრევითა და დაღუპვით. ასე ტყუის მისი ქმარიც, ასე ტყუის მოგვიანებით ვართანი, ლეოს ცოლი, რომელიც მაზლთან გაზიარებული სიყვარულის ფონზე მაინც კარგად ამჩნევს, თუ რა განხეთქილებებია მის გარშემო და მაინც არ ჩერდება, რადგან ეს ინერცია გაცილებით ადრეა დაწყებული, თვითონ კი მხოლოდ

ერთ-ერთი კენჭია, რომელიც ტყუილის დიდ ლოდთან ერთად ძალაუფლებურად დაგორდა. მე ვიტყვოდი, რომ ეს მოთხრობა გამორჩეულად საინტერესოა მთელ წარმოდგენილ კრებულში, რადგან ავტორი აქ ნაკლებად იყენებს შარჟისთვის დამახასიათებელ შტრიხებს, პრობლემის სიმძაფრე აკარგვინებს ხალისს, დადგეს თავის აღწერილ საკითხებზე უფრო მაღლა, და როგორც სჩვევია, გაიღიმოს თვითონაც და გააღიმოს მკითხველიც.

სამაგიეროდ მოთხრობების ერთგვარი ციკლი ვასია(უ)ს შესახებ, სადაც საკმაოდ საინტერესოდ არის დახატული როგორც მთავარი პერსონაჟი, ისე მისი ტკივილები, განცდები და მცდელობები, გახდეს სხვანაირი ადამიანი, მეგრელიშვილს დაწერილი აქვს თავისი ჩვეული, ნახევრად სატირული ჟანრის გამოყენებით. აქ თხრობა ზედმეტად მსუბუქიც კია, თითქოსდა არ თავსდება იქ აღწერილი საკითხის სერიოზულ განწყობაში. მაგრამ გულდასმით წამკითხავი ადამიანი მიხვდება, რომ ეს ისევ და ისევ მწერლური ხერხია – არ შეგაშინოს, არ დაგტვირთოს, პირველ რიგში შეგიქმნას ხალისიანი განწყობა და ასეთ განწყობაზე მყოფი მკითხველი მერე ადვილად, მწერალთან ერთად გადაჭრის ურთულეს პრობლემებსაც კი. ამ სიმსუბუქის ფონზე გაწვდის რეალობას, რომელიც თვალის გასასწორებლად არც ისე იოლია. „მერე ის პატარა გოგო დაინახა, მძლოლებს მიწეტს რომ უკეთებდა ხოლმე ორ ლარად. მთლად ბავშვი იყო, ასე, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის, დაინახა და უცბად მოუნდა, ძალიან ცუდი ყოფილიყო. ამ გოგოსთვის მაინც ყოფილიყო ცუდი და დაუძახა. გოგო სხარტად ამოვიდა. ეტყობოდა მიჩვეული იყო ავტობუსში ამის კეთებას. გასვლამდე ოცი წუთი რჩებოდა. მოასწრებდა, კარგად დაემცირებინა. მერე რა რომ ბავშვი იყო, სამაგიეროდ მოასწრებდა, ორ ლარად რასაც უნდა, იმას უზამდა. მაგრამ არ გამოუვა ვასია(უ)ს, გახდეს ძალიან ცუდი. არ გამოუვა არც გმირობა, არც რაიმე სხვა. თუმცა კი არ იშურებს ძალისხმევას. ავტორი კი დაუნდობელია თავისი პერსონაჟების მიმართ. იგი აქუცმაცებს გმირის განცდებს, ნამცეც-ნამცეც, ლუკმა-ლუკმა გვაწვდის რომ კარგად დავაგემოვნოთ, სად გემრიელია, სად კი გადამლაშებული. იგი ადამიანებს ყველაზე ინტიმურ, ყველაზე ბინძურ ნიუანსებს უქექავს. კითხულობ და ხანდახან გაოცებულიც კი ხარ, ავტორი მეტისმეტად პატარა ხომ არ არის, საიდან იცნობს ამდენ ადამიანს... მაგრამ მერე, როცა დინჯად აანალიზებ, ხვდები, რომ ეს ყველაფერი ჩვენშივეა, მთავარია, შევძლოთ და გამოვამზეუროთ, მთავარია, მოვახერხოთ გულწრფელობა.

პრობლემა, რომელსაც მწერალი გვიხატავს და მერე ცდილობს, თავისეული გამოსავალი შემოგვთავაზოს, აუცილებლად უნდა უსწრებდეს წინ საზოგადოების ძირითად ფენებში გაბატონებულ მენტალიტეტს. ამ მხრივ ხანდახან ღალატობს გემოვნება და ალღო გურამ მეგრელიშვილს. ისეთი ადამიანების ტკივილები და ვნებები, რომლებიც დღეს ძალიან ცოტანი დარჩნენ, აქტუალური აღარ არის. „თუმცა მასტურბირება ისევ არ მომწონს, მეტიც, მეზიზღება და ძალიან უკიდურეს შემთხვევებში მივმართავ ეგოიზმის ამ მკვეთრად გამოხატულ ფორმას. სიგარეტის მოწევა კიდევ უფრო რთულია, მთელი ტანსაცმელი ნიკოტინის სუნით იჟღინთება... როდემდე შეიძლება იცხოვროს 35 წლის სტომატოლოგმა ქალმა ასე? („დიაგნოზი: შვილი«). ან „ორმოცდაათი წლისა გახლდათ, შვილი არა ჰყავდა კი არა, კაცის კოცნაც არ იცოდა« („ლილიი«). მწერალს მიაჩნია, რომ ამ მოთხრობებით ამხილა პრობლემა, შემდეგ ჩვეული ირონიით მოგვითხრო და მიგვანიშნა, რომ ეს დასაგმობია, რომ ეს სიმახინჯეა და ასე შემდეგ. თუმცა კი, ვერ გაითვალისწინა, რომ ასეთი თემატიკა აქტუალური იქნებოდა დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ. დღეს კი დაგვაფიქრო იმაზე, რაზეც დიდი ხანია, აღარ ფიქრობენ, მწერლისგან ამკარად ღია კარის მტვრევია.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთი მომენტი, რასაც საგანგებო ყურადღებას აქცევს გურამ მეგრელიშვილი. ეს არის ნაწარმოების გრაფიკა. ის ცდილობს, ყოველი მოთხრობა, მიუხედავად იმისა, საინტერესოდ მოგეჩვენებათ თუ უინტერესოდ წაკითხვის შემდგომ, შეფუთოს განსხვავებულად და ამისათვის მცირე, არც თუ ისე თვალშისაცემ ექსპერიმენტებს იყენებს. დასაწყისშივე გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ მოთხრობის წასაკითხად კი არა, თამაშის წესების გასაცნობად აიღეთ წიგნი ხელში, და თანაც თქვენ თვითონ უნდა იქცეთ ამ თამაშის მონაწილე. ასე „გიტყუებთ“ ავტორი და „გაიძულებთ“, წაიკითხოთ მისი ნაწარმოები. რომ არა მოწვდის ასეთი ფორმა, ალბათ ბევრი რამ დააკლდებოდა ამ ნაწარმოებებს. თუმცა კი, ვერანაირი შეფუთვა ვერ აქცევს საინტერესოდ ისეთ ტექსტს, რომელიც სხვა მართლაც გამორჩეული ნაფიქრის გვერდით მართლაც რომ ბევრი არაფერია. ასეთების რიცხვში შედის ვთქვათ, წელან ნახსენები „ლილი“ ან თუნდაც „მრავალჯერადი ბოთლები“. ეს უკანასკნელი, წიგნის სახელწოდებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ინტერესით იკითხება, თუმცა კი, ცოტა ხანში განხილული ფიქრობ _ „კი, ბატონო, მაგრამ მერა რა...“ ძალაუვნებურად გექმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი აჩქარდა და ამის გამო მან ვერ დაასრულა ისედაც არც თუ ისე საინტერესო ამბავი, ჩაითრია უმნიშვნელო იდეამ და საბოლოო ჯამში ვერ განავრცო, ვერ გამოაცხო.

ამას ვერ იტყვი, ვთქვათ მოთხრობაზე „მწერალი“, რომელიც მოთხრობას არც კი ჰგავს, უფრო სკეჩია, რომელსაც სიამოვნებით წაიკითხავდა რომელიმე იუმორისტი, ვთქვათ ჟვანეცკი და ეს ტექსტი გახდებოდა ძალიან პოპულარული. ეს არის ანტიმანიფესტი _ როგორი არ უნდა იყო და როგორი ხარ სინამდვილეში. სეკონომიური პრობლემა მართო მწერალთა ფენის თავშისაყვამი არ არის, მაგრამ ავტორი მწერალს ირჩევს თავისი ნაწარმოების პერსონაჟად, რითიც ამბობს, რომ ისეთი მაღალინტელექტუალური ფენაც კი, როგორსაც მწერალი წარმოადგენს, იყიდება და რაკი ინტელექტუალი იყიდება, სხვა ყველა ფეხდაფეხ მისდევს დაწყებული პედაგოგიდან, დამთავრებული ინჟინრით. ავტორი აქაც საკმაოდ დაურიდებლად, თანაგრძნობის გარეშე არცხვენს მწერალს და მასთან ერთად მთელ სოციალურს. მატერიალური კეთილდღეობა ნარკოტიკივით მოქმედებს ყველა პერსონაჟზე, თანდათან მეტი და მეტი დოზა სჭირდებათ, შესაბამისად თანდათან მეტი და მეტის დათმობაა საჭირო ამისთვის. ადამიანი ყველაფერს კარგავს, ჯერ პროფესიას, იმიჯს, პრესტიჟს, მერე თავმოყვარეობას, ღირსებას, ბოლოს კი ზოგადად „ადამიანურ სახეს“.

„ _ მომარდვისას უნდა დამიჭიროო ხოლმე.

მე სიცილი ამივარდა, გრძელი და ცვალებადსიხშირიანი სიცილი, მაგრამ ამჯერად ყვირილი აღარ დამიწყია. რატომღაც ჩემი დასაბადებელი შვილი, საყიდელი ბინა და მანქანა, დასასვენებლად წასასვლელი ზღვა და მთა გამახსენდა და ტუჩები მაღლა ავწიე».

თუმცა კი ავტორმა ყოველთვის არ იცის გამოსავალი. ხანდახან, თუნდაც როგორც ეს „მწერალის“ შეთხვევაშია, გმირს იქვე ტოვებს, თავს ანებებს მასზე ზრუნვას, ალბათ მიიჩნევს, რომ არაფერი არ გამოუვა. ხანდახან კი, როცა ძალიან უნდა, პერსონაჟი გზაზე დააყენოს, მას მაინცდამაინც ეკლესიაში, მოძღვართან უშვებს. ვფიქრობ, რომ ასე ცალსახად გამოსახული ბილიკი, რომელზეც მწერალი გმირს საიდანაც, ხანდახან ყოველგვარი ლოგიკის გარეშე დაასკუპებს ხოლმე, გამოსავლის ვერპოვნას უფრო ჰგავს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა ასეთ მომენტში თავად არ იცის, რა ქნას და როგორ მოიქცეს, არ იცის, რომ მოძღვართან მისვლა არ არის პრობლემათა პანაცეა, რომ ღმერთის იდეა ჯობს სხვანაირად შემსწავლელური კუთხით დააყენოს, სადაც თვითონაც აღმოჩნდება ჭიდილსა და წინააღმდეგობაში. სადაც მკითხველი ბრალს არ

დასდებს ზერელობასა და ზედაპირულობაში. ამის შემდეგ კი უფრო მოსალოდნელი იქნება, პერსონაჟებსაც სწორი გამოსავალი შესთავაზოს.

საბოლოო ჯამში გურამ მეგრელიშვილის პირველი წიგნი, რომელიც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა, უფრო იმედისმომცემია, ვიდრე გვერდზე გადასადები, რადგან მასში შეტანილი ნაწარმოებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მიუხედავად უარყოფითი შეფასებებისა, რომელთა ნაწილზე ზემოთ ვისაუბრე და ნაწილზე კი არ გავამახვილე ყურადღება იმის გამო, რომ არ შემეტანა ზედმეტი დისონანსი იმ საზეიმო განწყობაში, პირველი წიგნის გამოსვლას რომ ახლავს ხოლმე თან, აშკარად იგრძნობა ის საწყისი, რომელმაც მომავალში საინტერესო მწერალი უნდა ჩამოაყალიბოს. თუ გავითვალისწინებთ ავტორის მცირე გამოცდილებას, გასაგები გახდება ის გავლენებიც, რომელსაც ჯერჯერობით განიცდის სხვა მწერლებისგან, გასაგები გახდება თუნდაც გაუმართავი ლიტერატურული ენა და ხანდახან მოუზომავი და გადაჭარბებული ძალისხმევა თითქოსდა იუმორის სასარგებლოდ, სინამდვილეში კი მისსავე საზიანოდ. სამაგიეროდ, გურამ მეგრელიშვილის პროდუქტიული მუშაობა, საინტერესო ფანტაზიის უნარი ნაწარმოების კარკასის შედგენისას, ძირითად შემთხვევაში რბილი და სადა იუმორი და, რაც მთავარია, მეჩხერი, მაგრამ მაინც საკმაოდ ძლიერი სწრაფვა ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური ძიებებისკენ, ვფიქრობ, საბოლოო ჯამში ბევრად უფრო საინტერესო მწერლად აქცევს მას, ვიდრე დღეს არის.

«სერიოზულ ლიტერატურას ყოველთვის ეყოლება გარკვეული რაოდენობის სერიოზული მკითხველი»

«ებლიტგო»: ბატონო ირაკლი, საუბარი თქვენი ყველაზე ცნობილი (ხომ არ მეშლება?) მოთხრობით დავიწყეთ. როგორ შეიქმნა «მონა» – დიდი ხნის ნაფიქრია თუ «უცებ მოვარდნილი»?

საერთოდ როგორ და რატომ წერთ ასე იშვიათად?

ირაკლი ქასრაშვილი: «მონა» 2000 წელს დავეწერე. საკმაოდ სწრაფად, სულ ორ თუ სამ კვირაში. თუმცა მართლაც საკმაოდ ხნის ნაფიქრია. მის დასაწერად ბიძგი «ვეფხისტყაოსანის» იმ ფრაზამ მომცა, ეპიგრაფად რომ წავუძღვარე. უბრალოდ დავფიქრდი პოემის იმ გმირებზე, სულ რამდენიმე წამით რომ გამოჩნდებიან და მერე ისევ ქრებიან. არადა, მათაც ხომ უნდა ჰქონოდათ ბიოგრაფია, თავგადასავალი, რომელიც ასევე შეიძლება საინტერესო ყოფილიყო. თან იმაზეც ვფიქრობდი, რომ როსტევანი, რომელიც იდეალურ ხელმწიფედაა დახატული პოემაში, შეიძლება რეალურად არც ისე იდეალური ყოფილიყო. ისიც მიხდოდა, რომ დამეხატა ადამიანი, რომელიც უფრო ფუნქციაა, ვიდრე პიროვნება – მსახური თუ მონა არა მარტო პროფესიით, არამედ სულიერადაც. ჰოდა, გამოვიდა მოთხრობა «მონა». ოღონდ არ იფიქროთ, რომ ასეთი ადამიანები ახლა არ არსებობენ. ისინი შეიძლება ახლა უფრო მეტნიც არიან, ვიდრე რუსთაველის დროს.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ ვწერ იშვიათად, ამას ძალიან ბანალური პასუხი აქვს – მეტსიმეტად დაკავებული ვარ სხვა საქმეებით, განსაკუთრებით სამსახურით და ხშირად იმის დასაწერად, რაც მსურს, დრო არ მრჩება. ხდება ხოლმე, როდესაც მოთხრობა მთლიანად მოფიქრებული მაქვს და რამდენიმე თვე გადის, ვიდრე დროს გამოვნახავ და ქაღალდზე გადავიტან. იმასაც გაგიმხელთ, რომ მაქვს რამდენიმე დიდი

და მცირე ზომის ნაწარმოები, რომლებიც არ დამიბეჭდავს. დაბეჭდვასაც ხომ დრო სჭირდება და გარკვეული ძალისხმევა.

«ეზლიტფო»: ბატონო ირაკლი, «მონა» - მონოლოგია... რამდენად ძნელია «მონოლოგის» წერა. აქვე თქვენს «საათის მონოლოგს» გავიხსენებ... რას იტყვით ამ პროექტზე და რამდენად რთულია რამდენიმე ხანი «საათი» იყო...

ირაკლი ქასრაშვილი: მონოლოგის წერა არა მგონია, ძნელი იყოს. ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, «საათის» მონოლოგის დაწერა არ გამჭირვებია. უბრალოდ, უნდა მოახერხო მცირე ხნით საკუთარ თავში სხვა პიროვნება, ან ამ შემთხვევაში სხვა საგანი გააცოცხლო. პროექტი კი ნამდვილად საინტერესოა. მე ვფიქრობ, გარკვეული გამოწვევაც კია ავტორებისათვის. საერთოდ მგონია, რომ რაც უფრო მეტი ლიტერატურული პროექტი იქნება განხორციელებული საქართველოში, მით უკეთესია. ეს ლიტერატურული პროცესის კიდევ უფრო გამოცოცხლებას შეუწყობს ხელს.

«ეზლიტფო»: თქვენი მოთხრობების პერსონაჟებზე, პროტოტიპებზე გვესაუბრეთ... რამდენად დამოუკიდებლები ხდებიან წერისას და როგორ ახერხებენ თქვენი ჩანაფიქრის მკითხველამდე მიტანას...

ირაკლი ქასრაშვილი: ნებისმიერ პერსონაჟი ატარებს ავტორის რაღაც ნაწილს საკუთარ თავში. ის თითქმის შვილია, რომელსაც გარკვეულ გენეტიკურ თვისებებს გადავცემთ, მაგრამ საბედნიეროდ საკუთარ კლონად ვერ ვშობთ. ჩემს პერსონაჟებს პროტოტიპები უმთავრეს შემთხვევაში ჰყავთ, ზოგ შემთხვევაში კი პირდაპირ ისტორიულ პიროვნებებზე ვწერ და ვცდილობ განვლილი დროის პერპექტივიდან დავინახო. ახლა ვამთავრებ საკმაოდ დიდ ნაწარმოებს (შეიძლება პატარა რომანიც დავარქვათ და დიდი მოთხრობაც) სოკრატეზე, რომელიც ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფილოსოფოსია, თუმცა არაფერი დაუწერია, თვითონ მისი ცხოვრება იყო მისი ფილოსოფია. ისტორიული სოკრატე რა თქმა უნდა, პერსონაჟის პროტოტიპია, მაგრამ ამავე დროს, რაღაც გამოგონილიც რომ არ დამემატებინა მისთვის, ალბათ საინტერესოც არ გამოვიდოდა. თუმცა, რამდენად საინტერესო იქნება, ალბათ მკითხველი განსაზღვრავს. ისიც იმ შემთხვევაში, თუკი მოვახერხებ მისი დაბეჭდვას.

«ეზლიტფო»: ბატონო ირაკლი, თქვენი აზრით რა განსხვავებაა მამაკაცურ და ქალურ პროზას შორის. საერთოდ, რამდენად სწორია, ან შესაძლებელია ასეთი დაყოფა?

ირაკლი ქასრაშვილი: არა მგონია, ასეთი დაყოფა საერთოდ მართებული იყოს. მარტივად რომ ვთქვათ, ლიტერატურა ჩემთვის არსებობს კარგი და ცუდი და არა მამაკაცური და ქალური. მაგალითად, ემილი ბრონტეს «ქარიშხლის უღელტეხილი» ან მარგერიტ იურსენარის რომანები იმდენად ძლიერი ლიტერატურაა, რომ არა მგონია, რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ქალის დაწერილია თუ მამაკაცის. საერთოდ ის, რომ უფრო მეტი და კარგი მწერალი ქალი გამოჩნდა, მათ შორის საქართველოშიც. ზოგადად იმ გენდერული რევოლუციის შედეგაცაა, რომელიც დასავლურ სამყაროში მეოცე საუკუნის დასაწყისში, კონკრეტულად კი, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. მწერალი ქალების მომრავლებას მრავალი მიზეზი აქვს, მაგრამ მთავარი მაინც ის მგონია, რომ ქალებს მეტი თავისუფალი დრო გაუჩნდათ. მწერლობისათვის კი უპირველესად მოცალეობაა საჭირო.

«ეზლიტფო»: რას გვეტყვით კრიტიკის მდგომარეობაზე საქართველოში? ვინ გაკრიტიკებდათ და რატომ? რაში დაეთანხმეთ და რაში არა?

ირაკლი ქასრაშვილი: მგონი, რასაც ილია წერდა ასორმოდანთი წლის წინ: «რა მიზეზია, რომ კრიტიკა არ გვაქვს», იმას ეხმაურება ეს თქვენი კითხვაც და მდგომარეობაც დიდად არ შეცვლილა მას შემდეგ. კომუნისტურ პერიოდში კრიტიკა ხელისუფლების მიერ აღიქმებოდა, როგორც იდეოლოგიის ინსტრუმენტი და

შესაბამისად, კრიტიკოსებზე მარქსისტული დოგმების ზეწოლაც საკმაოდ სერიოზული იყო. თუმცა მიუხედავად ამისა, მაინც შეიქმნა სერიოზული სკოლა. ამჟამადაც არიან კარგი კრიტიკოსები, მაგრამ იმ დროს, როდესაც საქართველოში ზოგადად ლიტერატურისადმი არის ინტერესი შემცირებული, კრიტიკისადმი მით უმეტეს დაიკლო მკითხველის ყურადღებამ. თანაც მგონია, რომ საქართველოში ლიტერატორთა წრე ისეა შეზღუდული, რომ კრიტიკოსები ზოგჯერ ერიდებიან საკუთარი აზრის ბოლომდე გამოთქმას, რათა ნაცნობ ან მეგობარ მწერალთან ურთიერთობა არ გაიფუჭონ. რაც შემეხება მე, არავის არ გავაკრიტიკებდი, რადგან საერთოდ არ მიზიდავს ეს საქმე, ხოლო კრიტიკულ წერილებში ორ რამეს ვაფასებ: აზრის ნათლად გამოთქმის უნარს და ლიტერატურულ გემოვნებას.

«ეზლიტგო»: ესეისტიკაზეც უნდა გკითხოთ. სუპირველეს ყოვლისა «ჯორჯ ორუელის «1984»-სა და «ცხოვრება გუსტავ დორეს სამყაროში» გავიხსენებ... რა მდგომარეობაა დღეს ამ ჟანრში ზოგადად და კონკრეტულად საქართველოში? რამდენადაა აუცილებელი მისი განვითარება?

ირაკლი ქასრაშვილი: ესეების წერა ძალიან მიყვარს. ვფიქრობ, რომ ეს საშუალებას იძლევა, ლიტერატურა გავაცილოთ წმინდა ბელეტრისტიკის ჩარჩოებს. არა მგონია, საქართველოში ბევრი ესე იწერებოდეს, თუმცა, მაგალითად, მალხაზ ხარბედიას ესეები მართლაც კარგია და საინტერესოდ იკითხება. თუკი ჩვენთან ისეთი ჟანრები ვითარდება, როგორც დეტექტივი ან საშინელებათა რომანია, არა მგონია, ესეისტიკის განვითარებამ დააშავოს რამე. პირადად მე ამ საქმეში საკუთარი მოკრძალებული წვლილის შეტანას ნამდვილად ვაპირებ.

«ეზლიტგო»: ბატონო ირაკლი, ლიტერატურა მკითხველისთვის იწერება. რას გვეტვით თანამედროვე მკითხველზე? ვიდრე უპასუხებდეთ, ქალბატონ თამრი ფხაკაძესთან თქვენი «დაპირისპირებიდან» ერთი მოსაზრება მინდა გაგახსენოთ: «წიგნებს ყოველთვის ეყოლება მკითხველი, შეიძლება უფრო ნაკლები, ვიდრე ადრე, თუნდაც ასი წლის წინ, მაგრამ მაინც ეყოლება. თუმცა, როგორ წიგნებზეა მოთხოვნილება და როგორ წაიკითხავენ წიგნებს _ ესეც ცალკე საკითხია».

მართლაც და როგორ წიგნებზეა დღეს მოთხოვნა და როგორ კითხულობენ დღეს?

ირაკლი ქასრაშვილი: მგონია, რომ დღევანდელი მკითხველი გაცილებით უფრო დაკავებულია, ვიდრე ოცი ან ოცდაათი წლის წინ იყო. ამიტომ მას უჭირს გულის ნაწილის გაღება წიგნისათვის. თან ის წიგნში უფრო ამბავს ეძებს, ვიდრე აზრს. მკითხველს ნაწარმოებში ხშირად თამაში აინტერესებს, ვიდრე ვთქვათ, ცხოვრებაზე დაფიქრება. თუმცა, ვფიქრობ, რომ ვიდრე ადამიანი ადამიანად რჩება, სერიოზულ ლიტერატურას ყოველთვის ეყოლება გარკვეული რაოდენობის სერიოზული მკითხველი. კიდევ ერთი რამ, რაშიც ნამდვილად დარწმუნებული ვარ, ისაა, რომ ლიტერატურას ვერ განვიხილავთ, როგორც ბიზნესის ჩვეულებრივ დარგს, რომელმაც გინდა თუ არა საკუთარი თავი უნდა შეინახოს. ეს რომ ასე იყოს, მთელ მსოფლიოში ეკონომიკის და კულტურის სამინისტროები გაერთიანებული იქნებოდა. ან იქნებ ლიტერატურა ჩვენში უკვე აღარ ითვლება კულტურის ნაწილად?

«სათქმელის გადმოცემას მხოლოდ

ლექსის ფორმით ვახერხებ»

ეპლიტფო: ქეთი, მოდი ბავშვობიდან დაიწყე... ისიც მითხარი, სად დამთავრდა შენი ბავშვობა და როდის... იქნებ საერთოდ არ დამთავრებულა?

ქეთი გზირიშვილი: დავიბადე თბილისში. ვერაზე, იტალიურ ეზოში გავიზარდე. ჩემი ეზო – ჩუქურთმიანი აივნებით, ხვეული კიბეებით, მუდამ სავსე სარეცხის თოკებით, ეზოში მოგროვებული მთელი უბნის ბავშვებით თუ კედლის მიღმა გაგონილი მეზობლის სუნთქვით მახსენდება. დღემდე სისუსტედ შემომრჩა ეს თბილისური ეზოები (ალბათ, ჩემ ფოტოობიექტივშიც ამიტომ ხვდება ხშირად, მით უმეტეს დღეს, როცა ასე სწრაფად იცვლება თბილისი); ახლაც სულ ვეძებ აივნებსა თუ ამ აივნებს მიღმა შემორჩენილ «სხვაგვარ» ურთიერთობებს; ძველ მეზობლებს დღესაც ნათესავებად ვთვლი...

კიდევ ერთი მოგონება: ზაფხულობით მანქანაში ჩაბარებული მთელი ოჯახი – დარიალის გზას გადევნებული. ამ ზაფხულებმა მთები შემაყვარა, ცხენები და ბამბურა ძაღლები; მამასთან ერთად უღელტეხილის ყველაზე მაღალი ნიშნულიდან გადმოხედვა და ძაფად ქცეული თერგის ცქერა; საზღვარს იქით, ჭრელა-ჭრულა სახლებით და მზესუმზირებით სავსე გზისპირები...

ვხატავდი. დავდიოდი ხატვაზე. საოცრად მახსოვს გაკვეთილები ბავშვთა გალერეაში, ჩემი გამოფენა... გული მწყდება, თავი რომ დამანებებინეს.

რა ვიცი, ბევრი რამის გახსენება შეიძლება...

ვფიქრობ, ბავშვობა არ დამთავრებულა, წერტილი არ დასმულა. სულის სიღრმეში არის და იმედია, დარჩება.

ეპლიტფო: ყველაზე ხშირად რას ხატავდი? აგვიჩერე შენი ბავშვობისდროინდელი ერთი ნახატი.

ქეთი: ხატვა ორი წლის ასაკში დავიწყე. პირველად ცხენი დავხატე; ხშირად მთებს და ცხვრის ფარებს ვხატავდი. ეს ალბათ ზაფხულის შთაბეჭდილებების შედეგი იყო.

ეპლიტფო: ქეთი, შენ ფოტომოყვარული ხარ. რა არის შენთვის კარგი ფოტო?

ქეთი: სამ წელზე მეტია, ფოტოგრაფიამ გამიტაცა. თითქოს ემოციებს ვანაწილებ კიდევ – ფოტოებსა და სიტყვებში. კარგი ფოტო ჩემთვის – ეს კარგად გადმოცემული სათქმელია (ლექსის მსგავსად), როცა ვხედავ ავტორის თვალს – კარგ ხედვას. შესრულების ხარისხი – თავისთავად, მაგრამ პროფესიული ცოდნის ათვისება შესაძლებელია; მთავარია, ამის მიღმა რა რჩება. მცირე პარალელის გავლებასაც შევეცდები: მგონია, ფოტოგრაფები პოეტებივით ძალიან მგრძნობიარეები არიან, ამავე დროს, ძალიან გულწრფელები – იმას ასახავენ, რასაც (და როგორც) ხედავენ, ადამიანებს საკუთარ თვალებში ახედებენ. მათ არანაკლებ პოეტებად ვთვლი, ოღონდ სინათლით მწერლებად.

ეპლიტფო: დიდი ხანია ლექსებს წერ? პროზა არ გიცდია?

ქეთი: წერას რაც შეეხება – დაახლოებით 13-14 წლიდან დღიურებს ვწერდი (თუმცა, დიდი ხანია, რაც შევწყვეტიე). ამას აღვნიშნავ, რადგან ჩემი პირველი ლიტერატურული მცდელობები იქ არის თავმოყრილი, მათ შორის პროზაულიც. მაგრამ მხოლოდ მცდელობებს ვუწოდებ, მათზე სერიოზული ლაპარაკი და ფიქრი მიჭირს, არც არავისთვის გამიმხელია. ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი «ეპლიტფოზე» გაწევრიანების შემდეგ დადგა – გავბედე და ლექსები გამოვაქვეყნე. «გაბედევა» ჩემ შემთხვევაში ზუსტად მომეზნაილი სიტყვაა – ძალიან განვიცდიდი. ამ ფორუმის არსებობას გადაწყვეტილების მიღებაში ლომის წილი ჰქონდა. ვთვლი, რომ სერიოზული წერა ამ წელს დავიწყე.

ახლა სათქმელის გადმოცემას მხოლოდ ლექსის ფორმით ვახერხებ.

ეპლიტფო: როგორ ფიქრობ, რომელი ლექსიდან უნდა დავიწყოთ შენი გაცნობა?

ქეთი: ყველა ლექსში ვარ გაბნეული. არ ვიცი, საკუთარი თავის წარსადგენად რომელი ამოვარჩიო, რომელი უფრო გამომხატავს. ისინი ამა თუ იმ პერიოდის ქეთის იტევენ...

ებლიტფო: ქეთი, ზემოთ »ებლიტფო« ახსენე...

ქეთი: «ებლიტფო» ერთადერთი ლიტერატურული საიტი იყო, რომელშიც გავწევრიანდი და ფაქტობრივად, ორი წლის მანძილზე ჩემი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად ვაქციე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას კიდევ ერთი ფაქტის გამო იძენს – როგორც ვთქვი, ამ ფორუმში გავამხილე, რომ ვწერდი. პირველად აქ გამოვაქვეყნე ლექსი და ყველა ის ნაბიჯი, რომელიც, როგორც ავტორმა, გადავდგი, სწორედ მისი საშუალებით ფიქსირდებოდა. გული მწყდება, რომ დღეს ეს გზა არ ჩანს – არა მხოლოდ ჩემი, საერთოდ, ამ ფორუმის გზა – მისი გაუქმების გამო.

დღესაც იგივე აზრი მაქვს, რაც ორი წლის წინ – ეს ქართულ ლიტერატურულ ინტერნეტსივრცეში გამორჩეული გარემო გახლდათ – თავისი სტილით, ურთიერთობებით და, განსაკუთრებით, შედეგებით, რაც არაერთი სახით გამოიხატა. ალბათ, აღსანიშნავია ორი-სამი წლის წინანდელი ვითარებაც, როცა ლიტერატურული პერიოდიკა თითქმის არ იბეჭდებოდა და არც ლიტერატურული საიტების სიმრავლით გამოირჩეოდა ქართული ინტერნეტსივრცე. «ებლიტფო» სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა და თავისი არსებობით ლიტერატურულ პროცესებს საკმაოდ მნიშვნელოვანი მიმართულება მისცა. ახლაც, სხვადასხვა საიტებზე, ხშირად «ებლიტფოს» გამოცდილებას იყენებენ – უკვე აპრობირებული, ლიტერატურული თუ არალიტერატურული პროექტები დღეს მათთან ხორციელდება. არ მგონია, სხვა «ებლიტფოელები» განსხვავებულად ფიქრობდნენ. არაერთხელ მსმენია, რომ ეს გარემო ენატრებათ.

მინდა აღვნიშნო ფორუმის ბაზაზე (და ესეც სიახლე იყო, მით უმეტეს ამ მასშტაბით) შექმნილი ბეჭდური გამოცემები: უკვე დაბეჭდილი ხუთი მცირე კრებული, რომლებშიც ფორუმში გამართული საინტერესო ლიტერატურული საუბრები გამოქვეყნდა და აღმანახ «თაობების» ორი ნომერი. «თაობებმა» ისევ ზემოთ ნახსენებ ურთიერთობებთან მიმაბრუნა: ფორუმი ის სივრცე იყო, სადაც სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს. აღმანახში სწორედ ამის ასახვა მოხდა. მის გამოსვლას მრავალმხრივი გამოხმაურება მოჰყვა. ვფიქრობ, ფორუმში განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ეს ძალიან საინტერესო მცდელობა იყო – კონკრეტული პერიოდის თანამედროვე ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებულთა და დებიუტანტთა კეთილგანწყობილი შეხვედრა, მათი ქმნილებების ერთი განათების ქვეშ წარმოდგენა. აქვე ვიტყვი – ინტერესით ვუცდი «თაობების» მესამე ნომრის გამოსვლას და იმედი მაქვს, რომ მისი გამოცემა მომავალშიც გაგრძელდება.

ერთ-ერთი, რაც ასევე კარგად მახსენდება, ეროვნულ ბიბლიოთეკაში დამკვიდრებული, რეგულარულად გამართული ლიტერატურული საღამოებია (რომლებიც «ებლიტფოზე» ციფრული სახით სრულად ქვეყნდებოდა). დღეს ხშირად გამოთქვამენ სურვილს, რომ ეს შეხვედრები აღდგეს. სხვადასხვა საიტებზე (მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც) ჩნდება ინფორმაციები პოეტური საღამოების ჩატარების შესახებ. თუმცა, მგონია, რომ სტილი თუ აურა, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ საღამოებს ჰქონდა, მხოლოდ მათ საკუთრებად დარჩა. თანაც, ჩვენთან მხოლოდ პოეზიას არ «სწყალობდნენ» – არაერთი პროზაიკოსი იყო მოწვეული.

ჩემთვის მნიშვნელოვან გარემოზე, რომელზეც სამწუხაროდ, წარსულში მიწევს საუბარი, კიდევ ბევრის თქმა შეიძლება... ალბათ, კრებულების გადათვალიერება სჯობს – იქ ბევრი კარგი ფაქტია თავმოყრილი.

ებლიტფო: ქეთი, საუბარი ბიბლიოთეკით დავამთავროთ. რა არის შენთვის ეროვნული ბიბლიოთეკა და რას შეცვლიდი ჩვენს ბიბლიოთეკაში?

ქეთი: სამსახური, სადაც მოსვლა მინდა. უკვე 8 წელია, აქ ვმუშაობ და წლების მანძილზე გაჩენილი დამოკიდებულება, არაერთი სასიკეთო ცვლილება და წარმატებული საქმე დადებითად განმაწყობს. ალბათ, მეტი თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვას ვისურვებდი. იმედია, დროთა განმავლობაში ყველაფერი უკეთ იქნება...

ქეთი გზირიშვილი

ხმა (კიდევ ერთი) კუნძულიდან

ორიოდე წლის წინ ორიოდე ქართული ლიტერატურული საიტი თუ არსებობდა, სადაც ავტორები საკუთარ ნაწარმოებებს ათავსებდნენ. მოგვიანებით, ამ "უსაზღვრებო სივრცეს" რამდენიმე თემატურ ფორუმთან და პორტალთან ერთად პირადი გვერდებიც შეემატა, მათ შორის, ბლოგების სახით. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ დაფიქსირდა და თვეების მანძილზე არ ვითარდება (ან ვერ განვითარდა სხვადასხვა მიზეზის გამო – ეს ძირითადად პორტალებსა და ფორუმებს ეხება).

მოქმედ საიტებზე შექმნილი შთაბეჭდილების გადმოცემას მოკლედ შევეცდები: თითოეული მათგანი კუნძულს მაგონებს თავისი ერთი, ან არაერთი მოსახლით. დაახლოებით ისეთი მდგომარეობაა, როგორც ქართულ ფეხბურთში: «ვირტუალურ ლიტერატურულ მოედანზე» ყველა თავისთვის თამაშობს (თან ხშირად, არც თუ კარგად). ვინმე იკითხავს, ლიტერატურულ საიტებზე მიმდინარე მოვლენებმა ზოგადად ლიტერატურას რა უნდა დააკლოს, ან შემატოსო, მაგრამ ვფიქრობ, რამდენიმე წლის შემდეგ ნაკლები პესიმიზმით ილაპარაკებენ ამაზე.

ბარემ «კუნძულების» მოსახლეებზეც ვიტყვი: საიტებზე ძირითადად ახალგაზრდა ავტორები არიან გაწევრიანებული. ვფიქრობ, უმეტესი მათგანისთვის ეს დროებითი სივრცე იქნება, სადაც თავს მოსინჯავენ, თუმცა არიან ისინი, რომლებიც შემთხვევით არ მოხვდნენ ამ გარემოში – აქვთ საკმაო ნიჭი (მეტ-ნაკლებად შესაბამისი შრომისმოყვარეობით), რომ წლების შემდეგაც შემორჩეს მათი სახელი და ბოლოს, უფროსი თაობის ასე თუ ისე ცნობილ (და ტექნიკის მიღწევებთან მწყრალად არმყოფ) წარმომადგენელთა მცირე ჯგუფი. ჰო, ლიტერატურული თემატიკის გვერდებს მწერლად წოდების ამბიციის გარეშე დარჩენილი, უბრალოდ, ლიტერატურაზე შეყვარებული ადამიანებიც ქმნიან.

ახლა კი, მივყვით ჩემ შთაბეჭდილებებს (თუ საინტერესოა).

წლის მანძილზე წარმოებულ ვირტუალურ დღიურს მოვიშველიებ:

შთაბეჭდილებების წიგნი

მედიმება იმაზე,

თუ როგორ არ რჩება ნიჭიერის მკლავზე ხელის მოსაკიდებელი ადგილი მის დებიუტამდე მისაცილებლად. წიგნს, რომელიც დარჩება, ისე ჩამოეკიდნენ, როგორც 90-იანებში თბილისის ქუჩებში იშვიათად გამოჩენილ ტროლეიბუსს...

მედიმება იმაზე,

თუ როგორ გაჩნდა ჯგუფები. ანუ საიტებში ჩატეული ლიტერატურა და საიტებში ჩატეულ ლიტერატურაში ჩატეული ხალხი. ისინი დამოუკიდებელ ჯგუფებად არსებობენ, გამოსცემენ (თურმე) კრებულებს, აწყობენ თავის პოეზიის სადამოებს, ჰყავთ რჩეული ავტორები და ა.შ. თითოეული საიტის დათვალიერებისას მრჩება შთაბეჭდილება, რომ კუნძულზე ვხვდები.

მელიმება იმაზე,

რომ საიტებზე აქვთ მკვეთრად გამოიჯნული გემოვნება: ან ვერლიბრი, ან კონვენციური. სადაც კონვენციური ლექსი მოსწონთ, იქ ვერლიბრს ალტერნატიულ პოეზიას ეძახიან. ჰმ, სადაც ვერლიბრი ისევ ალტერნატივაა!

მელიმება იმაზე,

რომ ვიდრე ლექსს წაიკითხავენ, კითხულობენ ავტორის გვარს/ნიკს. თუ ინკოგნიტაა, არკვევენ. შემდეგ, იმის მიხედვით, რამდენად მიღებულია ავტორი ამა თუ იმ წრეში, ხდება იმის განსაზღვრა, ეს ლექსი მაგარია თუ არა.

მელიმება იმაზე,

თუ როგორ გადაამღერა "«წლის აღმოჩენამ»" ამჯერად სილვია პლატი, მერე როგორ შეიცვალა ორმოცდამეათედ ნიკი და მიიღო ორმოცდაათი წყვილი ხელით დაკრულ ტაში; ის ბედნიერია რომელიღაც საიტის თავფურცელზე მოხვედრით. მისი ცხოვრება შედგა.

და რამდენის ცხოვრება დგება ასე, ყოველდღიურად...

ეს – ნაწილი იმისა, რაც ვირტუალურს შეეხება. არსებობს ბეჭდური გამოცემების რედაქციებში შეყუჟული, არავირტუალური ჯგუფები, რომლებიც კიდეც უფრო ჩაკეტილი და გალავანშემორტყმული არიან, რადგან, თუ საიტზე შესვლა მაინც არ არის პრობლემა (სხვაა, იპოვნი იქ ადგილს და დარჩენის სურვილს, თუ არა), არავირტუალურში... გალავანზე "«ჩიტიც ვერ გადაფრინდება»". თუმცა, არა. ჰიშკარი ფართოდ იღება, თუ «"ბლარტს»" ვინმე ხელს ჩასჭიდებს. ხელის ჩაჭიდებას სუბიექტივიზმი უძღვის წინ.

და მერე...

მელიმება იმაზე, თუ როგორ ამოსდით გალავანგადალახულებს ზურგზე ფრთები, როგორ მომენტალურად იცვლება მათდამი დამოკიდებულება ვირტუალში...

ჰო, მელიმება იმაზე, როგორ ქმნის თითოეული ახალი, ვირტუალური ჯგუფი თავის რეალურ, ბეჭდურ გამოცემას. ანუ, "კუნძულები" «"რეალში»". თუმცა, მიუხედავად ჩაკეტილი საზღვრებისა, ეს მაინც კარგია – კარგი საკითხავიც გამოერევა სადმე, თან ყვითელ პრესას სჯობს.

და ბოლოს,

კარგია, რომ მელიმება. რადგან ახლო წარსულში არ მელიმებოდა.

ჰო, სულაც არ მეცინება. ეს სასაცილო არ არის.

23.12.2008

ვფიქრობ, ამ ჩანაწერში არაერთი საკითხია თავმოყრილი, რომელზეც ვრცლად გავაგრძელებდი თხრობას. ერთს ამოვირჩევ – პლაგიატის, ბოლო დროს ჩემთვის მეტად აქტუალურ თემას, რომელზეც ღიად თითქმის არ საუბრობენ. ცოტა ხნის წინ ვწერდი: «გრაფომანები უცხო სიტყვით გამოხატულს ალბათ მძაფრად არ აღიქვამენ, ამიტომ ქართულად ვიტყვი: ამას ქურდობა ჰქვია, ჩამდენს – ქურდი და ეს, სულ მცირე, სირცხვილია». ალბათ, გაჩნდება კითხვა, რატომ არ საუბრობენ, ან რატომ ვსაუბრობ მე. ისევ დღიურს მივაკითხავ:

პლაგიატი

პლაგიატს

ა) ახსენებენ მკითხველები, რომ რომელიღაც ავტორის ფრაზამ სხვა რომელიღაც ავტორის ფრაზა გაახსენათ.. შესაბამისად, რომელიღაც ავტორი, რომელსაც მიაჩნია მსგავსებაზე, აცხადებს ომს, ან მისი მკითხველები იცავენ თავგამოდებით.

ბ) ახსენებენ ავტორები, რომ მათი ფრაზა თუ იდეა სხვის ლექსში აღმოაჩინეს; სხვა ლექსის ავტორი მაშინვე იხსენებს, რომ თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა და გადადის შეტევაზე;

გ) ახსენებენ ლიტერატურათმცოდნეები და ავტორები, რომლებიც გვერდიდან უყურებენ სიტუაციას და ასკვნიან, რომ ეს არ არის პლაგიატი, რომ ეს ბუნებრივია, თან 21-ე საუკუნეში; რომ თვითკმარი და თვითნაბადი ნაწარმოები/ავტორი არ არსებობს...

ამ შემთხვევაში ყველა კმაყოფილია, რადგან თავის გასამართლებელ საბუთად გამოდგება, მით უმეტეს თუ კომპეტენტური პირი ამბობს.

კი, ბატონო, როდესაც მაგალითად მოგყავთ ოკეანისგადაღმელი და ქართველი, რომლებსაც თითქმის (ან გადაჭრით) შეუძლებელია, ერთმანეთის შემოქმედებაზე წარმოდგენა ჰქონდეთ – გეთანხმებით. მაგრამ, როდესაც ერთ, საერთო, ქართულ ლიტერატურულ ფორუმში მყოფ წევრებს აქვთ ეს მსგავსებები, უფრო სწორედ, კალკირებული ფრაზები, აქ რა ვქნათ?! მერე რა, ხომ?! და თუ სხვის ფრაზაზე აშენებ შენს ლექსს, ეპიგრაფად მაინც უნდა მიუთითო... და თუ სიტყვები არ გყოფნის სათქმელის გამოსახატად, ენას ვერ ფლობ – უნდა დატოვო ამბიციები. მე ასე მესმის.

ჰო, გული მეტკინა მას შემდეგ, რაც საკუთარი იდეა თუ ფრაზა სხვასთან აღმოვაჩინე, ჩემი ლექსის გამოქვეყნების შემდეგ.

23.05.2008

Bon ppetit!

ახალი ტენდენცია: სავარჯიშო შინაარსის დამუშავებაზე.

როცა საკუთარი ცხოვრება არ აძლევთ რაიმე შინაარსიანის მოყოლის საშუალებას, რომელიმე საიტზე კი დროა (ჰმ), განაახლონ საკუთარი გვერდი, მთავარი მიხედ-მოხედვაა – კარგ საკითხავს რა გამოლევს (აქ მთავარია, გემოვნება არ ღალატობდეთ), მერე დახუჭავენ თვალებს და წარმოიდგენენ... ცოტა ნიჭიც და სავარჯიშო წარმატებით დასრულდება. ნაკლებად ნიჭიერებს ნაკლებ შრომად უჯდებათ – რომელიმე წინადადებას მოხსნიან და ჩააწებებენ სადმე, მერე გარნირს მოუმზადებენ... საკითხავის გარდა წარმატებით გამოიყენება სცენები კინოფილმებიდან, განსაკუთრებით ეროტიკის თემაზე შეჭიდებისას; ასევე, სიმღერების ტექსტები, ძირითადად უცხოური.

ბოლო დროს ვაკვირდები: ადამიანებს არც დაბეჭდილი ავტორები აკავებთ. არც მაგალითად, «საბას» გამარჯვებულის სტატუსი, არც სხვა რამ აღიარება (ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ეს ავტორები უფრო ფართო მასებისთვის არიან ცნობილი და გაცილებით ადვილია, ამხილონ და დაუმტკიცონ). ძალიან ჩვეულებრივი გახდა მითვისება. ამას წინათ, ერთ საიტზე აშკარა პლაგიატს წავაწყდი – წინადადებაში სიტყვებიც არ იყო გადანაცვლებული. გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ეს აღნიშნა და მაშინვე გამოჩნდნენ სხვები, რომლებმაც თქვეს: "ზოგჯერ ხდება ასეთი დამთხვევებიც" (!) და ეს არ არის პლაგიატი. ამის მამტკიცებლები იმდენი იყვნენ, საბოლოოდ ამ აზრმა "გაიმარჯვა". აღსანიშნავია – დაცვა ვრცელდება მეგობრების წრეზე: არგუმენტი – «ვიცნობ, მას ეს არ სჭირდება».

ასე რომ, თანამედროვე პოეზია ერთ დიდ «კომუნალკაშია» დასახლებული. «კომუნალკის» დიქტის კედლებში კარგად ისმის ყველა კვნესა, თუ ამოსუნთქვა... და როცა სამზარეულო საერთოა და ქვაბებიც... მაგიდასაც ერთად უსხდებიან. Bon ppetit!

რალა გაეწყობა.

სადმე, მინდვრის გადაღმა სჯობს კარვის დაცემა.

8.12.2008

აქვე კიდევ ერთი ჩანაწერი ეპიგრაფის (და პლაგიატის) თემაზე:

წყარო

გუშინ, გვიან ღამით მომინდა ამაზე დაწერა – დღის მანძილზე საუბარმაც მოიტანა და მერე პოსტშიც ვახსენე. მოკლედ, მოჩუხჩუხე წყლის ნაკადს არ ვგულისხმობ, არამედ ტექსტში გამოყენებული მასალის თუ ინსპირირების წყაროს მითითების ცივილურ ფორმას (თუმცა, სიტყვა «წყარო» შესანიშნავად გადმოსცემს პირველწყაროს ბუნებას).

მას შემდეგ, რაც ქართულ ბლოგებს ვათვალიერებ, სხვადასხვა ასაკის ბლოგერებისგან ერთმანეთის მიმართ გამოჩენილი ყურადღების დანახვა მახარებს, ანუ: როცა ერთ თემაზე დაწერილ პოსტებში მითითებულია იმავე თემაზე დაწერილი სხვა ბლოგერის პოსტის ლინკი; ან სიტყვიერად, რომ იდეა წამოვიდა აქედან, ან ამ ადამიანისგან; თუნდაც ჩემი გუშინდელი (არა ერთადერთი) შემთხვევა – როცა წყარო მითითებული დამხვდა.

ამის მაგალითად მოტანა გადავწყვიტე, რადგან სამწუხაროდ, ხშირად იგივე კულტურას პოეტები არ იჩენენ (ძირითადად ახალგაზრდა ავტორებს ვგულისხმობ). სულ რამდენიმეს ჩამოთვლა შემიძლია, ვისთანაც ეპიგრაფს შევხვედრივარ (პირადი საუბრიდან მოტანილი ფრაზაც კი მინახავს, თუკი ის ინსპირაციის მიზეზია). ეს ადამიანის პატიოსან ბუნებაზე მიუთითებს. შედეგი არა მხოლოდ ის შეხედულებაა, რომელიც ბუნებასთან დაკავშირებით ჩნდება, არამედ ისიც, რომ პლაგიატორის დარქმევა თავში არავის მოუვა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს შემოქმედებითი ეთიკის ქონაზე მიუთითებს, რომელზეც მხოლოდ კეთილგანწყობით პასუხობენ.

ეპიგრაფის დართვა არანაირად არ აკნინებს ავტორს, არადა, პირიქით ფიქრობენ. სწორედ, რომ ასე, რადგან დღეს, კარგი კონცეპტი და მეტაფორა რამდენადაც იშვიათია, იმდენადვე მოიმატა მათზე მონადირეთა რიცხვმა. როცა რეიტინგისთვის ბრძოლაა გადასატანი, როცა სურთ, რომ ინტელექტუალის სახელით დამკვიდრდნენ, უკან არაფერზე იხევენ. ინტერნეტის უსაზღვრობის გამო კი შესაძლებელია, ოდესმე საკუთარი ქმნილების ქურდად გამოცხადდე – ვერ დაამტკიცო, რომ პირველი შენ იყავი, რადგან "საჭირო ადგილზე საჭირო დროს" არ აღმოჩნდი; ანუ, როცა ნამდვილი ავტორის დიდი აუდიტორიისთვის გაცნობა პლაგიატორზე გვიან მოხდება.

ცუდი ის არის, რომ წინათაობელებისგან არაერთხელ მსმენია – თუ ნაკლებად ცნობილი ავტორის ტექსტს გადაამუშავებენ, შერჩებათ კიდევ. მთავარია, ცნობილის სიტყვა არ გაეპაროთ სადმე ბრჭყალების ან ეპიგრაფის გარეშე, რადგან ვინმე მიუთითებთ.

საწყენია.

მთაგონების წყაროს ღელედ ან მდინარედ ქცევას რა სჯობს, ოღონდ მისი დავიწყების გარეშე, ვინც წყაროსთან მიგიყვანთ.

30.01.2009

შევეცადე, დღიურიდან ისეთი ჩანაწერები ამომერჩია, არსებული მდგომარეობის გაანალიზებისას ძირითად მახვილებად რომ გამოდგებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი აზრით. თუმცა, არაერთი საკითხია, რომელიც წერილს მიღმა დამრჩა. კიდევ ერთი «კუნძულიდან» სხვა (რომელიმე) «ნაპირამდე» ერთჯერადად მიწვდენილი ხმისთვის ალბათ საკმარისია. დასასრულად კიდევ ერთ ჩანაწერს შემოგთავაზებთ:

«დაე, ხვალემ იფიქროს ხვალისა...»

ფიქრი პირველი

ქართულ თანამედროვე პოეზიაში უხვად მომრავლებული სახარებისეული და ეროტიკული მოტივები ჩემთვის ძალიან არასაყვარელ გამონათქვამს მახსენებს – თითოიდან გამოწოვილს. აღმოჩნდა, რომ სამშობლოზე და პლატონურ გრძნობებზე პათოსით წერის გარდა ხორცის სიამეც გვცოდნია და სულის დაამებაც. ამას რა სჯობია, მაგრამ ხორცს ძირითადად წარმოსახულით ღლიან და სულს – წმიდა წიგნში ჩაკირ-კიტებით, ოღონდ არა რწმენის გამო, არამედ რაიმე სალექსოდ გამოსადეგის ამოსარჩევად. სახარება ხომ "ყველა კითხვას პასუხს სცემს" და იქნებ, ამ უმუზოებაზეც ეწეროს რამე. ცრუ მონაზვნები და ცრუ ბერები, თითქოს რაიმე რიტუალის ჩატარებისას, მჭმუნვარე სახით იმოსებიან და ხელისგულზე ჩამოდებული სახეებით ქმნიან საკუთარ სახარებას, სხვათა დასანახს.

დღეს დიდი ინტელექტის მაჩვენებლად მიიჩნევა შემოქმედების სახარებაზე დაფუძნება. ეს, სხვათა შორის, "«დიდთა»" მიერ გავრცელებული აზრია, და ხანდახან "'«დიდთა»" რჩევითა და ხელითვე იცვლება ქაოსურად ნაწერი (ოღონდ ეს ხელწერაა – მეტის შეუძლებლობის გამო) და პირადი ცხოვრებით ნასაზრდოები – ქადაგებად.

ფიქრი მეორე

პროექტებსა და პროდუქტებზე უკვე ვიფიქრე.

წინა დღის ჩანაწერი:

ხის მთელეზე ვფიქრობ – ხელში საჭრეთელით და შუბლზე – ოფლით რომ თლის, თლის, თლის... სუვენირს, რომელსაც რომელიმე უცხოელი თუ შეიძენს, თორემ აქაურებმა იციან მისი რეალური ფასი.

კიდევ «ჯეოსტარი» გამახსენდა,

ან მსგავსი პროექტები – შექმნილი პროდუქტით, ახლობლებზე და თინეიჯერებზე რომ იყიდება. ანუ, ვარსკვლავები და მათი ამაკიაფებლები: სტილისტი, ვოკალის პედაგოგი, ქორეოგრაფი, სტუდიაში მომუშავენი...

მაგრამ პროექტი მთავრდება და სულ ცოტა ხანში გვარებსაც ვერ ვიხსენებთ. უფრო ასე: «გახსოვს ის, ხვეული თმით», ან რაიმე ასეთი...

ფიქრი მესამე

საინტერესო გამონათქვამია «"თვალში ნაცრის შეყრა"».

მოდიოთ, მივყვით ამბავს და მოვყვით: ნაცარი კერიზე გროვდება, ანდა კოცონზე – ჭერს მიღმა.

თვალში ნაცრის შემყრელი – ცეცხლთან ჩამუხლული, ან დაბალ სამფეხაზე ჩამოძვდარი წარმომიდგენია, ხელი რომ ადვილად მიუწვდება "საბრძოლო იარაღზე". ადვილად-მეთქი, ანუ სწრაფად, ვიდრე ნაცარშესაყრელი თვალს დაახამხამებს.

თუმცა, ზოგჯერ თვალის დახუჭვას ასწრებენ და იმავდროულად, ფართოდაც ეხილებათ თვალი.

ფიქრი მეოთხე და ამჯერად ბოლო

სახარებიდან გეტყვით: დაე, ხვალემ იფიქროს ხვალისა...

მანამდე კი... ვაშლი ჩაკბიჩეთ – სასარგებლო,

ანდა, უბრალოდ – ძილი ნებისა.

31.10.2008

ქეთი გზირიშვილი

რამდენიმე ტენდენცია

დიდი ხანია, ლიტერატურული საიტების შესახებ ჩემი შთაბეჭდილებები არ დამიწერია. ერთხანს მათი კითხვაც შევწყვიტე, თუმცა ახლა ისევ ვათვალიერებ. ლექსების გარდა, ხანდახან კომენტარებსაც ვკითხულობ და ბოლო დროს ჩემთვის საინტერესო სწორედ მკითხველებზე დაკვირვება გახდა – ვინ კითხულობს ინტერნეტში და როგორ. არანაკლებ საინტერესოა, ავტორები გამოთქმულ აზრს როგორ იღებენ. რაკი კომენტატორები ძირითადად ისინი არიან, ვინც თავადაც ქმნიან, მკითხველზე ფიქრი კიდევ უფრო «მიმზიდველი» ხდება.

ის, რომ კარგი მკითხველი (ისევე, როგორც ავტორი) თითქმის ჩამოსათვლელი რაოდენობით მეგულება, არაერთხელ ვთქვი.

ახლა მხოლოდ ზოგადად და მოკლედ – ტენდენციებზე:

ავტორიტეტები

ქართველებს რომ ბელადომანია გვჭირს, ახალი ამბავი არ არის. თუ არ გვყავს ლიდერი, ვქმნით. საიტებზეც – ასე და მერე უგვირგვინო ბელადები ნაწარმოებების ირგვლივ ამინდს ჰქმნიან. რა თქმა უნდა, მათგან მობერილი ქარი ყველა მკითხველს ერთნაირად არ ცელავს, მაგრამ უმეტესობაზე «ზემოდან» ნათქვამი სიტყვა მოქმედებს. ეს კი დამწყებ ავტორს შესაძლოა გაბუქებულ თვითშეფასებას უჩენდეს, ან პირიქით. ჰო, კიდევ, მაღიმებს «ავტორიტეტებისთვის» შეფარულად «თავის მოქონვა» მათი გემოვნების ღიად ქებით – მომავალში კარგი შეფასების მიღების მოლოდინით. სხვათა შორის, ხშირად რეაქციაც არ აყოვნებს ხოლმე..

შეფასება

კარგის და ცუდის გადარჩევა იმის მიხედვით, ავტორი და მკითხველი ერთმანეთს იცნობენ თუ არა;

თვალში მომხვდა განაცხადები, რომ «ბრმად ენდობიან»ვილაცის შეფასებას და საკუთარსაც ამით საზღვრავენ. ერთმანეთის მიბაძვით შეფასება ხშირად ხდება, მაგრამ ადრე ამას ღიად არ გამოთქვამდნენ.

რეაქცია

ახლობლისგან მიღებულ შენიშვნაზე ან შედარებით დაბალ შეფასებაზე: წყენის ღიად დაფიქსირება და პირად ურთიერთობებზე გადატანა;

დასაბუთებული უარყოფითი აზრისთვის პასუხად: რევანშული უარყოფითი კომენტარი მთქმელის ნაწარმოებზე (თუ აქვს), მოთხოვნა – «აქ აღარ შემოხვიდე», სერიალად გადაქცეული «პოლემიკა», სადმე შეხვედრის დანიშვნა (ტელეფონის, უბნის, მეგობრების ლიტერატურული წრიდან მითითებითაც!).

თვითშეფასება

საინტერესოა ზოგიერთი ავტორისგან საკუთარი თავის შემდგარ პოეტად დასახელება, რომელიც სხვის დაუხმარებლადაც ამოიცნობს თავისი ლექსის სუსტ მხარეებს (მაშინ რატომ არ აძლიერებს მათ? თუნდაც შემდეგ ლექსში?) და რაც მთავარია, პოეზიაში სხვებზე უკეთ ერკვევა.

თვითშეფასების და ნაწარმოებების ხარისხის შკალაზე მკვეთრად მოქმედებს კომენტარების სახით დაუნანებლად გაღებული დიტირამბები.

კითხვა

ზედაპირულად, ფრაგმენტულად, კონტექსტის გაუთვალისწინებლად ან კონტექსტიდან ამოგლეჯით;

«ვერლიბრისტებისა» და «კონვენციის» მიმდევართა შორის «დავა» იმდენად უგვანო მგონია, რომ არ განვიხილავ. მხოლოდ როგორც ფაქტს – აღვნიშნავ, რადგან ლექსის «ღირსება» მისი ფორმით ხშირად ისაზღვრება.

* * *

რაც დავწერე, რა თქმა უნდა, ყველა მკითხველს და ავტორს არ ეხება. არსებობენ შედარებით ობიექტური (რადგან, მთლად ობიექტური არ მგონია ვინმე იყოს) ადამიანები. მე მხოლოდ ტენდენციებზე ვსაუბრობდი, თანაც იმ პოზიციიდან, რომ არცერთი საიტის წევრი არ ვარ.

აქვე, ამ ფონზე, არ შემიძლია არ ვთქვა: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში რამდენიმე წელი ფუნქციონირებდა ლიტერატურული ფორუმი «ებლიტფო», რომელიც მისი სტრუქტურის გამო თავისუფალი იყო ბევრი იმ გამოვლინებისგან, რაც ზემოთ ჩამოვთვალე.

ვინმემ შეიძლება იკითხოს, რა მრჯის, ამას რომ ვწერ. ინტერნეტმა მკითხველი და ავტორი გაცილებით მეტად დაახლოვა, ვიდრე ოდესმე. შეიძლება ითქვას,

ერთმანეთის ნაცნობებად აქცია. ამ ნაცნობობამ კი, სიკეთესთან ერთად ეს ტენდენციებიც მოიტანა. უფრო ზუსტად, მათი დანახვის საშუალება გააჩინა, თორემ მსგავსი ალბათ არავირტუალურ ლიტერატურულ სამყაროშიც იყო.

მგონია, ბევრი ადამიანია, ვინც ლიტერატურული საიტების წევრი არ არის და «ჩუმაღ» კითხულობს. მათზე ვერაფერს ვიტყვი, «ხილული» მკითხველები კი (აქ თაობაც იგულისხმება: ძირითადად ახალგაზრდები, რადგან უფროსი თაობა კომპიუტერს ნაკლებად იყენებს) ზოგადი სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევიან. თან, ისინი ჩემი ლექსების პოტენციური თუ რეალური მკითხველებიც არიან, ჰოდა უბრალოდ მაინტერესებს, რას წერენ და როგორ შეიძლება ესმოდეთ სხვისი ნათქვამი.

«გამომშვიდობება მკვდარ პოეზიასთან»

«ებლიტვო»: გიორგი, ფსევდონიმით დავიწყეთ...

გიორგი ბუნდოვანი: მე ლექსებს ვწერ 6 წლის ასაკიდან და სადღაც, დაახლოებით, რომ გავხდი 12-13 წლის, ავირჩიე ძალზე უცნაური ფსევდონიმი, სასაცილოა ახლა, მართლა კომედიია... მაშინ ბავშვი ვიყავი, რატომღაც პესიმისტური თუ დეკადანსური განწყობები ყოველთვის ჩემში იყო და ავირჩიე ფსევდონიმად გიორგი კუბოგვამური... ეს არავინ არ იცის და ექსკლუზიურად თქვენ გეუბნებით. პირველ ლექსებს ვაწერდი გიორგი კუბოგვამურს, მაშინ ლექსებს არც ვბეჭდავდი, შემდეგ ცოტა, რომ წამოვიზარდე, მივხვდი, რომ ასეთი ფსევდონიმი სასაცილოა და ავირჩიე მეორე ფსევდონიმი გიორგი დაბრედილი, რომელიც ძალიან დიდი ხანი ვატარე. ესაა 80-იანი წლების დასაწყისი.

ამ ფსევდონიმამაც ვერ მოიკიდა ფეხი და მივხვდი, ან უნდა დავბრუნებოდი საკუთარ გვარს ან სხვა ფსევდონიმი უნდა მომეფიქრებინა. ამ პერიოდს დაემთხვა ქრონოფაგების ორდენის ჩამოყალიბება, (რაზეც, ალბათ, შემდეგ ვისაუბრებთ) და ავირჩიე ფსევდონიმი ბუნდოვანი, გამომდინარე იქიდან, რომ საერთოდ, ჩემი ხედვიდან ეს სამყარო და საერთოდ ეს ყოფა რაც ჩემს გარშემო არის, ბუნდოვანია, ასე მიმაჩნდა მაშინ და მე თითქოს ამ ბუნდოვანებაში შემაქვს რაღაცა შუქი ჩემი შემოქმედებით. ასეთი პრეტენზია მქონდა მაშინ. ახლა ნამდვილად არ მაქვს... მეუბნებოდნენ მაშინ «თუ შუქი შეგაქვს, მაშინ გიორგი ნათელი აგერჩიო», ვეუბნებოდი, ნათელი არა, რადგან ბუნდოვანია ჩემი სულიერი და პოეტური სამყარო-მეთქი. ამ ფსევდონიმმა ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია მკითხველებში. მეკითხებოდნენ სვანური გვარი ბუნდოვანი არ გავგიგია და სომეხი ხომ არ ბრძანდებითო?» არიან ასეთი, უმეცარი ხალხიც... ვეუბნები არც სვანი ვარ და არც სომეხი, ქართლელი კაცი ვარ, კახიძე-მეთქი.

სხვათა შორის, ამდენი წელი გავიდა... ერთად ვირჩევდით ფსევდონიმებს: «ქრონოფაგებში» ზურა რთველიაშვილის ფსევდონიმი იყო ქაოსური, შოთა იათაშვილის – მეტამორფოზული. იყვნენ «ქრონოფაგებში» განდევილი, მარტვილელი, კახაბერ კოლხი, ოთარ არაგველი... შემდეგ ეს ხალხი დაიფანტა... ფსევდონიმი მათგან ვერავინ შეინარჩუნა... მაგრამ დღეს, რომ თქვან გიორგი კახიძე, დამეთანხმებით კაციშვილი ვერ მიხვდება ვიზეა საუბარი... დათო ჩიხლაძე სულ ამას იძახის, წერილში, რომელიც ამერიკიდან გამომიგზავნა ამბობს – ერთადერთი ადამიანია იმ დროიდან,

ვინც ფსევდონიმი შეინარჩუნაო. დღეს გიორგი ბუნდოვანად მიცნობენ და მგონი, კაციშვილმა არ იცის ვინაა გიორგი კახიძე.

სულ ესაა რაც შეეხება ფსევდონიმს.

«ებლიტფო»: რამდენჯერმე «ქრონოფაგები» ახსენე...

გიორგი ბუნდოვანი: ეს იყო ძალიან რთული პერიოდი, ოთხმოცდაათი წელია. მე და ზურა რთველიაშვილი, ვცხოვრობთ ერთ სახლში, კლარა ცეტკინზე, მე პირველ სართულზე, ზურა – მეორეზე... ერთად ვიზრდებოდით ფაქტობრივად. «გადავეყარეთ» ორი პოეტი ერთმანეთს და ზურას გაუჩნდა იდეა ჩამოგვეყალიბებინა პოეტური სამმო. მე ვუთხარი: რაღა სამმო, ხომ არსებობდა პოეტური ორდენი (ცისფერყანწელებს ვგულისხმობდი), მოდი მსგავსი ჩამოვაყალიბოთ-მეთქი.

მახსოვს, ჩემ ოთახში ვიჯექით, რაღაც კონდიციამდე რომ მივედით. სახელწოდებაც მაშინ მოვიფიქრეთ. ქრონოფაგები დავარქვით. ლათინური სიტყვაა «ქრონოფაგუს» და ნიშნავს «დროის მშთანთქმელებს».

პოეტურ ორდენს, რაღაც სტატუსი სჭირდებოდა, წიგნის გამოცემა გინდა, გაზეთის გამოცემა გინდა, პოეზიის სადამოების ჩატარება გინდა... რაღაც გეგმები გვექონდა... ბიუროკრატიული აპარატი, მოგეხსენებათ, ყოველთვის როგორ მძლავრობს... შევარდნაძის პერიოდია და ვიმეორებ, საჭირო იყო რაღაც სტატუსი... ლერმონტოვის ქუჩაზე არსებობდა ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრი (ახლა ეს შენობა დანგრეულია), რომლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი გახლდათ პოეტი იოსებ მაჭარაშვილი. მივედით მასთან და ბატონმა სოსო მაჭარაშვილმა დაგვაფუძნა თავის ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის ბაზაზე. მოგვცა სტატუსი, მოგვცა წესდება, გაგვიკეთა ბეჭედი, გაგვიხსნა საბანკო ანგარიში და ჩაგვირიცხა პირველი თანხა, რითიც გამოვეცით ჩვენი პირველი ლიტერატურული კრებული, ანუ «ქრონოფაგების» პირველი კრებული «დასპონსორებული» იყო ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის მიერ. პოეტი სოსო მაჭარაშვილი, ახლაცაა რა თქმა უნდა, საოცრად დადებითი ადამიანია, რომელიც ძალიან ეხმარებოდა დამწყებ თუ ახალგაზრდა პოეტებსა და პროზაიკოსებს.

ცენტრს ჰქონდა თავისი გაზეთები «რუბიკონი», და «მესამე გზა». «რუბიკონის» რედაქტორი ბატონი სოსო იყო.. «მესამე გზის» რედაქტორი კი ცნობილი პოეტი, რამინ საჯაია. სწორედ ამ გაზეთებში «ქრონოფაგელებმა» და მერე, მე, ზურა რთველიაშვილმა, შოთა იათაშვილმა, დათო ჩიხლაძემ, დათო ბარბაქაძემ, ცხონებულმა ბადრი გუგუშვილმა, კარლო კაჭარავამ, ცხონებულმა და ბევრმა, ბევრმა... დავიწყეთ დაბეჭდვა.

«ქრონოფაგებზე» საუბარს ერთი ფაქტის აღნიშვნით გავაგრძელებ: «რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში «ქრონოფაგები» იყო მეორე ლიტერატურული ორდენი, რომელსაც ოფიციალური სტატუსი ჰქონდა. ახლა სულაც არ შეამჩნიებენ ამის აღნიშვნა, უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავ. მიმაჩნია, პოეტებისთვის, რომლებიც «ქრონოფაგებში» იყვნენ გაერთიანებულები ოფიციალური სტატუსი საჭირო არც იყო, მაგრამ მაშინ უსტატუსოდ ვერაფერს გავაკეთებდით – ვერც წიგნს (ორი კრებული გამოვეცით), ვერც სალამოს, ვერც გაზეთს და ვერც ვერაფერს.

გავიდა დრო და «ქრონოფაგებმა» გადახალისება განიცადა. დავრჩით მე და ზურა. შემოგვიერთდა შოთა იათაშვილი, რომელმაც აიღო ფსევდონიმი – მეტამორფოზული და გაკეთდა «ანომალიური პოეზია», რომელიც ბიბლიოგრაფიული იმვიათობაა და სულ ორად-ორი ეგზემპლარი მაქვს შემორჩენილი.

აქვე გეტყვით, «ანომალიური პოეზიის» გარეკანზე ნახატი გააკეთა დავით მეტრეველმა, სიურეალისტმა მხატვარმა...

ძალიან მოკლედ გიყვებით «ქრონოფაგების» ისტორიას. წარმოიდგინეთ რა აჟიოტაჟი მოჰყვებოდა «ქრონოფაგების» დაფუძნებას, როგორი სადამოები გაიმართებოდა

უნივერსიტეტში, როგორი სტატიები დაიწერებოდა და როგორი პრეზენტაციები ექნებოდა «ქრონოფაგებსა» და მის გამოცემებს. გაგვაჩნდა ორდენის სალონი, თავშეყრის ადგილი!

«ქრონოფაგების» მთელი არქივი სახლში გაზეთების, ჟურნალების გაყვითლებული ფურცლებით, ფოტო და ვიდეომასალით მაქვს შენახული. ამას წინ დათო ჩიხლაძეს ვაჩვენე და ძალიან გაუკვირდა. ვუთხარი არქივარიუსს მეძახიან, რადგან ყველაფერი, რაც 90-იან წლებში ჩვენ და არა მხოლოდ ჩვენ გაგვიკეთებია, ყველაფერი მეტ-ნაკლებად შენახული მაქვს-მეთქი.

ერთსაც გავიხსენებ. მეორე კრებულის გამოსვლის შემდეგ მოხდა სტილისტური, აზრობრივი გადახალისება: მე, შოთა და ზურა, აღმოვჩნდით პლათფორმის ერთ მხარეს, ასე ვთქვათ, ავანგარდულად მოაზროვნე პოეტები. დანარჩენები, როგორც ტრადიციული პოეზიის მიმდევრები, მეორე მხარეს. თავისთავად მოხდა ეს გაყოფა. ლიტერატორთა რესპუბლიკურმა ცენტრმა მისცა თანხა ოთარ არაგველს და მან ცალკე გამოსცა კრებული. გერბით და ეგიდით «ქრონოფაგების» და ჩვენ გამოვეცით «ანომალიური პოეზია», სხვებმა კრებულები აღარ გამოსცეს და ფაქტობრივად, ამით დამთავრდა «ქრონოფაგების» ისტორია. თუმცა თამამად შემიძლია ვთქვა «ქრონოფაგების» გამოცემული კრებულები თითქმის ყველა ბიბლიოთეკაშია. მისი დაშლის შემდეგაც იღებდნენ ჩვენგან ინტერვიუებს და დისერტაციებიც კი დაიწერა ამაზე...

პოეტური ორდენი «ქრონოფაგები» თამამად შემიძლია ვთქვა, მნიშვნელოვანი მოვლენაა და იგი ჩაიწერა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამით კი ნამდვილად ვამაყოფ.

«ებლიტფო»: საუბარი «ანტიყოფის მანიფესტით» გავაგრძელოთ... მართლა «გამოსათხოვარი თავისდაკვრაა»?!

გიორგი ბუნდოვანი: ამ თემაზე საუბრის გაგრძელებამდე, არაფრით არ შემიძლია ერთი ფაქტი არ აღვნიშნო. «კავკასიური სახლი» არის ის ორგანიზაცია და ქალბატონი ნაირა გელაშვილი არის ის პიროვნება, რომლებთანაც მე ვმეგობრობ და ვთანამშრომლობ 90-იანი წლების დასაწყისიდან. მხოლოდ ორი წელია რაც აქ დავიწყე მუშაობა, ოფიციალურად. «კავკასიური სახლი» არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელმაც მე გამიწია მფარველობა, პირდაპირ გეტყვით, ქალბატონი ნაირა არის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც გამომიცა მე სამი პოეტური კრებული და რომელმაც შემიკედლა და რომელიც დღემდე ჩემ შემოქმედებას და როგორც პოეტს მმფარველობს. პირდაპირ ვიტყვი, მე არა ვარ ფართოდ მიღებული დღევანდელ ლიტერატურულ წრეებში, არა მაქვს მათთან ურთიერთობა, მე რაღაცნაირად ნონკონფორმისტული განწყობა მაქვს და ყოველთვის, სადაც გამოვდიოდი, ეს იქნებოდა «მზიურის» არტ ფესტივალები, ლიტერატურული საღამოები თუ საკუთარი პოეზიის საღამოები, ღიად ვაფიქსირებდი რა სიტუაციაც იყო ადრე და რა სიტუაციაცაა ახლა კონკრეტულად ლიტერატურის სფეროში. აღარავინ მიწვევდა პოეზიის საღამოებზე, არ მთავაზობდნენ წიგნის გამოცემას და ამიტომ რაღაცნაირად ჩამომიყალიბდა აზრი, რომ მიუღებელი პერსონა აღმოვჩნდი ლიტერატურული საზოგადოებისათვის. მე ამას აღვნიშნავ განა იმიტომ, რომ ამაზე გული მწყდება.. პირიქით, მიმაჩნია რომ ეს ჩემი ბედნიერებაა, ჩემი «კოზირია», რადგან ჩემი ნონკონფორმიზმი ამ ფაქტებით გამყარდა.

«ანტიყოფის მანიფესტი» ჩემი მესამე კრებულია. ორი კრებული იყო მანამდე; პირველი – «სიწყნარის დაკანონება» – ციკლში – «თანამედროვე ქართული პოეზია», რომელიც კავკასიურმა სახლმა დააარსა. გაიხსნა ზურაბ რთველიაშვილით, მეორე ვიყავი მე და მესამე ლელა სამნიაშვილი. ეს ციკლი სამწუხაროდ დაიხურა. შემდეგი

ჩემი და ჩემი მეუღლის მარიკა ჟორჟოლიანის ერთობლივი კრებული «ათვლის წერტილი» იყო.

«ანტიყოფის მანიფესტი», როგორც უკვე გითხარით, მესამე კრებულია და მოიცავს ჩემი შემოქმედების ბოლო ოც წელზე მეტ პერიოდს, ანუ შეიძლება ითქვას, ეს არის ჩემი რჩეული, საეტაპო წიგნი!

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას: «ლიტერატურა.გე-ს» ფორუმში მე გავხსენი თემა «გამომშვიდობება მკვდარ პოეზიასთან». თემა უკვე 33 გვერდზე მეტს მოიცავს. მასში განვათავსე უამრავი მასალა, რომელიც ეხება ჩვენს თეატრს, ჩემს შემოქმედებას. ხალხი შემოდის და ინტერესდებიან. რა ხდება იცით? როდესაც 2 წლის წინ ამერიკიდან დაბრუნდა ჩემი მეგობარი და კოლეგა, პოეტი დავით ჩიხლაძე, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ საღამოზე მან არ წაიკითხა ლექსები და გამოაცხადა, რომ «პოეზიის დასასრულის პერიოდი დაიწყო». მე თავიდან ნაწილობრივ ვეთანხმებოდი, ნაწილობრივ არ ვეთანხმებოდი. შეიძლება მისთვის დასრულდა, ვიღაცისთვის არ დასრულდა, მაგრამ გავიდა ორი წელი და მე მივხვდი, რომ დათოს სიტყვებში სიმართლის მარცვალ ნამდვილად ურევია.

თემაში «გამომშვიდობება მკვდარ პოეზიასთან», ხალხი წერს – შენთვის თუ პოეზია დამთავრდა, პოეზია მოკვდა, სხვებს რას ერჩიო, შენ თუ ამოწურე შენი პოეტური შესაძლებლობები, სულაც არ ნიშნავს პოეზიის სიკვდილს და სხვებს თავი დაანებეო. მე მინდა ხაზგასმით ვთქვა: მე არავის ვახვევ თავს ჩემ აზრს. ეს არის უბრალოდ, ჩემი სუბიექტური, ინდივიდუალური მიდგომა და მიმაჩნია დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, მორალურ პირობებში, რომელშიც საქართველო იმყოფება, პოეზიისთვის, ჭეშმარიტი პოეზიისთვის არავის უნდა სცხელოდეს. ბოლოს და ბოლოს, როცა ოჯახების გადარჩენაზე საუბარი, მე, გიორგი ბუნდოვანმა, როგორ ვთქვა: უნდა დავჯდე და არხეინად, როგორც 90-იანი წლების დასაწყისში მუზეუმის მოსვლას ველოდო, ვწერო ლექსები და ამაში შვება ვიპოვო? დღეს პოეზია აღარაა ჩემთვის სიმშვიდის ნავსაყუდელი, 90-იანი წლების დასაწყისში ნამდვილად ასე იყო. დღეს ორი შვილის მამას, უფრო მეტი ყოფითი პრობლემები მაქვს და არა მხოლოდ ესაა პოეზიასთან გამომშვიდობების მიზეზი. მე, როგორც პოეტი არ მოვმკვდარვარ. საუბრის დამთავრების შემდეგ, შემიძლია ავდგე და დავწერო ლექსი, რომელიც არაფრით იქნება ნაკლები «ანტიყოფის მანიფესტში» გამოქვეყნებულ ლექსებზე, მაგრამ მე აღარ მინდა ხელოვნურად გავაკეთო ეს, მე ამისთვის აღარ მცხელა. მე მესმის ბევრი არ დამეთანხმება და მეტყვის, სწორედ დღეს, ამ პირობებში უნდა იყვნენ პოეტები, რომლებიც საზოგადოებას პოეზიით მიმართავენ, გაამხნევენ. მე არ ვარ ასეთი. მე მიმაჩნია ხელოვნება არის არა ხალხისთვის, არამედ ხელოვნებისთვის და ვამბობ, არ ვიცი დავწერ თუ არა ლექსებს, მაგრამ არსებული სიტუაციის შეცვლამდე ლექსებს აღარ გამოვაქვეყნებ. მე ვერ მოვიქცევი ისე, როგორც ჩვენი თაობის უდიდესი პოეტი ბადრი გუგუშვილი მოიქცა. კაცი იყო გენიოსი ურბანისტი პოეტი. მისი გარდაცვალებით დაიხურა ერთი ეტაპი თანამედროვე ქართული პოეზიისა. აუცილებელი არ არის, რომ მეც მასსავით თავი ჩამოვიხრჩო, პროტესტს ამ ფორმით გამოვხატავ. დღეს ასე ვფიქრობ. თუმცაღა, კაცნი ვართ, შეიძლება ხვალ გათენდეს დღე, თავში რაღაცამ დამარტყას და დავიწყო ახალ კრებულზე მუშაობა... თუმცა არა მგონია, დღეს ვარ იმ განწყობაზე, რომ დღესდღეობით ლექსებისთვის ნამდვილად აღარ მცალია...

«ეზლიტფო»: დათო ჩიხლაძე, ზურა რთველიაშვილი, შოთა იათაშვილი, ბადრი გუგუშვილი... ახსენე... რომელიმე მათგანზე მესაუბრე...

გიორგი ბუნდოვანი: თანამედროვე პოეზიაში ყველას თავისი ადგილი უკავია, ყველა მნიშვნელოვანი შემოქმედია, მაგრამ მე არ შემიძლია ორი სიტყვა არ ვთქვათ

დათო ჩიხლაძეზე, რადგან იგი არის არა მარტო პოეტი, არამედ მულტიმედია არტისტი. იგი ერთ-ერთი ნოვატორი იყო, რომელიც 80-იანი წლებიდან მოდის, მან ბადრი გუგუშვილთან ერთად დააარსა პოეტური საბჭო და ჟურნალი «იახსარი». შემდეგ იყო უაღრესად ანდერგრაუნდული გამოცემა «საშუალო ფენა» დათოსა და ცხონებული სანდრო კობაურის, გაზეთი გამოვიდა სულ ორი ნომერი. გარდა ამისა, რაც მთავარია, დათო ჩიხლაძე არის მარგო კარაბლიოვას სახელობის პერფომანსის თეატრის ფუძემდებელი საქართველოში. ეს მოხდა 94 წელს. თეატრმა ლესელიძის ქუჩაზე მთარგმნელობითი კოლეგიის შენობის დაჭაობებულ-ვირთხებიან-ტარაკნებიან სარდაფში, რომელსაც თავის დროზე ერქვა თამაზ ბაძაძეას სახელობის კინოდარბაზი, დაიდო ბინა, ეს სარდაფი დღემდე ასეთ გაუსაძლის პირობებშია და მასში დღემდე მინის ტარის მიმღები პუნქტია განთავსებული.

აი ასეთ ანდერგრაუნდულ, დაჭაობებულ-ვირთხებიან-ტარაკნებიან სივრცეში ჩამოყალიბდა მარგო კარაბლიოვას სახელობის პერფომანსის თეატრი. მის სათავეებთან დათოს გარდა იდგნენ ალექო შულღაძე, პოეტი შოთა იათაშვილი, არტისტები: ირინა გრიგოლავა, ნუნუკა ხიზანიშვილი, შემდეგ შემოემატა უამრავი ხალხი... დღემდე ეს თეატრი ფუნქციონირებს, ვერც კი ჩამოვთვლი, რამდენი ადამიანი მონაწილეობდა ამ თეატრის ღონისძიებებში, თეატრალურ წარმოდგენებსა თუ კინოგადაღებებში. სიტყვები პერფორმანსი, სეიშენი, ჰეპენინგი... ქართულ მეტყველებაში მაშინ დამკვიდრდა და შემდეგ ფართოდ გავრცელდა. ყველა ვინც გამოფენებს აკეთებდა, ამბობდა, რომ პერფორმანსს ვაკეთებ და ასე შემდეგ.

კორაბლიოვას თეატრი ეს იყო უმნიშვნელოვანესი და უპრეცედენტო ფაქტი, რომელიც დღესაც არაა ბოლომდე შესწავლილი და დაფასებული. იგი იყო პირველი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. მიუხედავად ამისა დღესაც გვხვდება ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ ის დრო. დადიოდნენ წარმოდგენებზე და ძალზე სასიამოვნოდ იხსენებენ იმ პერიოდს.

კორაბლიოვას თეატრის წინა ეტაპზეც გეტყვით. თეატრის გახსნამდე «ქარვასლაში» იმართებოდა პერფომანს-შაბათობები, ერთი წლის განმავლობაში, ყოველ შაბათს, ჩვენთან ერთად და ჩვენი დახმარებით დათო ატარებდა პერფომანსებს, რაც შემდეგ ლოგიკურად დასრულდა იმით, რომ ჩამოყალიბდა კორაბლიოვას თეატრი. უნდა გითხრათ, რომ თეატრის სათავეებთან მე და ზურა რთველიაშვილი არ ვმდგარვართ. თეატრს მხოლოდ 1996 წელს შევუერთდით. დღეს მყარი დასი აღარ არსებობს, თუმცა ღონისძიებები ისევ იმართება. ბოლო გადაღებები წინა შაბათს გვქონდა. ახლა მასალა მონტაჟდება და ფილმიც გაკეთდება ალბათ.

ისევ დათო ჩიხლაძეს ვუბრუნდები – დათო ჩიხლაძე არის ძალზე ფართო სპექტრის ხელოვანი, არტისტი, მნიშვნელოვანი პოეტი, ნოვატორი, ექსპერიმენტატორი და ერთ-ერთი პიონერი ავანგარდული პოეზიისა. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ 2 პოეტური კრებული (ერთი ქართულ, მეორე რუსულ ენაზე) დათომ მხოლოდ ამერიკაში წასვლის შემდეგ გამოსცა. მანამდე არც ერთი კრებული არ გამოუცია. ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ გამომცემლობა «სიესტამ» ორი წიგნი გამოუცა. ერთი პოეტური კრებულია, ხოლო მეორე რომანი «ფემინი, ფემინი», რომელიც თითქმის 20 წელი იწერებოდა.

კიდევ ერთი უნდა ვთქვა აუცილებლად. დათო ჩიხლაძე არის ადამიანი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემი და არა მხოლოდ ჩემი სულიერი ორიენტაციის ჩამოყალიბებაში, იმიტომ რომ აღმოსავლურ კულტურებსა და აღმოსავლურ რელიგიებს თავიდან დათომ გვაზიარა. მერე მე, ზურა, ალექო შულღაძე აღმოსავლური რელიგიების სხვადასხვა გზას გავყევით. ზოგი ინდუიზმს ეზიარა, ზოგი ბუდიზმს და ა.შ.

ასე რომ, დათო ჩიხლაძე მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორც პირადად ჩვენთვის, ისე თანამედროვე ქართული ხელოვნებისთვის ზოგადად...

ეზლიტფო: ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეხვედრა ახსენე... ფაქტობრივად გადაჭედილი დარბაზი... ადამიანები პოეტ გიორგი ბუნდოვანის გასაცნობად კი არ იყვნენ მოსული, არამედ მათთვის კარგად ნაცნობი პოეტის პოეზიის მოსასმენად... თქვენი პოეზიისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია... ხშირად, ალბათ, კრიტიკულიც... კრიტიკაზეც ვისაუბროთ...

გიორგი ბუნდოვანი: ჩემზე ბევრი არ დაწერილა, ჩემს შემოქმედებაზე მხოლოდ ორი წერილი დაიწერა. პირველი წერილის ავტორი არის ჩემი მეგობარი მარსიანი, რომელიც არის პოეტი, პროზაიკოსი, მხატვარი, კრიტიკოსი, ახლა უკვე ექსკრიტიკოსი, თვითონ ასე აცხადებს.

მეორე წერილი ამერიკიდან გამოაგზავნა დათო ჩიხლაძემ და იგი დაბეჭდილია «წიგნებში», «24 საათის» დამატებაში.

შემდეგ მარსიანმა მე და მარიკას გაგვიკეთა წინასიტყვაობა ერთობლივ კრებულში, რომელიც ქალბატონი ნაირა გელაშვილის თაოსნობით «კავკასიურმა სახლმა» გამოსცა და ჩვენს ქორწილში სტუმრებს დაურთვდა.

კრიტიკაზე საუბრისას, ზოგადად, შემიძლია ვთქვა: დღესდღეობით სათანადო კრიტიკა, რა თქმა უნდა არ არსებობს. კრიტიკა, რომ სათანადო დონეზე იყოს, ისიც კი არ მოხდებოდა, რაც ამჟამად ინტერნეტში ხდება. დათო ამბობდა და მეც აბსოლუტურად ვეთანხმები, რომ ინტერნეტ სივრცემ გამოიწვია აღრევა და ქაოსი ავტორების. ე.ი. შეიძლება ერთ ფორუმზე, საიტზე იყოს განხილვა გალაკტიონის და რომელიმე გუმბინ გამოჩეკილი «ავტორის» პოეზიისა. ამაში არანაირი გამოიჯვნა არ ხდება და ყველა პოეტი ერთ ქვაბში იხარშება. ასე რომ, ჩვენში ჯანსაღი კრიტიკა რომ არსებობდეს, მაშინ ის ჯანსაღი კრიტიკა არა მარტო გაზეთების, ჟურნალებისა და კრებულების ფურცლებზე გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს შეეხებოდა, არამედ ელექტრონულ სივრცეში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებსაც. მე რომ საშუალება მქონდეს, დავაარსებდი ცალკე კრიტიკის ფორუმს, კრიტიკის ვებ-საიტს, სადაც განთავსებული იქნებოდა მხოლოდ კრიტიკული წერილები. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ სხვადასხვა ფორუმებსა და საიტებზე გაბნეული კრიტიკული წერილები საერთო ფონს სამწუხაროდ ვერ ქმნის და ვღებულობთ იმ შედეგს, რომელიც დღევანდელ ვირტუალურ სივრცეშია. ეს კი, საბოლოო ჯამში არის დამღუპველი ლიტერატურისათვის ზოგადად.

«ეზლიტფო»: მეუღლეც წერს...

გიორგი ბუნდოვანი: სულ რამდენიმე სიტყვით გეტყვით: მარიკას ლექსები მის გაცნობამდე აღმოვაჩინე. ამ ავტორში მე დავინახე რაღაც განსაკუთრებული ქალური და პოეტური მუხტი. შეიძლება მისი ლექსები სულაც არ წარმოადგენს შედევრებს, მაგრამ მისი ლექსების პოეტურმა და ქალურმა მუხტმა და საკუთარი ლექსების მისეულმა, განუმეორებელმა წაკითხვამ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელმა შესტიკულაციამ, დეკლამაციამ, კითხვისას შექმნილმა ნერვოზულმა ფონმა დამარწმუნა, რომ მარიკა არის პოეტი. პოეტია, რადგან წერს განცდით, კითხულობს განცდით, გულწრფელია, არ მალავს არაფერს და ლექსში აქსოვს თავის ქალურ ბუნებას, შინაგან ფანტაზიებს, თავის მოთხოვნებს – როგორც ინტიმურს, ისე გარეგანს. მარიკა ჟორჟოლიანი უფრო მეტად მოსასმენი პოეტია, ვიდრე კითხვადი, მას თავად უნდა უსმენდე!

«ეზლიტფო»: ტერენტი გრანელი და... გიორგი ბუნდოვანი...

გიორგი ბუნდოვანი: ჩემთვის უმნიშვნელოვანესი თემაა, მაგრამ ამაზე ეროვნული ბიბლიოთეკის მშენიერი პროექტისთვის დაწერილ «გრანელისტის მონოლოგში» ვისაუბრე...

ნინო სადღობელაშვილი

ნაწილიანი

ბავშვობაში ჯიუტად ინატრა, რომ დევის ქალს მოიყვანდა ცოლად. ანუ, ჯერ დევს დაემგერებოდა, ხევ-ხუვებზე მუთაქასავით დააგორებდა, მერე მოკიდებდა იმის ლამაზ და შეშინებულ ცოლს ხელს და თვითონ დაისვამდა სახლში.

ძალიან იოცნება ამაზე და ერთხელ დედასაც გაენდო. დედას არ გაკვირვებია, პირიქით, საფეთქელზე მიადო ცერა თითი და მთიელი ქალისთვის იშვიათი რამე ჩაიდინა: თითით მონიშნულზე აკოცა.

ბავშვობაში ხომ ყველას გვაქვს სათამაშოები. სულ ერთია, თოოჯინა იქნება ეს თუ ავტომატი, ბურთი თუ ფერადი პირამიდა, თამაშით ყველანი ვთამაშობთ და ამისთვის საგნები გვჭირდება. ის კი, რატომღაც სულ ასე მგონია, რომ თამაშითაც ჩვეულებრივი სათამაშოებით კი არ თამაშობდა, არამედ არაჩვეულებრივებით. ასე მაგალითად: მთები შეეძლო კუბიკებად დაეწყო, ეთმანეთზე აეკოკოლავებინა, ჩამოეშალა, მერე კიდევ და კიდევ.. ნათურის გარშემო დაყრილი მკვდარი პეპლებითაც შეეძლო ეთამაშა, მდინარით მატარებლობანა, ღრუბლით – სახლობანა და ასე! მერე სადმე ტოტზე ყვავი დაიჩხავლებდა, აჰა ზარიც დაირეკაო, ეს იტყოდა და «სკოლაში» წავიდოდა. რამდენი სათამაშო ჰქონდა! ყველაზე, ყველაზე იღბლიანი ბავშვი სამყაროში!.

სამყაროც, დიდი სიტყვა კია, მაგრამ არ შეუშინდა. შიგ ბავშვური გულწრფელობით დააბიჯებდა და ისეთ რამეებს ხედავდა, რაც სხვებს ხანდახან მხოლოდ გვესიხმრება. თამაშით რომ გული მოიჯერა, ამ ყველაფრის წინ ჩამოჯდა და სულ სხვანაირად შეხედა: თავისი იყო.

თავისი იყო ეს უზარმაზარი მთები და თვითონ, აკვნის ჩვილივით მათ შორის გამოკრული, ეს ზეცაც თავისი იყო, მუჭისხელა ვარსკვლავები დღე-ღამის მანძილზე წამითაც რომ არ უქრებოდა და, ეს ხალხიც – ბებრის პირივით ალაგ-ალაგ მოსახლე. თავისი იყო ეს ბალახი და არა მხოლოდ მთელი ქსოვილი მისი მწვანე აბრეშუმისა, არამედ თითოეული ღერიც მასში და ამ ღერზე მღოღავი ჭია-მატლი. ისეთივე თავისი იყო, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანისთვის დედა ან შვილი. და მერე ყველაფერი ცხოვრებაში ამ ნათესაობიდან იწყება..

ეს რომ იგრძნო, რაღაც დიდმა დარდმა გაუღო გული და ჩაუსახლდა. იმის მერე აღარ მოშორებია. რა აღარ უწამლა და უწამლეს, რა სახელი აღარ დაარქვეს და რა დიაგნოზით აღარ იმკითხავეს, მაგრამ არ იყო საშველი. საშველი აღარ არის ხოლმე, როცა ათასში ერთხელ, ამ უთვალავი წლის და ცოდვა-მადლით სავსე სამყაროში, ვინმე ამ დარდით დასწეულდება..

თუმცა, ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს. ჯერ მისი მთებიდან წამოსვლის და ქალაქური ცხოვრების ამბები ვთქვათ.

დედასთან ერთად ცხოვრობდა სოფელში და უჭირდა მისი მიტოვება, მითუმეტეს ზამთარში. იქ ხომ ზამთარი საზღვარივითაა – კარგახნით გაგმიჯნავს დანარჩენი ქვეყნიერებისგან, ცაც კი ერთი ნაბიჯით სადღაც გადაჩოჩდება. ზიხარ თოვლის მარადისობაში და ადამიანური იერიც კი გეცვლება, ვინმე მითოსურს ან ანდრეზულს ემსგავსები. მითუფრო, ბავშვობაში დევის ქალის ცოლად მოყვანაზე თუ ოცნებობდი და

სიკვდილამდე მტკიცედ გჯეროდა, რომ ამით ბოროტებას ამარცხებდი. მაგრამ რა ექნა, უცნაური ბიჭი იყო და გამორჩეული. ქვეყანა უნდა ენახა, ცხოვრების მდინარეში ყელამდე შესულიყო. მისი ამ რჩეულობის ამბავიც სოფელში ერთი-ორმა საკუთარი თვალთნახა. ერთხელ ფერდობზე მიძგილაობდნენ ბიჭები, ხან ერთი მოიგდებდა რომელიმეს და რბილად დასცემდა ნამიან ბალახზე, ხან მეორე. ესეც, წამოაქცია ერთმა და მაშინ იყო, ბალახში პირქვეჩამხობილს ზურგზე, მარცხენა მხართან ცხრაჯერ დაკემსილი პერანგი რომ ჩაერღვა და ვინც იქ იყო, ყველამ იხილა – მხარზე ხელისგულისტოლა არწივი ეჯდა. მოიხრებოდა თვითონ – ჩაკეცავდა არწივი ფრთებს, გაიშლებოდა და ისიც. ზუსტად არწივი იყო თუ ძერა, ვინ იტყოდა, მაგრამ რაღაცნაირ მედიდურ იერზე ძერას ვერ აკადრებდი. ამიტომ, ყველამ გაცეცხისგან დაალო პირი და იმანაც, ბალახებიდან ოდნავ შემკრთალი თვალეებით ამოიხედა, გათქმული საიდუმლოს პატრონი იყო. მთაში ეგეთებს ნაწილიანებს ეძახიან და ძალიან იშვიათად, თუკი ვინმე ნაწილით დაიბადება, ეს ნიშნავს, რომ ღმერთმა განგებ გამოარჩია და რაღაც დიდი, განუმეორებელი მოხდება მის თავს.

ქალაქში ასეთების ნაკლებად სჯერათ და ათასჯერაც რომ გაშიშვლდე, შესაძლოა ათასჯერვე ტატუ ეგონოთ შენი მთებში დაბეჭდილი ნაწილი. ქალაქში რჩეულობაც ძნელი საქმეა და თავის გატანას, სულ მცირე, მგლის ჩამომავლობა მაინც სჭირდება. ამან მგლებისა ყველაფერი ზეპირად იცოდა, მგლის თავში, გონებაში ნაცხოვრებს გავდა, მაგრამ მაინც ცხვარი იყო. უბრალოდ, იღბალი ჰქონდა. ნაწილიანს ღმერთი იფარავდა მგლებშიც და დევებშიც.

ქალაქში პატარა ჩანთით ჩამოვიდა, შუბლზე მოკლედ შეკრეჭილი თმა და გაცრეცილი საყელო ჰქონდა, გაივლიდა და ფოთლის სუნს ტოვებდა. ჯერ ამ თავისი უცნაური გარეგნობით მიიქცია ყურადღება, სოფლებიდან ჩამოსული ახალგაზრდების მეტი რა უნახავს ქალაქის უმაღლესსაწვევლებლებს, მაგრამ ამას ძალიან, ძალიან ჰქონდა ფოთლის და ბალახის სუნი. ისხდნენ გამოცდაზე თეთრთმიანი პროფესორები, შესცქეროდნენ და რაღაც აგონდებოდათ.. საუკუნის წინანდელი.. განმეორდასავით თითქოს ერთი კადრი: მთიდან პოეტი ჩამოდის.. მერე სასწრაფოდ გაიქნ-გამოიქნიეს თავები და არაფრისმომცემი პარალელები გამოიბერტყეს. ეს კი იჯდა და, გამოცდის ბილეთში მოსულ საკითხს ლექსად წერდა.

მართლა ლექსად წერდა. ასევე გადასცა შესრულებული სამუშაოების ამკრეფს და შენობიდან გავიდა.

ჩააბარა. იმ წელს ყველა მასზე ლაპარაკობდა. უფრო სწორედ, მის მიერ გამოცდაზე დაწერილ ლექსზე და პრეცედენტზე, რომელიც ალბათ მხოლოდ ნაწილიანი ხალხისთვის ხდება: სხვა დროს ვინ ჩაგაბარებინებს ლექსად დაწერილი საგამოცდო საკითხისთვის უმაღლესში! როგორც უცხო რამ მოვლენას, ისე უყურებდნენ. ზოგჯერ, როგორც ექსპონატს – ისეც. ართობდათ მისი შესაშური გულუბრყვილობა, მთაში ნაბადი სიწმინდე. მოსწონდათ მისი უცნაური აზროვნება და იერი – ცხვარი იყო, მაგრამ წამითაც არაფრის შეშინებია. გარეთა მტერი ვერ აფრთხოვდა, იმ მტრის ტვინშიც შეეძლო ხოლმე ცოტახნით ცხოვრება და, მერე რაღაა სამიში, როცა ვინმეს ფიქრი ზეპირად იცი!

აი, შიგნით კი, შიგნით ერთი პატარა მტერი ყავდა, მტერიც არ ეთქმოდა, მაგრამ არც მოყვარე იყო, – ერთხელ რომ დარდმა გულისკარი გაუღო და ჩაუსახლდა, იმაზე ვამბობ. ხანდახან ისე შეადრწუნებდა, საკუთარი გულის გაგლეჯვა და საკუთარი ტყავიდან გაღწევა ეოცნებებოდა, ამ თავისი ისედაც მჭლე ხორციდან გათავისუფლება, ამ თავისი ადამიანური ფიქრიდან გასვლა. აღარც მეგობრებს შეეძლოთ ასეთ დროს ნუგეში, აღარც წარმატებები ახარებდა, აზრს კარგავდა ყოველივე და ის კი იჯდა

თავისივე თავის ტყვეობაში, თვალზე თეთრი ნისლი ეფარა და ტკივილის გასვლას ელოდა.. თავიდან ამ ტკივილის წამალიც იცოდა – მთაში მიდიოდა, დედასთან ბრუნდებოდა ხოლმე. იქ ხომ ყველაფერი თავისი იყო და, აბა რაღა მოგკლავს, როცა შინ ხარ, შენთანვე..

იქ აიდგა ენა და მერე სულ ამ ენით ლაპარაკობდა. ეს ენა რაღა იყო, კაცმა არ იცის მაგრამ სიტყვებს ხილული სამოსელი ჰქონდათ. მაგალითად, ჩვენ ხომ ვამბობთ ხოლმე: სიკვდილი მოვიდა. და ვგულისხმობთ, რომ ადამიანი კვდება, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის, ადამიანს ემართება რაღაც, მას ემშვიდობებიან, მას კარგავენ.. ის კი, იტყოდა იგივე ფრაზას და დაინახავდი, რომ ადამიანი კი არაფერ შუაში იყო, არამედ თვითონ სიკვდილი – ხორცშესხმული, ორთვალა და ერთცხვირპირა, კაცადქცეული სიკვდილი, რომელიც აღმა-დაღმა დაიარება და ვითომ ძალიან უსამართლო, სინამდვილეში მშვენიერ საქმეებს სჩადის.. ან, იტყოდა და გაგიცოცხლებდა ყველაზე მივიწყებულ ოცნებასაც – სადღაც შორს, ყველაზე მიუვალი ზეცის იქით რომ დაგვრჩა ადამიანებს და სახელიც კი დავივიწყეთ მისი. მოგიახლოვებდა, ყვავის ფრთებით მოგიხვეტავდა იმ ზეცის ნაწილებს ცხვირწინ და ყვავებისავე გუნდს გაგაყოლებდა ცაში.. არა რომელიმე ლურჯ ფრინველს ან მტრედს ან სულაც არწივს, არამედ ყვავებს, ამ მჩხავანა და ყველასგან ათვალწუნებულ ჩიტებს, რომლებიც რაც უფრო მეტად ადიან ზევით და ზეცას ერწყმიან, მით უფრო ძლიერ უცისფრდებათ ფრთები..

ყვავები რომ ოდესმე მტრედებთან ერთად დასხდებიან და მგლები რომ ცხვრებს პირით ბალახს მიუჩოჩებენ, ეს ძველისძველი წინათგრძნობა არ ასვენებდა!

მერე ისევ ქალაქი. სტუდენტობა. წარმატებები. ლამაზი ცოლი და ორი ბოჩოლასთვალეზა ბიჭი. გარშემო ყველასგან სიყვარული, განსაკუთრებული სიყვარული, რომელიც ხანდახან თრგუნავდა. საკუთარი დარდის ტყვეობას უმძაფრებდა და გასაქცევ გზებს ეძებდა. ჩვენ კი ძალიან გვიყვარს, როცა რაიმეს ყველასთვის გასაგები სახელი ქვია და, ამ გზებსაც უძებნიდნენ სახელებს: ნიჭიერია და პატრონი არა ყავს, აბა სხვა ქვეყანაში ცხოვრობდეს, თავზე შემოევლებოდნენ!.. ჩვენთან შიმშილით კლავენ და სიკვდილის მერე აფასებენ!.. პურის ფულს რომ ამისთანა ხელოვანი კაცი სახლში ვერ მიიტან, სიკვდილს ინატრებ აბა რა იქნება!.. და ასე დაუსრულებლად. ეს არაა სიყვარული. არც ისაა სიყვარული, როცა ამ ნიჭიერ ცხვარს ყელზე თოკს გამოაბამ, მაჯაზე დაიხვევ და «მეე მეე»-ს იმდენჯერ აძახებინებ, რამდენი ხმაც შენი პარტიის საარჩევნო ბიულეტენში გამარჯვებისთვის გჭირდება.. მერე რა, რომ ცხვრისთვის იქნებ მართლა კარგი გინდა, შენი ჭკუით ვითომ მგლებისგან იცავ. სამყარო ხანდახან ისეთი გაურკვეველია, ეგრე ადვილად სიკეთეს – სიკეთეს და ბოროტებას – ბოროტებას ვერ დაარქმევ..

ფურცელი, კამერა, დრო – აი რა იყო მისი ზეცა და ბალახი. თავისი სოფელი წინ მთავარსარდლის რუკასავით გაიფინა, გადმოაწყო ეს მთები და ხევები, უტრიალა და უკირკიტა, იკითხა და იფიქრა ისინი და, სულ წიგნებად და ფილმებად აქცია. მთელი ცხოვრება დასჭირდა საამისოდ. სხვა სივრცე არც უძებნია – იცოდა, მაინც ხელოვნური გამოუვიდოდა, ყალბი, არათავისი.

თავი რისთვის აეტკია, ისედაც რა მდიდარი მასალა ჰქონდა! ერთს გაიხედავდა ხოლმე თავისი სახლის სარკმლიდან და დაინახავდა: წინადლით მეზობლის ქელეხში გაღეშილი სამი მოთხრობა მოდის! ერთს არეული თვალეზი აქვს და ვიდაცას ჰაერში ექაღნება, მეორე მესამეს შეჰყუდება და ცოტაცაა და, ღორლიან ბილიკზე კისერს წაიმტვრევს. ან, გულგრილად როგორ ჩაუვლიდა ნამდვილი შემოქმედი ერთად მოქუჩებულ იქაურ შავკაბიან ქალებს, ოდესღაც დაწერილი ტექსტიდან გადმოსულ პერსონაჟებს რომ გავდნენ – დასრულებული იდეურ-მხატვრული კომპოზიციებით,

ერთი ხელის შევლებად რომ უნდოდა – ახალ ტექსტში გადაწერა და მერე ამ ტექსტისთვის სულის შებერვა, მეტი აღარაფერი!

ქალაქში კი გაოცებულნი კითულობდნენ მის ნაწერებს, მის ფილმებს ნახულობდნენ და ესაც უკვირდათ. რაღაც ძალიან დიდი და დაუფარავი სიმართლე ელაპარაკებოდათ იქიდან. ხანდახან ამუნათებდათ, ხანდახან ეფერებოდათ. რაღაც დიდი სიმართლე იყო, მშობლიური და მთქმელის ტყავზე გამოცდილი. თქვენ წარმოიდგინეთ, იმათთვისაც კი მშობლიური, ვისაც ქართულის და საქართველოსი არაფერი გაეგებოდა.

მონუსხულები ისდნენ და შესცქეროდნენ სამი-ოთხი კალთა მთის ამბებს და მათში ატეხილი ვნებათაღელვების და საკაცობრიო ოცნებების ისტორიას. აღფრთოვანება პრიზებით და ჯილდოებით სრულდებოდა.

ეს იქ, უცხოეთში. სამშობლოში კი უპრიზო სიყვარული იყო. რაღაცნაირი – მორიდებული, ფრთხილი შეფასება. და არამხოლოდ იმიტომ, რომ შინაურ მღვდელს არა აქვს შენდობა, არამედ იმიტომაც, რომ სულ რაღაც საუკუნის წინ მთელმა ქვეყანამ ბევრი წყალი დაღვარა, ერთი ასეთი რომ ეშვა. იმ ერთს მერე ცალ თვალში ჩაუდგა ერის ნაჭინთი წყალი და სამუდამოდ აუმღვრია, ცალით კი მეცხრე ზეცას მიეზღინა, როგორც სამშობლოთა შორის უსამშობლოესს, და იქ რასაც ხედავდა, იმაზე დაიწყო წერა. ის მამა იყო, ეს კი შვილად გაჩნდა, და სამყაროს კანონიც ისე გადანაწილდა, როგორც ადამიდან მოყოლებული: მამა-შვილს შორის.

შვილი ურჩია, სულ გაქცევაზე აქვს თვალები. ესაც – დაადებდა ხოლმე თავს და გარბოდა.

ჯერ, სანამ დედა ყავდა ცოცხალი, დედასთან. მერე კი, დედაც რომ წაუვიდა, პირდაპირ მიაჭრიდა ხოლმე საიქივ-სააქაოს მიჯნას, აუტეხავდა სიკვდილის კარს ბრაზუნს, შეღწევას ცდილობდა. ერთხელაც იმდენი ქნა, ხუთჯერ დანაც კი დაარჭო იმ კარებს შუაგულში, მაგრამ ვერც იმით შეაღო. ვილაცას მის თავზე – მის დამბადებელს, პატრონს, მზრუნველს, ძალიან უყვარდა.

მერე შვილები გაიზარდნენ და ეს კი ვეღარ გრძნობდა დროს. ის თავისი სატკივარი დარდი შიგნიდან ჭამდა, ძალას აცლიდა. აბა მთები უშველისო მაგას, ის ენატრებოდა, გააქანეს მთებში. არ უშველა. აბა მაშინ ზღვა ვცადოთო – არც ზღვამ. აბა ხმირ-ხმირი ზიარებოდა და, ცოტა მოითქვა სული. მაინც დიდი დასასრულისკენ ცხადლივ მიექანებოდა და თან გზადაგზა სიზმრებს ხედავდა. წინასწარ ესიზმრა მთელი ქვეყნისთვის მომავალში გადასახდენი ამბები. ამან უფრო დაუჩქარა სიკვდილი.

გამოაღებდა მისი ლამაზი ცოლი ფანჯრებს, შემოუშვებდა ოთახში დილისსუნიან ჰაერს, შემოყვებოდა იმ ჰაერს ათასი გამვლელ-გამომვლელის ჩრდილის ნაკუწი, ერთი ტოტი აკაცია და მთაზე ერთი წაფარება ცა. ის კი იწვა ლოგინში ასი წლის მოხუცივით გაფითრებული და დევებზე, ყვავებზე, ნაძვებზე ფიქრობდა. სხვა ენა აღარ ესმოდა. მერე ისიც გაახსენდა, ბავშვობაში რომ დევის ქალის მოტაცება ინატრა და, ერთი წამოდგომა ამ სურვილით წამოდგა.

მერე სულაც გაჩერდა და ყველაფერი ღმერთს მიანდო. ღმერთს მინდობილები კი აღარ დადიან, – ცურავენ. შეიხვევს ლურჯი ტალღა თავის შიგნით, თბილად, საიმედოდ ამოუგებს აქეთ-იქიდან წყლის საბანს და გაიყვანს შუა ზღვაში, ოკეანეში.. დაატივტივებს დედამიწის მუცელში და ამქვეყნად ყველა ქარიშხალმაც რომ გადაუაროს, მაინც არ შეეშინდება, რადგან ღვთისთვის ნდობაგამოცხადებულს, მისივე თვალი იფარავს. ხანდახან ადამიანები ისე კვდებიან, რომ ამ უკიდევანო შვებას ვერ განიცდიან.. ამან კი ბოლოს, კი არ იარა, ცურვით წავიდა წინ.

საუკუნეს გადაცილებული მოხუცივით იწვა კუბოში – წარბებგათეთრებული. მოდიოდნენ და სინანულით იქნევდნენ თავებს. ერთმა ისაც კი თქვა: ჩვენი ბრალია

ამისი სიკვდილი. ისედაც ტვირთიანს თავიანთი სინდისიც აკიდეს და სულ დაამძიმეს ეს ურჩი ცხვარი. ვინ ეხვეწებოდათ, თქვენს თავზე დაიბრალეთ ამისი ცუდადყოფნა? ან შიმშილს და უპოვარებას დააბრალეთ მისი სევდაო? როგორ საშინლად ვიცი ადამაინებმა უაზრო თანაგრძნობით ერთმანეთის დატყვევება! წამში ავართმევთ ხოლმე თავისუფლებას, გაურკვეველ განცდებში გამოვკეტავთ!.. ნეტა, მთაში რომ დარჩენილიყო და არც არასდროს ჩამოსულიყო ქალქში, იქ რა მოხდებოდა? უფრო გაუადვილდებოდა? გაუძლებდა?

დასაფლავების დღეს საშინლად წვიმდა და ნისლი იდგა. საფლავი იმ მონასტრის ეზოში გაჭრეს, სადაც ადრე თვითონ და მისმა ცოლმა დაიწერეს ჯვარი.

მოგვიანებით საფლავის ქვაც დაადგეს – თეთრი ცხვარი აქვს ზედაპირზე ამოტვიფრული და ერთ კუთხეში პაწია ღრმული – შიგ წვიმის მერე წყალი დგება ხოლმე და ჩიტები სულ ზედ ასხედან – ღრმულიდან წყალს სვამენ.

ლამაზმა ქვამ და კარგად მოვლილმა საფლავმა ცოტა დაუმშვიდა სხვებს სინდისი, სიკვდილის მერე მაინც მივხედეთო. ალბათ მის სახელს ეს უცნაური, ნაქენჯნი ტალღა წლების მანძილზე თან გადაჰყვება. სადაც მასზე იტყვიან, ამ განწყობასაც სულ თან მოაყოლებენ და, ვინ იცის, რამდენჯერ წაეჩხვლიტება იმის სულს უკვე აყრილი და მაინც სამუდამოდ მის სახელზე მოჭრილი ამქვეყნიური ბორკილი.

ან კი ჯერ რამდენი დრო უნდა გავიდეს, მის შემოქმედებაზე ფიქრი რომ დაიწმინდოს და დაღვინდეს, მომავლის სანახებში დროდადრო გაცოცხლდეს და სხვაც ყველაფერი გარშემო გააცოცხლოს. ამიტომაც არის, ჯერ დინჯად მასზე ვერც ვწერე. უფრო დალაგებულად მინდოდა, ვიფიქრე – ერთ მოტივს გამოვარჩევ-მეთქი, იმით დავიწყებ, მთის წვერიდან დაშვებული მუჟა გუნდასავით – იმას დავატრიალებ და გზის ბოლომდე სულ თავისით ჩავა – უშველებელ თოვლის ზვინად ქცეული..

არ გამოვიდა. გუნდა აქეთ-იქით ხტოდა და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამე დამრჩა სათქმელი, რამდენი ხელუხლებელი თოვლი – აუკრეფავი და დაუნახავი.

თქმა არც უნდა, ყველა მიხვდებოდა – გოდერძი ჩოხელზე ვწერდი.

ჩემს გოდერძი ჩოხელზე.

გიორგი კეკელიძე

ოდები, ცრუ-ოდები და ძლისპირები

ჩემთან ეს სახელდებები როგორც წესი პირობითია და ბრენდირების ერთგვარ მცდელობას უფრო ჰგავს, ვიდრე კონცეპტუალურ თამაშებს, რომელსაც, როგორც წესი, თვითონ ტექსტებში ხშირად მივმართავ.

ოდები და ცრუ ან გნებავთ ანტი-ოდები, რომლითაც ჩემი კრებული შეიკრა, თვისობრივად ორ სალექსო ფორმას შორისაა გაშლილი – ესაა თოთხმეტმარცვლიანი კონვენციური ლექსი და შეძლებისდაგვარად პროსოდიურული ტრადიციული ვერლიბრი. ამ უკანასკნელზე მუშაობას ერთგვარად „აიოლებდა“ ფოლკლორული ელემენტების (ზოგან ზედმეტადაც) შემოტანა, კლასიკური ტექსტების ალუზიები და ტროპისკენ ჩემი მიდრეკილება (ზოგან ჭარბი და გადამლამებულიც).

ციტაციები, სქოლიოები, ეპიგრაფები, ლექსიკონები ლექსის საყრდენი, მოცემული კოდის გასაღები გახლდათ, თუმცა, როგორც მითხრეს, ზოგჯერ ორმაგ გაუგებრობას ბადებდა ისედაც ბუნდოვან ტექსტებში.

თანამოსასმენები და ა.შ. სხვებს ინტელექტულობისაკენ სწობურ მიდრეკილებად ეჩვენა.

ზემორე ორი ამბავი დიდად არ მანადვლებს, ნადველს ფრჩხილებში ვსვამ.

ძლისპირების პირველი ნაწილი ოდების ინერცია იყო, მეორე ნაწილში, რომელთა უმეტესობას ძლისპირი აღარც ქვია, ვცდილობ გავითვალისწინო ის სიჭარბეები, რაც ოდებს ახასიათებდა და ლექსი უფრო მეტად ვთალო, ვიდრე ვპერწო.

ძლისპირებზე მუშაობისას მივმართე პოეზიის პროზაულ ფორმას („საქართველო“). ამ მიმართულების გავრცობას მომავალშიც ვაპირებ.

ანუ, ჩემი ასპარეზი ახლა სამი სალექსო ფორმით განისაზღვრება.

თუ მაინცდამაინც ამ ტექსტების თეორიული მიმართულებაა საინტერესო, მე ვიტყვოდი ნეოსიმბოლიზმს აბსურდის ელემენტებით.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნინო სადღობელაშვილი

«ებლიტფო» ლათინური ენასავითაა, მკვდარია,

მაგრამ ბევრ ენაზე ცოცხალი...;

«ებლიტფოს» არქივიდან;

(ვ) ანუცა

რატომ არ გამიფრთხილდი, შალვა?;

ციკლიდან: პოეზიის პრაქტიკუმები;

მარსიანი

სახელდახელო გამოხმაურება;

მიმდინარეობა თუ დარგი?;

Pilologsha

ვინ იყო თარაშ ემხვარი;

ინტერვიუ

«წერის პროცესში ყველაზე ნაკლებად

მკითხველზე უნდა ფიქრობდე»;

ქეთი თუთბერიძე

ფორმულა;

ერთი ლექსის ორი «წაკითხვა»;

ინტერვიუ

«თავისით რაც მოდის, ის უფრო ნადია»;

პროექტი

«100 მწერლის - 100 ლექსი»;

პოეზიის საღამოები ეროვნულ ბიბლიოთეკაში;

გივი ალხაზიშვილი

აკვიატება;

ლელა კოდალაშვილი

არც თუ ისე სერიოზული, მაგრამ

აშკარად საინტერესო;

ინტერვიუ

«სერიოზულ ლიტერატურას ყოველთვის ეყოლება გარკვეული რაოდენობის სერიოზული მკითხველი»;

«სათქმელის გადმოცემას მხოლოდ ლექსის ფორმით ვახერხებ»;

ქეთი გზირიშვილი

ხმა (კიდევ ერთი) კუნძულიდან;

რამდენიმე ტენდენცია;

ინტერვიუ

«გამომშვიდობება მკვდარ პოეზიასთან»;

ნინო სადღობელაშვილი

ნაწილიანი;

გიორგი კეკელიძე

ოდები, ცრუ-ოდები და ძლისპირები.

დაიბეჭდა გამომცემლობა «ეროვნული მწერლობის» სტამბაში.

მხატვრის ქ. №4

T 31-70-47 32-73-62

litndrt@yhoo.com

vj.otrshvili@yhoo.com

Filename: New Microsoft Word Document.doc
Directory: D:\gio
Template: C:\Documents and Settings\ktomadze\Application Data\Microsoft\Templates\Normal.dot
Title:
Subject:
Author: nplg
Keywords:
Comments:
Creation Date: 18.11.2009 15:01:00
Change Number: 13
Last Saved On: 20.11.2009 15:24:00
Last Saved By: nplg
Total Editing Time: 179 Minutes
Last Printed On: 20.11.2009 15:25:00
As of Last Complete Printing
 Number of Pages: 86
 Number of Words: 32,230 (approx.)
 Number of Characters: 183,712 (approx.)